

### პოლიტიკა

#### ვარლამენდის საბამოძიებო კომისია ვარდობს ელოდება

თებერვლის დასაწყისში ფრაქცია "მოდრობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" წევრმა კობა დავითაშვილმა "საგამოძიებო კომისიების შესახებ" კანონსა და საგამოძიებო კომისიის დებულებას შორის კოლიზია აღმოაჩინა. კანონის მიხედვით, მხოლოდ პარლამენტს შეუძლია დაავალოს საგამოძიებო კომისიას საკითხის შესწავლა. დებულებით კი ასეთი უფლება პარლამენტის ბიუროსაც ენიჭება.

A2

### უსხოვითი

#### ომი რეპორტიორების თვალთ

რამდენად  
ყველაფერი კარგად  
მიდის

"სირსხვილი  
ამერიკას, გაუმარჯოს  
საფრანგეთს, ძირს  
არაბი მმართველები"

ჩრდილოეთ ირანში  
პიტაჩაბა  
ჩახლართულია

A4-A5

### ეკონომიკა

#### კვლავ ელექტროკრიზისი და ბრაფიკი... „კავკასიონის“ აღდგენამდე

გუშინ გადამცემი ხაზის "კავკასიონის" დაზიანების გამო საქართველოს ენერჯის სექტორში დაწყებული ენერჯიკრიზისი, რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტის აღდგენის შეუძლებლობის გამო, დღესაც გაგრძელდება.

A6

### სამართალი

#### საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარ პრობლემაზე მსჯელობა არ სწარს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მესამე სესიონზე უარი თქვეს, არასამართლებო ირგვინებისა და პრაქტიკოს იურისტებთან ერთად, მრგვალი მაგიდის ირგვლივ მოწყობილ შეხვედრაში მონაწილეობაზე.

A7

### საზოგადოება

#### 25 მარტამდე წყალგასაღების უხანაბს მიაკითხეთ

საქრებულოს 2001 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მოსახლეობის წყალკანალიზაციის დაგვიანებას 15 მლნ. ლარი ჩამოაკლდა. მოქალაქეებს გადამწყვეტილების მოთხოვნების დროულად შესრულება ევალებათ, რათა ჩამონერვილი დავალიანების გადახდა არ მოუხდეთ.

A8

### ანიონი

თბილისი	11	☀
ქუთაისი	8	☀
ბათუმი	4	☀
სოხუმი	2	☀
ფოთი	4	☀
თელავი	8	☀
ზუგდიდი	5	☀
გორი	6	☀
ახმეტა	9	☀

<b>უსხოვარი ვალუტის ოფიციალური კურსი ლარიდან მონეტაზე</b>	
აშშ დოლარი	2.1400
ევრო	2.2888
გირვანქა სტრლინგი	3.3433
რუბლი	0.0682

# ბაღდადი ირაკის



ასე გამოიყურებოდა ბაღდადი წუხელ.

გუშინ, თბილისის დროით დაახლოებით ოცდაერთ საათზე მოკავშირეთა სამხედრო ავიაციამ ერაყის დედაქალაქის მასირებული და მასშტაბური დაბომბვა დაიწყო. 2-52 ტიპის თოთხმეტმა ბომბდამშენმა ბაღდადზე ფრთოსანი რაკეტებით მიიტანეს იერიში. დაახლოებით ათი რაკეტა სადამ ჰუსეინის რეზიდენციას მოხვდა. პრეზიდენტის სასახლე მთლიანად ცეცხლის ალში გაეხვია. ბაღდადის თითქმის ყველა რაიონში ძლიერი ხანძარი გაჩნდა. ქალაქში უკვე მთლიანად განადგურებულია სულ მცირე 20 სამთავრობო შენობა.

ბაღდადთან ერთად მოკავშირეთა ძალებმა ჩრდილოეთში მდებარე ქალაქის მოსულის დაბომბვაც დაიწყეს. ხოლო, ბრიტანულმა ტელეარხმა "სკაიპ" კოალიციის სარდლობაზე დაყრდნობით ერაყის სამხრეთ ქალაქის - ბასრას ალბის თაობაზე გაავრცელა ინფორმაცია. პარალელურად, ვაშლიგონში ყურნალისტიკისათვის საგანგებო ბრიფინგი გამართა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა. "რამდენიმე წუთის წინ ერაყში საჰაერო ომი დაიწყო," განაცხადა მან. ერაყში გუშინ წარმოებული სამხედრო ოპერაციის შედეგად ვითარება შემდეგია:

■ მოკავშირეთა ძალების მიერ ქვეყნის სამხრეთში კონტროლდება სტრატეგიული საზღვრები ქალაქი უმ-კასრა და ნახევარკუნძული ალ-ფაუ, ხოლო ჩრდილოეთში ქალაქი კირკუკი.  
■ ქვეყნის დასავლეთში მოკავშირეთა ძალებმა ორი სტრატეგიული მნიშვნელობის აეროდრომი დაიკავეს.  
■ უმ-კასრაზე შეტევის დროს ერთი ამერიკელი მედესანტი დაიღუპა, ხოლო ქვეყნის კოალიციის ვერტმფრენის ჩამოგდებას 16 ჯარისკაცის, მათ შორის 12 ბრიტანელის და 4 ამერიკელის სიცოცხლე შეენირა.

ერაყული მხარის განცხადებით, მათ ამ დროისათვის მტრის 4 ვერტმფრენის ჩამოგდება შეძლეს. თუმცა, პენტაგონი ამ ფაქტს უარყოფს და ამტკიცებს რომ ქვეყნის ერთადერთი ვერტმფრენის ჩამოგარდნა ტექნიკური გაუმართაობის მიზეზით მოხდა.  
■ მოკავშირეთა ძალების მიერ უკვე კონტროლდება მნიშვნელოვანი ნავთობსაბადოები ქვეყნის სამხრეთსა და დასავლეთში. თუმცა, სადამ ჰუსეინის ბრძანებით ერაყელებმა ოცდაათი ნავთობსადენისათვის ცეცხლის წაქეზება მოასრულეს.

■ მოკავშირეთა გეგმებმა სპარსეთის ყურეში ნაღებებით დატვირთული ორი ერაყული ხომალდი ჩაიდგეს ხელში.  
■ ბაღდადისაკენ დაძრული აშშ-ის მესამე სამხედრო დივიზია მდინარე ეფრატზე ქალაქ ნასირიასთან ერაყის სამხედრო დანაყოფების გააფთრებულ წინააღმდეგობას ნაწყდა.  
■ ბაღდადზე იერიშის დროს ერთი რაკეტა ჩამოვარდა ირანის ტერიტორიაზე ერაყის საზღვართან ახლოს. დაიღუპა ორი ადამიანი. ამის თაობაზე ინფორმაცია უცხოეთის სააგენტოებმა გაავრცელეს.

## ნატო-ს ტალღაზე

### ბიორაბი ასანიოვილი

საქართველო ცდილობს, რომ გაუგებრობები გამოირიცხოს იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც, ჩვენი ქვეყნის მსგავსად, ნატო-ს გაფართოების შესახებ "ტალღის თავზე" მოქცევა განუზრახავთ. ბალტიისპირეთიდან ახ-

ლხან დაბრუნებული გიორგი ბარამიძე აცხადებს, რომ ლიტვის დედაქალაქში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ უკრაინულ და აზერბაიჯანულ მხარეებთან შეთანხმებას მიაღწია, დაწყებული კონსულტაციები მაკედონიასა და იუგოსლავიასთან და არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში ანალოგიურ პროცესში სომხეთი და მოლდოვაც ჩაერთონ. ერთი სიტყვით, "გაერთიანებული დემოკრატიების" საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ვინჩითი კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ "ვილინიუსის ათეულში" საქართველოს შესასვლელად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

ბაზრქალაბა A3 ბავრდუა

## ვარლამენდი ავარიული რეჟიმის რეჟიმის და ამერიკელებს ნდობას უსხადას

ორი კვირის განმავლობაში საქართველოს პარლამენტი ავარიულ რეჟიმში მუშაობდა. ბევრი ვარაუდობდა, რომ საკანონმდებლო "შანქანა" საბოლოოდ მოიშალა და, თავისი "საექსპლუატაციო ვადის" ამოწურვამდე რამდენიმე თვით ადრე, მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან. თუმცა, პესიმისტური პროგნოზები არ გამართლდა: პარლამენტი გუშინ ისევ დაიწყო "პროდუქციის გამოშვება": 138 ხმით ერთი წინააღმდეგ, რატიფიცირება გაუკეთა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობოთაშორის შეთანხმებას სამხედრო სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობის შესახებ. ისე, კენჭისყრის შედეგები ნურავის შეიყვანს შეცდომაში. ერთსულოვნება (ერთ "სულს" თუ არ ჩავთვლით) ნამდვილად მოჩვენებითია: შეთანხმების რატიფიცირების წინააღმდეგ ოთხი ფრაქცია ("მრევლები", პლუს ბათუმური ბლოკის სამი სუბიექტი) გამოდიოდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათელი გახდა, რომ დოკუმენტი მაინც მიიღებდა საჭირო მხარდაჭერას, ამ კვარტეტის ზოგიერთმა წევრმა მხარი დაუჭირა მას, დანარჩენებმა კი კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.

ბიორაბი ასანიოვილი

"ანტიამერიკელი" დეპუტატების განმარტებით, ისინი ამერიკასთან სამხედრო შეთანხმების დადებას არ ეწინააღმდეგებიან, მაგრამ შემოთავაზებული ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი არ მოსწონთ.  
"ეს არ არის შეთანხმება, ეს არის კაპიტულაციის აქტი," - ბობოქრობდა "მრეველი" ლევან პირველი და პარლამენტარებში პატრიოტული გრძნობების გაღვივებას ცდილობდა.

ბაზრქალაბა A3 ბავრდუა

## როგორ ხვდება საქართველოს სამხედრო სისტემა ერაყის ომის პირველ დღეებს

თავის დროზე, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს და ავღანეთში "მდგრადი თავისუფლების" სახელწოდებით ცნობილ ანტიტერორისტული სამხედრო კამპანიის დაწყებას, საქართველოს ხელისუფლება, მხარდაჭერი პოლიტიკური მიმართულების გარდა, ყველასთვის მოულოდნელად, საკუთარ სამხედრო ძალებში გაძლიერებული საბრძოლო მზადყოფნის გამოცხადებით გამოეხმაურა. თითქმის ანალოგიური სიტუაცია განმეორდა ერაყის გათავისუფლების ოპერაციის დაწყების პირველ წუთებში. თუმცა, ამჯერად საქართველომ განგვის ზარებისთვის აღარ შემოუკრა ვთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რამდენიმე თვეა, მთელი სამხედრო სისტემა, ისედაც იმყოფება გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაში.

კობა ლიკლიქაძე  
"რადიო თავისუფლება"  
საპროგრამად "24 საათი/თავის"

საქართველოდან 560 კილომეტრით დაშორებულ ერაყის დედაქალაქ ბაღდადზე განხორციელებულ პირველ საავიაციო დარტყმებს, თბილისი არამეკეთილშობილი გამოეხმაურა და, როგორც თავდაცვის პირველ ემელონში მყოფ უწყებას, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, უშიშროების სამინისტროსთან ერთად, სასაზღვრო საგუშაგოებისა და აეროპორტში საავიაციო კონტროლის გაძლიერება დაავალა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ჯერჯერობით ვერც უარყოფს და ვერც ადასტურებს გაგრძელებულ მოსაზრებებს, რომ ერაყში ომი ლტოლვილთა ნაკადის შემოსვლას საქართველოშიც გამოიწვევს. ამასთან, შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი კორნელი სალია არ უარყოფს, რომ ოპერატიული ვითარება, განსაკუთრებით ჩრდილოეთ საზღვრის მიმართულებაზე, კვლავინდებურად რთულია.  
"სანამ ჩვენთვის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებები მიმდინარეობს, საზღვრის დაცვის საფრთხე ყოველთვის იარსებებს. გარდა ამისა, თავად ჩვენს მებრძოლებს სხვადასხვა ქვეყნებში ჰყავთ თავისი ემისიონები, რომლებიც მათ ასწავლიან გარკვეულ გზას. ჩამოდიან ისინი საქართველოში და მერე ცდილობენ აქედან გასვლას. ასეთი ინფორმაციებიც გვაქვს. ამიტომ ოპერატიული ვითარება მუდმივად რჩება დაძაბული", - აცხადებს კორნელი სალია.

ბაზრქალაბა A3 ბავრდუა

**მოკლე**

**თბილისი.** "სამხრეთ ოსეთი იმედოვნებს, რომ რუსეთის ფედერაციის სუბიექტი გახდება," - განუცხადა პრაიმ-ნიუსის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ სტანისლავ კოჩიევმა. **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ვლადიმერ პუტინისა და ედუარდ შევარდნაძის სოჭის შეხვედრამ, ლტოლვილებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაბრუნების იმედი კვლავ გაუქარხნა.

როგორც პრაიმ-ნიუსს "სრულიად საქართველოს დევნილთა სახალხო პარტიის" ლიდერმა გივი კლასონიამ განუცხადა, აღნიშნული შეხვედრიდან დაახლოებით ორ კვირაზე მეტი გავიდა, თუმცა არანაირი დოკუმენტური მასალა არ გამოქვეყნებულა და დაბრუნებაზე არ საუბრობენ. **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** "სახალხო პატრიოტული ალიანსის" 150-მდე წევრი, პარასკევს, სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ საპროტესტო აქციას მართავს და 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებაში ბრალდებული, უშიშროების სამინისტროს ყოფილი შეფის იგორ გიორგაძისათვის ხელშეუხებლობის გარანტიებს მოითხოვს. **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** შსს-ს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი ერთაყი ომთან დაკავშირებით, ექსტრემალურ სიტუაციაში მოსახლეობას თავდაცვის რამდენიმე რეკომენდაციას სთავაზობს, თუმცა ირწმუნება, რომ საქართველოში ამ დაპირისპირების გამო, შემფოთების რეალური საფუძველი არ არსებობს. **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** თავდაცვის ექს-მინისტრი, პარლამენტარი გიორგი ყარყარაშვილი აცხადებს, რომ ერთი საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, აფხაზეთი პრობლემის დასისმიერი მეთოდებით გადაჭრად, შეერთებულ შტატებზე საქართველოსათვის დახმარების განცევა შეუძლია. **პრაიმ-ნიუსი**

**მოსკოვი.** სომხეთის პარლამენტის დელეგაციის წარმომადგენლებმა პარასკევს, მოსკოვში კოლეგებთან გამართულ შეხვედრაზე რუსეთის ფედერაციის საბჭოს მოუწოდეს, რომ ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს, რათა ტრანსკავკასიური სარკინიგზო მიმოსვლა განახლდეს, - იტყობინება პრაიმ-ნიუსის საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვიდან. **პრაიმ-ნიუსი**

**ერევანი.** ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის მიუხედავად, თურქეთის პრეზიდენტმა ახმედ ნეჯთი სეზერმა რობერტ ქოჩარაიანს, სომხეთის პრეზიდენტის პოსტზე ხელმეორედ არჩევა მიულოცა, - იტყობინება საინფორმაციო სააგენტო მედიამაქსი. **პრაიმ-ნიუსი**

**ბაქო.** ბაქო მოსკოვთან რუსული შეიარაღების შესყიდვის შესაძლებლობას განიხილავს, რაც შესაძლოა სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ თებერვალში გაფორმებული სამთავრობოთაშორისო შეთანხმების ფარგლებში განხორციელდეს, - იტყობინება პრაიმ-ნიუსის საკუთარი კორესპონდენტი აზერბაიჯანიდან. **პრაიმ-ნიუსი**

# სააკაშვილის ახალი წამოწყება

მარაზ მიტრეველი



საკაშვილის ექსპერიმენტმა ლევან მაისურაძეს ბევრი უხერხული შეკითხვის მოსმენა აიძულა.

და გულგრილობაში. "ყველამ იცის, რომ დამნაშავეებს წილში უზიზარო", - განუცხადა ერთმა ქალბატონმა მაისურაძეს. ამას დასაბუთება უნდა, - უპასუხა პოლიციის შეფმა. ბუნებრივია, ამ ქალბატონს მამტიკცებელი საბუთები არ ჰქონდა...

ერთი მამაკაცი კი, გახშირებული რეიდების გამო იყო მწუხვებული: ჯერ იყო და, ჩვენს მანქანებში ბინ ლადენს ეძებდით, ახლა მალე უსუნის დაუწყებულ თებანსო, - ჯავრობდა იგი. დასკვნითი სიტყვა ისევ სააკაშვი-

ლმა აიღო. მან ჯერ ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობას გადაუხადა მადლობა იდის მხარდაჭერისთვის, შემდეგ კი, პირდაპირ მუქარაზე გადავიდა: "თუ ამ შეხვედრას კონკრეტული შედეგი არ მოჰყვება და ვითარება არ გამოსწორდება, ხალხი თავად გააქტიურდება... მივესალმები იმას, რომ ქუჩების დაჭრა დაიწყეთ, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს, რაღაც რეალური ვაზნის გამო; მითუბეტეს, ყველა კარგად ვიცით, ეს ვაზნები იქ როგორ აღმოჩნდება ხოლმე!" ბოლოს

საკაშვილმა კრიმინალბრძოლის საკუთარი წვლილის შეტანაც გადაწყვიტა და პოლიციას საჯაროდ ისანი-სამგორის რაიონში "მოღვაწე" ორმოცამდე ქურდის სია გადასცა. საიდან ჰქონდა ეს მონაცემები, სააკაშვილმა არ გაამხილა. და კიდევ ერთი: სააკაშვილი ამ ბოლო დროს საკუთარ თავთან მიმართებაში ახალ ტერმინს ამკვიდრებს - "უფასო ადვოკატი". "მე თქვენი უფასო ადვოკატი ვარ", - განუცხადა შეხვედრის ბოლოს მოსახლეობას.

## მე-13 ვებო - თარსი პარლამენტისთვის თუ პრაზონდისტისთვის

ვერიკო თევზაძე

პრეზიდენტს მიანიჭა, რომ ცხოვრების პირობების რეალურად გაუმჯობესება (ანუ მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრება) საპარლამენტო არჩევნების წინ განუხორციელებელი და პოპულისტური დაპირებაა, იგი მხოლოდ 2005-ში, საპრეზიდენტო არჩევნების წელს იქცევა რეალობად. პრეზიდენტის ამ პოზიციის გასამყარებლად საპარლამენტო მდივანმა მარიამ ცაცანაშვილმა ვუშინ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.

"ხელფასები ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს. პირველი ეტაპი ზრდის (35 ლარამდე) ბიუჯეტში 14-15 მილიონამდე დამატებით სახსრებს საჭიროებს. აღნიშნული თანხა უკვე გათვალისწინებულია, ანუ ეს არის ის რეალური დაპირება, რომლითაც მოსახლეობის წინაშე წარვდგებით. სხვა დამატებითი დაპირება განუხორციელებელი იქნებოდა, რაც აღმსა-



მარიამ ცაცანაშვილი

რულეულ ხელისუფლებასაც და პარლამენტსაც გარკვეულ უხერხულობას შეუქმნია", - პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ერთდროულ-

ად ზრუნავს როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლების ავტორიტეტზე. "მიმდინარე წელს ხელფასები 35 ლარამდე გაიზარდება, 2004 წლისთვის - 60 ლარამდე, 2005 წლისთვის საქართველოში ხელფასები 100 ლარამდე და უფრო მეტად გაიზარდება. 2005 წლისთვის გათვალისწინებული მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრება აქედან გამომდინარე, ხელფასის ოდენობა შესაბამისობაში იქნება იმ პერიოდში არსებულ საარსებო მინიმუმთან. ეს მაჩვენებელი შეიძლება სულაც 400 ლარი იყოს, საარსებო მინიმუმში ყოველ სამ თვეში იცვლება", - განუცხადა ჟურნალისტებს ქალბატონმა ცაცანაშვილმა.

მარიამ ცაცანაშვილი ყოველმხრივ შეეცადა, საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია გაემართლებინა: "პრეზიდენტმა ოპოზიციას წარუდგინა ოთხგვერდიანი არგუმენტები იმის შესახებ, თუ რატომ მოიცვა ასე (იგულისხმება შრომის კანონში შეტანილი ცვლილებებზე შევარდნაძის მიერ ვეტოს დადება). ამასთანავე, მან პარ-

ლამენტს შესთავაზა კომპრომისული ვარიანტი - მინიმალური ხელფასების ეტაპობრივი ზრდა."

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის განცხადებით, ვიდრე კრებულდენტი ერთი კვირის წინ ამ კომპრომისულ ვარიანტს პარლამენტში შეიტანდა, ქვეყანაში ისედაც მოქმედებდა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებას ითვალისწინებდა. გამოდის, რომ პრეზიდენტი უფრო ადრე წავიდა კომპრომისზე ოპოზიციასთან, ვიდრე "დემოკრატები" თავიანთ პოპულარულ იდეას ნამოყვებდნენ. ვეტოს დადების შემდეგ კი პრეზიდენტმა კომპრომისი საკანონმდებლო ინიციატივის სახით "გააფორმა".

ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ვეტოს გადასალახავად 141 ხმა სჭირდება. 1995 წლიდან, ანუ იმ პერიოდშიდან მოყოლებული, როცა კონსტიტუცია მივიღეთ, პარლამენტმა პრეზიდენტის თორმეტ ვეტოს დაუჭირა მხარი. უახლოეს დღეებში გაორჯევა, ვისთვის აღმოჩნდება რიგით მე-13 ვეტო თარსი - პარლამენტისთვის თუ პრეზიდენტისთვის.

## პარლამენტის საბაზოიზო კომისია პარდიქს ელოდება

თებერვლის დასაწყისში ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" წევრმა კობა დავითაშვილმა "საგამოძიებო კომისიების შესახებ" კანონსა და საგამოძიებო კომისიის დებულებას შორის კოლიზია აღმოაჩინა. დებუტატის განმარტებით, კანონის მიხედვით, მხოლოდ პარლამენტს შეუძლია დაავალოს საგამოძიებო კომისიის საკითხის შესწავლა. დებულებით კი ასეთი უფლება პარლამენტის ბიუროსაც ენიჭება. დავითაშვილის განცხადებით, დებულებასთან შედარებით უპირატესობა ისევ კანონს ენიჭება; ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ოსაძის კომისიის მიერ შესწავილ საკითხთა კანონიერება ეჭვქვეშ დადგეს.

ლენა მიქაძე

მომავალ კვირას დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პარლამენტის წინაშე მოსსენებით წარდგება. მიხილ ოსაძემ პარლამენტს კომისიის მიერ ბიუროსთან მიღებული განხილული საკითხების თაობაზე უნდა ჩააბაროს დეტალური ანგარიში.

"11 თებერვლის პარლამენტის სხდომაზე იქცა, იქნებ იმ საკითხის საბაზოიზო გადაგეგვება, რომლებიც პარლამენტის ბიუროს დავალებით გადაეცა შესასწავლად საგამოძიებო კომისიას. რა თქმა უნდა, დავთანხმდით. მეორე დღესვე წარუდგინე პარლამენტის თავმჯდომარეს შესაბამის საკითხთა ნუსხა, დეტალური ჩამონათვალით, საკითხის ინიციატივის ვადის და საკითხის განხილვის სტადიის მითითებით. მე, დავითაშვილი და სხვა იურისტები ვიანხმდებით - სასურველია, რომ კომისია დავალებას პარლამენტის სხდომაზე დებულებას. ჩემი მოსსენების შემდეგ პარლამენტის წევრებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, გააგრძელოს თუ არა კომისიამ ბიუროს მიერ დავალებული ყველა საკითხის შესწავლა. ისე, არსებობს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, როსტომ დოლიძის, ოფიციალური წერილი პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე, რომლითაც დოლიძე აცხადებს, რომ პარლამენტის ბი-

ურის მიერ საკითხის კომისიისათვის გამოსაძიებლად გადაცემა აბსოლუტურად კანონიერია." - ამბობს მიხილ ოსაძე.

საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე კი აცხადებს, რომ მისი წერილი მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის იყო. "კომიტეტმა თანამდებობების პირების ქმედებათა კანონიერების შემსწავლელი კომისიის საკითხზე, ჯერჯერობით, ვერ იმსჯელა და, ამდენად, ვერც ვერაფერი გადაწყვიტა. საკითხი ჩვენი კომიტეტის დღის წესრიგში შეტანილი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ მთელი ყურადღება 115 ლარის თემაზე გადავიდა, მეორე ნომრად შეტანილი ამ საკითხისთვის ველარავინ მოიცალა. ისე, ოსაძის კომისიასთან დაკავშირებული ეს კონკრეტული საკითხი კომიტეტის განაწილებული არც არის. პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს". - მიიჩნევს როსტომ დოლიძე.

საგამოძიებო კომისიის ყოფილი წევრი ფიქრია ჩხრაძე საბოლოო სიტყვის უფლებას ასევე პარლამენტს უტოლებს: "ოსაძის კომისიაში ჩემი ყოფნის დროს მუდმივად ვაპროტესტებდი - არ შეიძლება კომისიას გამოსაძიებლად იმდენი საქმე დაეყაროს, რომ არც ერთი მათგანი ბოლომდე არ მიდიოდეს. კომისიის წევრი ამავე დროს პარლამენტის წევრიცაა და ბევრი სხვა მოვალეობაც აქვს. კომისიაში კერძოდ უნდა რამდენიმე საკითხის განხილვა უკვე ხელს

უნყოფდა ისეთ ვითარებას, როცა კონკრეტულ საკითხს კონკრეტული დანტერესებული პირი უჩინდებოდა. ამის შემდეგ საკითხთა ნაწილი უკვე მიკერძოებულად წყდებოდა.

ბოლო წვეთი ჩემთვის ასანძის საქმე აღმოჩნდა. კომისიის წევრთა ნაწილს არც კი აჩვენეს საბოლოო დასკვნა. სამაგიეროდ, დასკვნა, რატომღაც, ედუარდ შევარდნაძესა და ასლან აბაშიძესთან შეთანხმეს. მომხრე ვარ, რომ პარლამენტის მიერ, პლენარულ სხდომაზე, მხოლოდ კონკრეტული არგუმენტაციის და დასაბუთების შემდეგ მიეცეს ოსაძეს დავალება კონკრეტულ თემაზე".

მიხილ ოსაძის კომისია ყოველი მიზეზის გარეშე განაგრძობს იმ საკითხის განხილვას, რომელიც მას პარლამენტის სხდომაზე დაევალა. სამაგიეროდ, კომისიას ამ დროისათვის პარლამენტის ბიუროს მიერ დავალებული 15 საკითხის განხილვა აქვს შეჩერებული. თავად კომისიის თავმჯდომარის შეფასებით, "პრაქტიკულად დასრულებულს" სტატუსით კომისიაში რამდენიმე საკითხია: პირველ ავციის პირ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიაზე პარლამენტის წევრ ჯ. გამახარიაზე თავდასხმის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება; კანონიერების დაცვა; ფოთის პორტის არსებული დარღვევები - კონკრეტულად კი საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ლ.ქისტაურის უწყების უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე.

"სეკვესტრის" საშრომლად ემუქრება 2002 წლის 2 ივნისის ადვოკატური თვითმმართველობის არჩევნების საკითხს (ინიციატორი იმერეთის გუბერნატორი თემურ შამაშვილი გახლდათ).

გარდა ამისა, ოსაძის კომისიაში უნდა განხილულიყო შსს-ის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური დეპარტამენტის თავმჯდომარის გ. დავითაი-

ას საქმიანობის კანონიერების საკითხი, რომელიც ანტიკორუფციულმა საბჭომ უკვე შეისწავლა. ანტიკორუფციული საბჭოს მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე, დავითაი თანამდებობიდან უკვე გათავისუფლებულია.

კომისია შეისწავლის თავად ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარის კახა უგულავას საქმესაც. "საბინაო მაქინაციებში მონაწილეობის გამო" მისი მხილების სურვილი "ამლომინებულ" კლიზბარ ჯაველიძესა და ანზორ აბრალავას გაუჩინდა.

კომისიაში განსახილველად იყო შესული წინა მოწვევის დებუტატის, ზუგდიდის საგადასახად სამსახურის უფროსის ბუენა გუნაგას მხარდაჭერი 62 პარლამენტარის განცხადებაც. გუნაგას სახელმწიფო მინისტრის ანტიკონსტიტუციურ ქმედებებსა და სამსახურებრივ დევნაში ადანაშაულებს.

ბორის კაკუბავა ძველ წყენას იხსენებს და ყოფილი გენერალური პროკურორისა და მისი მადლიერის - ჯამბილ ბაბიაშვილისა და სოსო ყიფიანის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს. შეეხებას ნებთ, სწორედ მათი "დახმარებით" აღმოჩნდა მცირე ხანს კაკუბავა დეპუტატის ინიციატივის გარეშე.

ერთ-ერთი მსუყე ლუკმა, რომელიც გამოსაძიებლად თანამდებობის პირთა კანონიერების შემსწავლელი კომისიის პარლამენტის ბიუროს წყალბოთი ერვა, 1992-2001 წლებში შემოსული გრანტებისა და კრედიტების განაწილების კანონიერების საკითხია. კომისიის თავმჯდომარე თავად აღიარებს: საკითხის მოცულობიდან გამომდინარე, მისი დასრულების გადავს განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. საკითხის განხილვის ინიციატორის როლში "ლეიბორისტი" ფრიდონ ინჯია გახლდათ. კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი, რომელსაც ადრე იქით უყენებდნენ პარლამენტის უსებოთიდან შემოსული თანხების მითვისების გამო, სხვას სთხოვდა პასუხს.

გამომცემელი რუსთაველი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ეგვაძემ (მხარეთელი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძემ (გამომცემელი რედაქტორი), ირაკლი ლევანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებებში: დედეკალაქი - დავით მაღარაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქეთევან საღობლაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიბინა მაყაშვილი, მდივანი - ზაზა ფაჩუაშვილი, მიხნესი - გიორგი კალაძე, საბავშვო - ვალერი ვინჩაიძე. შტაბში: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დისტრიბუცია: გიორგი კოკლავაძე, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული მუშაობა: თამარ ჩხიანი (მენეჯერი), მათა ყიფიანი, დედა ნიქარშიძე, ბეკა ბალარაშვილი, დავით გვეგეჭორი, დიმიტრი მალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე მაიორიშვილი, თენგიზ ქორია, პაატა ქორია. სტილი: ნანა ჯობაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტყეშელაშვილი, დიმიტრი მალუტაშვილი, დავით მაღარაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქეთევან საღობლაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიბინა მაყაშვილი, მდივანი - ზაზა ფაჩუაშვილი, მიხნესი - გიორგი კალაძე, საბავშვო - ვალერი ვინჩაიძე. შტაბში: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დისტრიბუცია: გიორგი კოკლავაძე, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული მუშაობა: თამარ ჩხიანი (მენეჯერი), მათა ყიფიანი, დედა ნიქარშიძე, ბეკა ბალარაშვილი, დავით გვეგეჭორი, დიმიტრი მალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე მაიორიშვილი, თენგიზ ქორია, პაატა ქორია. სტილი: ნანა ჯობაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტყეშელაშვილი, დიმიტრი მალუტაშვილი, დავით მაღარაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქეთევან საღობლაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიბინა მაყაშვილი, მდივანი - ზაზა ფაჩუაშვილი, მიხნესი - გიორგი კალაძე, საბავშვო - ვალერი ვინჩაიძე. შტაბში: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დისტრიბუცია: გიორგი კოკლავაძე, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული მუშაობა: თამარ ჩხიანი (მენეჯერი), მათა ყიფიანი, დედა ნიქარშიძე, ბეკა ბალარაშვილი, დავით გვეგეჭორი, დიმიტრი მალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე მაიორიშვილი, თენგიზ ქორია, პაატა ქორია. სტილი: ნანა ჯობაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტყეშელაშვილი, დიმიტრი მალუტაშვილი, დავით მაღარაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქეთევან საღობლაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიბინა მაყაშვილი, მდივანი - ზაზა ფაჩუაშვილი, მიხნესი - გიორგი კალაძე, საბავშვო - ვალერი ვინჩაიძე. შტაბში: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დისტრიბუცია: გიორგი კოკლავაძე, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული მუშაობა: თამარ ჩხიანი (მენეჯერი), მათა ყიფიანი, დედა ნიქარშიძე, ბეკა ბალარაშვილი, დავით გვეგეჭორი, დიმიტრი მალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე მაიორიშვილი, თენგიზ ქორია, პაატა ქორია. სტილი: ნანა ჯობაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტყეშელაშვილი, დიმიტრი მალუტაშვილი, დავით მაღარაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქეთევან საღობლაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიბინა მაყაშვილი, მდივანი - ზაზა ფაჩუაშვილი, მიხნესი - გიორგი კალაძე, საბავშვო - ვალერი ვინჩაიძე. შტაბში: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დისტრიბუცია: გიორგი კოკლავაძე, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული მუშაობა: თამარ ჩხიანი (მენეჯერი), მათა ყიფიანი, დედა ნიქარშიძე, ბეკა ბალარაშვილი, დავით გვეგეჭორი, დიმიტრი მალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე მაიორიშვილი, თენგიზ ქორია, პაატა ქორია. სტილი: ნანა ჯობაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტყეშელაშვილი, დიმიტრი მალუტაშვილი, დავით მაღარაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქეთევან საღობლაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიბინა მაყაშვილი, მდივანი - ზაზა ფაჩუაშვილი, მიხნესი - გიორგი კალაძე, საბავშვო - ვალერი ვინჩაიძე. შტაბში: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დისტრიბუცია: გიორგი კოკლავაძე, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული მუშაობა: თამარ ჩხიანი (მენეჯერი), მათა ყიფიანი, დედა ნიქარშიძე, ბეკა ბალარაშვილი, დავით გვეგეჭორი, დიმიტრი მალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე მაიორიშვილი, თენგიზ ქორია, პაატა ქორია. სტილი: ნანა ჯობაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტყეშელაშვილი, დიმიტრი მალუტაშვილი, დავით მაღარაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქეთევან საღობლაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიბინა მაყაშვილი, მდივანი - ზაზა ფაჩუაშვილი, მიხნესი - გიორგი კალაძე, საბავშვო - ვალერი ვინჩაიძე. შტაბში: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დისტრიბუცია: გიორგი კოკლავაძე, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული მუშაობა: თამარ ჩხიანი (მენეჯერი), მათა ყიფიანი, დედა ნიქარშიძე, ბეკა ბალარაშვილი, დავით გვეგეჭორი, დიმიტრი მალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე მაიორიშვილი, თენგიზ ქორია, პაატა ქორია. სტილი: ნანა ჯობაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტყეშელაშვილი, დიმიტრი მალუტაშვილი, დავით მაღარაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქეთევან საღობლაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიბინა მაყაშვილი, მდივანი - ზაზა ფაჩუაშვილი, მიხნესი - გიორგი კალაძე, საბავშვო - ვალერი ვინჩაიძე. შტაბში: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დისტრიბუცია: გიორგი კოკლავაძე, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული მუშაობა: თამარ ჩხიანი (მენეჯერი), მათა ყიფიანი, დედა ნიქარშიძე, ბეკა ბალარაშვილი, დავით გვეგეჭორი, დიმიტრი მალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე მაიორიშვილი, თენგიზ ქორია, პაატა ქორია. სტილი: ნანა ჯობაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტყეშელაშვილი, დიმიტრი მალუტაშვილი, დავით მაღარაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქეთევან საღობლაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიბინა მაყაშვილი, მდივანი - ზაზა ფაჩუაშვილი, მიხნესი - გიორგი კალაძე, საბავშვო - ვალერი ვინჩაიძე. შტაბში: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დისტრიბუცია: გიორგი კოკლავაძე, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული მუშაობა: თამარ ჩხიანი (მენეჯერი), მათა ყიფიანი, დედა ნიქარშიძე, ბეკა ბალარაშვილი, დავით გვეგეჭორი, დიმიტრი მალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე მაიორიშვილი, თენგიზ ქორია, პაატა ქორია. სტილი: ნანა ჯობაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტყეშელაშვილი, დიმიტრი მალუტაშვილი, დავით მაღარაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბელია, სამყარო - ქეთევან საღობლაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ჰიბინა მაყაშვილი, მდივანი - ზაზა ფაჩუაშვილი, მიხნესი - გიორგი კალაძე, საბავშვო - ვალერი ვინჩაიძე. შტაბში: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დისტრიბუცია: გიორგი კოკლავაძე, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული მუშაობა: თამარ ჩხიანი (მენეჯ

# პარლამენტი ავარიული რეჟიმიდან გამოდის და ამერიკელებს ნდობას უცხადებს



მძიმედ, მაგრამ პარლამენტი მუშაობას დაუბრუნდა.

## პირველი გვირგვინი

“ამ ხელშეკრულებით იბღალბება ჩვენი ეროვნული ინტერესები და თავმოყვარეობა. ასეთი რევერანსული დამოკიდებულება კარგს არაფერს მოგვტანს. ეს ხელშეკრულება ემსახურება მხოლოდ ელიტარულ საზოგადოებას, ანუ პრეზიდენტ შევარდნაძესა და მის გარემოცვას,” - ამერიკასთან სამთავრობო თანამშრომელთა დასაკინებლად ძალიან უნდა არ იშურებდა “აღორძინების” წვერი ჰამლეტ ჭიბაშვილი.

საკონსტიტუციო სასამართლოთი იმუქრებოდა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, “აღორძინების” წარმომადგენელი გიორგი პაიჭაძე. მისი მტკიცებით, სამხედრო ხელშეკრულება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მოდიოდა წინააღმდეგობაში.

“მრევნელებისა” და “აღორძინების” უკმაყოფილება, ძირითადად, გამოწვეული იყო შეთანხმების იმ მუხლებით, რომლებიც შეეხებოდა ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეებისა და კონტრაქტორების საქართველოში უფიზოდ შემოსვლას, მათთვის იარაღის ტარების ნებართვის

დაკანონებას, იმუნიტეტს (დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პასუხისგებას მხოლოდ ამერიკის თემიდის წინაშე), გარკვეული ტიპის საქონლის გათავისუფლებას საბაჟო გადასახადისგან და ა.შ.

სხვათა შორის, ორმხრივი სამთავრობო შეთანხმების პირობებით არც დოკუმენტის მხარდამჭერები იყვნენ მთლად აღფრთოვანებულნი. ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ოპონენტების კრიტიკა საფუძვლამოკლებული არ არის, რადგან ვაშინგტონის მიერ თავის სხვა მოკავშირეებთან გაფორმებული ანალოგიური ხასიათის ხელშეკრულებები გაცილებით დახვეწილი და სრულყოფილია. იმაში, რომ შეთანხმების ტექსტი მოიკოფლებს, “გაერთიანებული დემოკრატების” ლიდერი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადვოკატებს და აღნიშნავს, რომ დიპლომატიური უწყების მხრიდან დოკუმენტზე მუშაობა ძალიან სუსტად არის ჩატარებული.

თუმცა, ზურაბ ჟვანიას კრიტიკა, თავის საპარლამენტო ოპონენტებზე და საგარეო საქმეთა სამინისტროზე მეტად, პირადად შევარდნაძისკენ იყო მიმართული.

“თუ ვინმემ შეუშალა ხელი ხელშეკრულების რატიფიცირებას, ეს არის პრეზიდენტი შევარდნაძე. მას შეეძლო, რიგგარეშე სხდომა მხოლოდ ამ საკითხზე მოეწია, ან ის დღის წესრიგში პირველ საკითხად შეეტანა და ამდენი ვენებათაღელვა არ გამოეწვია,” - აღნიშნავს ზურაბ ჟვანია, რომელიც თავისი შენიშვნების მიუხედავად, დასძინა: “არა გაეჭვას იმის უფლება და ფუფუნება, რომ ამ შეთანხმებას რატიფიცირება არ გაუკეთოთ.”

საგარეო საქმეთა სამინისტროს სუსტ მუშაობას უსვამს ხაზს “ნაციონალების” ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილიც. მისი აზრით, ამ უწყებას მეტი ფხა რომ გამოეჩინა, ხელშეკრულების ტექსტი ქართული მხარისთვის გაცილებით მისაღები და უკეთესი იქნებოდა.

“ვერ ვიტყვი, რომ ეს დიდებული დოკუმენტია და მას ორივე ხელი ვუჭერ მხარს. მართალია, მისი ზოგიერთი მუხლი გაღიზიანებას იწვევს, მაგრამ მთლიანობაში, მის არმილებას მაინც მივუხდებოდა,” - მიიჩნევს კობა დავითაშვილი. იგი, თავისი მოსაზრებების სისწო-

რეში დასარწმუნებლად, არც მეტი, არც ნაკლები, წინაპართა სულგმაც კი დაკავშირებია.

“წინაპართა სულებს მივმართავ და ისინი იქიდან მეუბნებიან, რომ ეს ხელშეკრულება მისაღებია,” - აცხადებს დავითაშვილი, თუმცა, აღარ აკონკრეტებს, სად და როდის ატარებს სპირიტულ სეანსებს.

“ნაციონალების” წარმომადგენლისგან განსხვავებით, პარლამენტის თავმჯდომარეს ასეთი პროცედურის ჩატარება არ სჭირდება და ისე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს ხელშეკრულება არც ერთი ქვეყნის, მათ შორის, არც რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს. მათ, ვისაც გული სწყდება, რომ სამთავრობო თანამშრომელთა შეთანხმება ბევრ ხარვეზს შეიცავს, პარლამენტის თავმჯდომარე იმით ამშვიდებს, რომ დოკუმენტის რატიფიცირების შემდეგ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია.

შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმების რატიფიცირებით, საპარლამენტო კრიზისის დაძლევის საქმეში გუმწნ სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა. მაგრამ “ძველ, კეთილ პარლამენტამდე” ჯერ მაინც შორია, რადგან სახელისუფლებო ფრაქციებს განცდილი მარცხი ვერ მოუხდენიათ და ოპოზიციასა და სპიკერატს შურისძიებით ემუქრებიან.

“ასეთ პარლამენტში მუშაობა აღარ გვსურს,” - იბუტება ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელიც ზოგიერთ ოპოზიციურ ფრაქციასთან წინო ბურჯანაძის ფარულ ალიანსზე საუბრობს. კიდევ ერთი ბრალდება, რომლის მოსმენაც გუშინ პარლამენტის სპიკერს სოციალისტების ლიდერისგან მოუხდა, ის იყო, რომ სპიკერი ლიტვაში უდროოდ დროს გაემგზავრა.

თავისი მოადგილის მიერ გახმოვანებული ბრალდებები ბურჯანაძეს აფიქრებინებს, რომ “რჩეულიშვილმა, რომელიც დღემდე ვერ გარკვეულა, თუ ვის გვერდით უნდა დადგეს, ახალი დაავლება მიიღო”.

“კრიზისი პარლამენტში ნელ-ნელა ჩაცხრა და მის ხელახალ გაღვივებას რჩეულიშვილი ცდილობს,” - კონტრბრალდებებს უყენებს კანცელარის ფაფორიტს პარლამენტის თავმჯდომარე.

# ნატო-ს ტალღაზე



გიორგი ბარამიძე

## პირველი გვირგვინი

ბარამიძის აზრით, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ოფიციალური თბილისის ინტეგრაციის პროცესი უნდა დააჩქაროს იმ ღონისძიებაზე, რომელიც საქართველოში 27-31 აპრილს გაიმართება. ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანას ესტუმრება ნატო-ს ქვეყნების დეპუტაცია, რომელსაც უხელმძღვანელებს ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი მარკუს შეკელი. ისევე, როგორც გასული წლის ანალოგიური რანგის ვიზიტისას, სტუმრები ამჯერა-

დაც ეწვევიან პანკისის ხეობას. “გვინდა, რომ პანკისის თემა ერთხელ და სამუდამოდ დაიხუროს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდის პროცესის დაწყება და გუშინ გამართულ ბრიფინგზე გიორგი ბარამიძემ, რომელმაც ისიც აღნიშნა, რომ პანკისის ხეობაში ამჟამად მიმდინარე სექვიპირაციის შედეგებით უკმაყოფილოა. “დემოკრატების” საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის თქმით, ქართული მხარე შეეცდება, რომ საქართველოში სტუმრობისას, ნატო-ს დელეგაციამ აფხაზეთიც მოინახულოს.

# როდიონოვა, თურაძე, გვაბინა

## რუსიდან ნიკარაჟი

ს.ა. კორ. მოსკოვი

საქართველოს პარლამენტში ამერიკასთან სამხედრო თანამშრომლობაზე ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, რუსეთის პარლამენტის დსოს საქმეთა კომიტეტის ახლადდანიშნული თავმჯდომარის, ანდრეი კაკოშინის მოადგილემ ანატოლი ჩხვინგვა “24 საათს” განუცხადა, რომ “ასეთი დოკუმენტის მიღების რუსეთის პარლამენტი იძულებული ხდება, მიმართოს ადეკვატურ ღონისძიებას”.

ადეკვატურ ზომებში პარლამენტარი გულიანობის შემდეგ: თბილისიდან კონფიდენციალური არხებით მიღებული ამ ხელშეკრულების ასლი დსოს საქმეთა კომიტეტში უკვე გაამრავლეს და დეპუტატებს დაურიგეს. ჩხვინგვი არ გამოირცხავს, რომ ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ, რუსი პარლამენტარები მთელი სერიოზულობით დააპირებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში მიღების საკითხის დღის წესრიგში შეტანას.

- კომიტეტის ინიციატივით უახლოეს მომავალში მომზადდება საგანგებო განცხადება, სადაც დაფიქსი-

რებული იქნება, რომ ერაყში მიმდინარე ომის ფონზე ასეთი დოკუმენტი რატიფიკაცია საქართველოში სხვა არაფერია, თუ არა რუსეთზე მიტანილი იერიში და დაუფარავი აგრესია. ამ დოკუმენტის რატიფიკაციით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს გამოუსწორებელი ზიანი მიადგა. ამიტომ ჩვენი იძულებული ვხვებით, აქტიური ზომები მივიღოთ და ამიერკავკასიაში საქართველოს მიერ დარღვეული უსაფრთხოების ბალანსი აღვადგინოთ. იმედია, ჩვენს ინიციატივას რუსეთის პარლამენტი მხარს დაუჭერს.”

ანატოლი ჩხვინგვი ამბობს, რომ “საბოლოო ეპოქაშიც კი, ასეთი უფლებებით არსად არ სარგებლობდნენ რუსი სამხედროები.”

როგორც ჩვენს გაზეთს სათაბიროს დსო-ს საქმეთა კომიტეტში აუწყეს, რუსმა პარლამენტარმა იგორ როდიონოვმა მრავალსართულიანი გინებით აღნიშნა საქართველო-აშშ-ს შორის შეთანხმების რატიფიცირება.

“ჩემი თბილისში მუშაობის დროს, ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებულად ერთ ნაბიჯსაც არ ვდგამდი,” - უტიფრად აღნიშნა თბილისში ავდასახელებულმა გენერალმა როდიონოვმა.

# იგორ ივანოვა დაუტახტა ბაახილა



იგორ ივანოვი

## რუსიდან ნიკარაჟი

ს.ა. კორ. მოსკოვი

რუსეთის სახელისუფლებო დერეფნებში აზრთა სხვადასხვაობაა. რუსეთის პრეზიდენტი ერაყში ომს პოლიტიკურ შეცდომად მიიჩნევს; საგარეო პოლიტიკური უწყება ამერიკასთან მოკავშირეობას უჭერს მხარს; სახელმწიფო სათათბირო კი ერაყში ომს ამერიკის აგრესიას არქმევს და იგივე შეფასებას ითხოვს პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრისაგან.

ზემოთქმულის ნათელი დადასტურება იყო რუსეთის პარლამენტში 21 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის ვიზიტი. ივანოვმა, ერთგულად დაკავშირებით, რუსეთის პოზიცია გააცნო დეუმის დეპუტატებს.

პარლამენტარებმა იგორ ივანოვი გააკრიტიკეს რუსეთ-ამერიკის პარტნიორობაზე ერთი დღით ადრე გაკეთებული განცხადების გამო. ვიქტორ ალექსინმა ასეთი რიტორიკული შეკითხვაც დაუსვა ივანოვს: რატომ არ არქმევს თავის სახელს ერაყში ამერიკის აგრესიას რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყებები და რატომ არ უნდადგას მას პირდაპირი აგრესიასა და საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლინებას?

იგორ ივანოვმა ამ შეკითხვას დაპოლიტიკურად უპასუხა: არის თუ არა

აგრესია, ამაზე განაჩენი აგრესორს გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა გამოუტანოს.

იგორ ივანოვი: “რუსეთმა თავიდანვე გამოხატა უკუთარი უარყოფითი პოზიცია კონფლიქტის დაწყებულ გზით გადაჭრაზე, უფრო მეტიც, ვეტოს უფლებაც გამოიყენა. რუსეთი თავის პრინციპულ პოზიციაზე დარჩა: ამერიკასთან კონფრონტაცია დღეს არ შეესაბამება რუსეთის ინტერესებს.”

დეპუტატებმა ივანოვს კატეგორიული ტონით მოთხოვეს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციის დაფიქსირება ერაყის მოვლენების გამო. ივანოვმა კი დააფიქსირა, რომ ანტიტერორისტულ კოალციაში რუსეთი ამერიკის პარტნიორად რჩება.

იგორ ივანოვი: “მსოფლიო საზოგადოებრიობამ უნდა გააცნობიროს საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე და ამიტომ სწორი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს, ამის პარალელურად უნდა ღონე უნდა იხმაროს ერაყის მოვლენების სამართლებრივ ველში დასაბრუნებლად. ერაყის პრობლემის პოლიტიკური დარეგულირებისადმი რუსეთის ნათელი პოზიცია აქვს. დღეს მთავარია ის, რომ ნებისმიერი ქმედება ერაყთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლის ნორმებს შეესაბამებოდეს.”

# იარაყელი ლტოლვილებათვის საქართველოს საზღვარი დაკეტილია

## ბელა მხარაძე

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა 21 მარტს მესაზღვრის დღე აღნიშნა. ეს დღე 1999 წლის 21 მარტს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე დაწესდა. წელს დეპარტამენტი ამ დღეს მეხუთედ აღნიშნავს. თავად სასაზღვრო უწყება 1992 წლიდან არსებობს.

საზეიმო ცერემონიალი საქართველოს შიშის აუტორიტეტი გაიხსნა. ამის შემდეგ უშიშროების საბჭოს პირველმა მოადგილემ ჯემალ გახოკიძემ მესაზღვრეებს გააცნო პრეზიდენტის მილოცვა, რომელშიც ნათქვამია: “გა-

ნელილ წლებში სასაზღვრო ძალები ერთ-ერთ ყველაზე ქმარულ სტრუქტურად ჩამოყალიბდა. ეს ჩვენი სახელმწიფოს დიდი მიღწევა და დიდი გამარჯვება გახლავთ”.

თავდაცვის სამინისტროს სახელის მესაზღვრეებს საიუბილეო დღე მიულოცა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ჯონი ფორცხალიაშვილმა.

2003 წლის მეორე კვარტალში ფუნქციონირებას დაიწყო სასაზღვრო რაზმი “ქუთაისი”, რომელიც მოემსახურება შავი ზღვის აკვატორიის და დასავლეთ საქართველოს საზღვრების კონტროლს. 2002 წელს აშშ-ს დახმარებით დაიწყო მშენებლობა და გუშინ გაიხსნა “ნითელი ხი-

ლის” საგუშაგო. დეპარტამენტში ასევე ფუნქციონირებს მოტო-სამანევრო ჯგუფი, რომლის მთავარი დანიშნულებაა, აღკვეთოს შეიარაღებული ბანდების მიერ საზღვრის გადმოლახვის მცდელობა.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხვიძემ თანამშრომლები დააჯილდოვა სხვადასხვა ხარისხის მედლებითა და ორდენებით. ერთი თვის ხელფასით დაჯილდოვდა 35 თანამშრომელი. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ორი მესაზღვრე. საზეიმო ცერემონიალი კონცერტით დასრულდა.

დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხვიძემ თავის კომენტარში აღნიშნა, რომ მიუხედავად დიდი მი-

ღნევისა, ისინი არ აპირებენ გაჩერებას და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა საქართველოს ძლიერი სასაზღვრო ძალა ჰყავდეს. ჩხვიძემ აღნიშნა, რომ დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, როცა ერაყში ომი, განსაკუთრებით მიმობრუნებული უნდა იყოს საზღვრის დაცვა.

“შეიძლება იყოს მცდელობა, საქართველოს გავლით, მესამე ქვეყანაში ერაყიდან ლტოლვილთა გადასვლისა. ეს ჩვენ არ უნდა დაუშვათ. ეს არის ჩვენი ამოცანა და ამისათვის უნდა გადაკეთოთ ყველაფერი,” - განაცხადა საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხვიძემ.

# როგორ ხვდება საქართველოს სამხედრო სისტემა ერაყის ომის პირველ დღეებს

## პირველი გვირგვინი

ერაყში საბრძოლო ოპერაციის დაწყების გამო, საქართველოში განლაგებული დიპლომატიური კორპუსისა და სასიციოცხო ობიექტების გარდა, დაცვის განსაკუთრებული ზომები დაწესდა კრანჩის სასაზღვრო ცენტრის ტერიტორიაზე, სადაც ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ შეიარაღებულ თანამედროვე საბრძოლო ოპერაციებისთვის ამზადებენ. ნაწილის ტერიტორიაზე შეზღუდულია გადაადგილება, მონმდებ ყველა სახის ტრანსპორტი, მათ შორის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანებისათვის განკუთვნილი, სამხედრო ნომრისანი სამსახურებრივი ავტომობილები. მიუხედავად საგანგებო წესებისა, თავად “წვრთნისა და აღჭურვის” პროგრამა მუდგურხელადად მიმდინარეობს. გუშინ პროგრამაში ჩაბმულ მე-16 სამიო ბატალიონის მებრძოლებს ამერიკელი “საზღვრო ქვეითები” მთელი დღის განმავლობაში საცეცხლე მომზადებაში ავარჯიშებდნენ.

სწორედ პოლიგონზე დაფურეკე ამერიკელი ინსტრუქტორების წარმომადგენელს საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში, კაპიტან მარკ კარტელს და თანხვედ, გაეზიარებინა მისი და მისი ვიზიტის განმარტების დამოკიდებულება ერაყში მიმდინარე ოპერაციის პირველი დღეების შესახებ. კაპიტან კარტერის თქმით, ამერიკელი ინსტრუქტორები მთელი

დღის განმავლობაში ქართველ ჯარისკაცებს წვრთნიან და მხოლოდ საღამოს საათებში, თავისუფალ დროს ადვენებენ თვალს ერაყიდან მოსულ ინფორმაციებს. კაპიტანმა კარტერმა მიპასუხა, რომ მათ, როგორც სამხედროებს, მხოლოდ ბრძანების შესრულება ევალებათ და არა საბრძოლო მოქმედებების შეფასება, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ ოპერაცია ერაყში წარმატებით დასრულდება.

“რა თქმა უნდა წარმატების მჯერად, ახლაც და მომავალშიც. იქ-ერაყში ხომ საუკეთესო ამერიკელი სამხედროები იმყოფებიან. “საზღვრო ქვეითები”, სპეცდანიშნულები, სამხედრო მფრინავები, არტილერიისტები და ისინი აკეთებენ ყველაფერს, რაც კი შეიძლება და რაც საბოლოოდ ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდება.” - განაცხადა კარტერმა.

ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძობს ცხოვრებას საქართველოს უსაფრთხოების მთავარი გარანტი - თავდაცვის სამინისტრო, რომლის ხელმძღვანელობა ბოლო წუთამდე დარწმუნებულია, რომ მოკავშირეებს აუცილებლად დასჭირდებათ საქართველოს საპაერო სივრცის გამოყენება. როგორც დავით თევზაძე, საქართველოს ინტერესების განუცხადა, საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობას უკვე მონიშნული აქვს ის “საპაერო დერეფნები”, რომელსაც მოკავშირეთა ავიაციას საჭიროების შემთხვევაში,

უანგაროდ დაუთმობს. ამასთან, 20 მარტს გაეროცვლდა ინფორმაცია, რომ ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე ოპერაციების გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამერიკის ოპერატიული სარდლობის შტაბში მოკავშირე ოფიცერს გაავხაგნის.

“საუზარი არის იმაზე, რომ ტამპაში, ამერიკის სახმელეთო ძალების საკომანდო ცენტრში, თავს იყრიან ყველა პარტნიორი ქვეყნის მკავშირე ოფიცრები, რომლებიც ინფორმაციას პროფესიონალურად მიაწვდიან თავიანთი სამხედრო წარმომადგენლობებს.” - ამბობს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბუჭუაშვილი. შერჩეულია გაერთიანებული შტაბში გასაგზავნი მეკავშირე ოფიცრის კანდიდატურა, ხოლო, რაც შეეხება პოსტრეაყული მონესრეიგების პროცესში ქართველი სამხედრო ქვედანაყოფის შესაძლო მონაწილეობას, რაზეც ხშირად ლაპარაკობს ქართული მედია, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პრეოგატივად და ეს საკითხი, ბეჭუაშვილის თქმით, ჯერჯერობით დღის წესრიგში არ დამდგარა.

კიდევ ერთი საფრთხე, ექსპერტების შეფასებით, თავად ერაყელი ოფიცრების ხელთ არსებული ბირთვული და ქიმიური იარაღია, რომლის რაღაც ნაწილი, სადამ ჰუსეინის ბრძანებით, 12 წლის წინ ქვეყნის ჩრდილოეთში მცხოვრები ქურთების წინააღმდეგ იქნა გამოიყენებული.

ერაყის შეიარაღებული ძალების განკარგულებაში რჩება 40 - 150 კილომეტრის სიგრძეზე მოქმედი 100 ერთეული “ას -სამუდ - 2” და “სკადის” ტიპის რაკეტები.

თუმცა, ზოგიერთი ინფორმაციით, რასაც საქართველოს საპაერო თავდაცვითი ძალების ყოფილი სარდლი, გადახდვარი გენერალ-მაიორი გიორგი კვინიკაძე ეთანხმება, სადამ ჰუსეინს უნდა ჰქონდეს ქიმიური იარაღის უფრო შორ მანძილზე გადატანის საშუალებები, რაც, კვინიკაძის აზრით, ერაყის მეზობლად მყოფ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.

ექსპერტების თქმით ასეთი საშიშროების არსებობის პირობებში, კიდევ ერთხელ, მთელი სიმწვაფით დგება საქართველოს საპაერო თავდაცვის უწყებების დაფინანსების პირობებში (პირველი კვარტლის მოსაცემებით უწყებას მიუღებელი აქვს კუთვნილი 2 მილიონი ლარი), ამ პროგრამების ამოქმედება კვლავ საფრთხის ქვეშაა. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობას მხოლოდ იმის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ მოკავშირეებთან სადამ ჰუსეინის რაკეტებს საქართველოს საზღვრებამდე არ მოუშვებენ.

### ომი რეპორტიორების თვალთ



REUTERS

ბი-ბი-სი

კაილი მორისი კოალიციის შტაბბინა, ქუვეითი

სპარსეთის ყურის რეგიონში ხუთი არმია იმყოფება. ესენია - ამერიკის, ბრიტანეთის, ავსტრალიის, ერაყის და ჟურნალისტების. რეგიონში რეპორტიორების ყველაზე დიდი რაოდენობა დიდმა ბრიტანეთმა "გადასხა" - 400 ჟურნალისტი, რომელთა შორისაც 200 ჟურნალისტი სააგენტო "ბი-ბი-სის" თანამშრომლები არიან. ქვემოთ აღწერილია მათი თვალთ დანახული სამხედრო ოპერაცია.

#### რაიან დილი ელ-ქუვეითი

"ღამის განმავლობაში სამხედრო მომიხდა თავსაფარში ჩასვლა. როგორც ჩანს, ქალაქის მცხოვრებლები სირენის ხმას მიეჩვივნენ - დილისათვის თავსაფარში საკმაოდ ბევრი თავისუფალი ადგილი იყო. შესაძლოა, მოსახლეობა დაამშვიდა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ კოალიციის ძალებმა ერაყის საზღვარი გადაკვეთეს. მიუხედავად ამისა, ქალაქს ომი მისცდა დაეცო. ჰორიზონტი კვამლით არის დაფარული - გავრცელებულია ხმები, რომ კვამლი ქარმა მოიტანა იმ ადგილებიდან სადაც ერაყის ნავთობსაბადოებს ცეცხლი უკიდია."

#### სტიუარტ შიუზი

"ქურთული არმიის ჯარისკაცები ერაყ-ქურთისტანის საზღვარზე მდებარე ქალაქ ჩამ-ჩამალი იკრიბებიან. მათმა სარდალმა მაცნობა, რომ ისინი "ანსარ ალ-ისლამის" დაჯგუფებასთან საბრძოლველად ემზადებიან. გავრცელებული ხმებია თანახმად, ეს დაჯგუფება "ალ ქაიდასთან" არის დაკავშირებული."

#### ენდრიუ გილიგანი ბაღდადი

"ბაღდადზე მიყენებული ზარალის შეფასება ძალზედ ძნელია. ჩვენ ქალაქში გადაადგილების უფლება არ გვაქვს. თუმცა, ამ ღამით ბაღდადი მთავარი მოვლენების შუაგულში არ ყოფილა. მე რამდენიმე საათი მთავრობის სახლის მახლობლად ვაგატარე, რომელსაც ამერიკული ფრთოსანი რაკეტები მოხვდა. შეტევა ჩემს თვალში დაიწყო და შენობა რადენიმე წუთში ცეცხლის ალში გავიქე. დღეს დილისათვის კი სამთავრობო კომპლექსი პრაქტიკულად მთლიანად განგრევადა არის ქვეული. სარაკეტო შეტევა დაახლოებით 15 წუთი გრძელდებოდა და მას შემდეგ, რაც "საჰაერო განგაშის შეწყვეტის" სიგნალი გაისმა, ქალაქში შედარებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. როგორც ჩანს, ჯერჯერობით, საუბარი ბლიც-კრიგის და მასობრივი შეტევის შესახებ ნაადრევია. ეს არ არის შოკი, ეს უფრო სიურპრიზია."



კოალიციის ქარებმა ერაყის საზღვარი გადალახეს.



ჰარი ტრუმენის ბომბდამხმარეები ბაღდადის დასაბომბდა.

## რას ფელდი: ყველაფერი კარგად მიდის

სახმელეთო შეტევის პირველი დღის ქრონიკა



დინალდ რამსფელდი

#### შოთა უტიაშვილი

"ჩვენ უკვე 150 კილომეტრით შევედით ერაყის სიღრმეში. წინააღმდეგობა არ შეგვხვდებოდა და, რამდენადაც ვხედავ, ტყვეები არ აგვიყვანია, - გადმოსცა გუშინ როიტერის კორესპონდენტმა, რომელიც ამერიკულ ჯარებს ახლდა.

"ჩვენ შეუჭრებლად მივიწვეთ წინ; რამდენიმე კილომეტრით წინ მიგვიძლივინა ააჩის ტიპის შევლუმფრენები, რომლებიც გზას გვიწმენდენ."

ქვეითთა მესამე დივიზიისა და საზღვაო-ქვეითი პირველი დივიზიის რამდენიმე ათეულმა ათასმა ჯარისკაცმა, 2000-მდე ტანკმა ერაყ-კუვეითის საზღვარი ხუთმაბათს, საღამოს 8 საათზე გადალახა.

ერაყში შეჭრას წინ უსწრებდა სასაზღვრო პოზიციების მასობრივი დაბომბვა. საზღვრის გადაკვეთისთანავე ამერიკულ კოლონებს ერაყის სასაზღვრო ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს. თუმცა, მათ სერიოზული წინააღმდეგობის განწვევა ვერ შეძლეს. მათი ნაწილი დაწვდა, დანარჩენები კი გაიფანტნენ.

ამადრულად შეტევაზე გადავიდნენ ბრიტანელი კომანდოსების ქვედანაყოფები. მათ გემი-ამფიბიების შეხვედრით გადასხეს დესანტი ერაყის უკიდურეს სამხრეთით, სპარსეთის ყურის სანაპიროსთან მდებარე ალ-ფაუს ნახევარკუნძულზე. აქ, ქალაქ უმ-კასრში, ნავთობის უმსხვილესი ტერმინალიები მდებარეობს, რომლებიც სავაჭრო უზღვევას უზღვევს ნავთობის უდიდესი ნაწილი.

"ჩვენი ჯარები, რომლებსაც ზურგს უმაგრებენ მისი უდიდესი უსუსობის გემები და ავიაცია, ალ-ფაუსსაც მიიწვევენ. ყველაფერი გემის მიხედვით მიმდინარეობს. ერაყის არმიის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ჩვენი მხრიდან მსხვერპლი არ არის," - განაცხადა ყატარში ბრიტანეთის ჯარების პრესმდივანმა, ჰაიპატანმა ალ ლოკუელმა.

უკანასკნელი ინფორმაციით, ალ-ფაუს ბრიტანელებმა წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს, უმ-კასრში კი ამერიკელები რამდენიმე საათიანი ბრძოლების შემდეგ შევიდნენ და ამერიკული დროშაც აღმართეს.

ამერიკულმა სპეცდანიშნულების ჯარებმა ოპერაციები ქვეყნის ჩრდილოეთშიც დაიწყეს. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მათ დაიკავეს ქალაქ კორკუკის ახლოს მდებარე ნავთობის სტრატეგიული საბადოები. მოკავშირეები შიშობენ, რომ ჰუსეინმა შეიძლება ნავთობის საბადოებს ცეცხლი წაუკიდოს. დროდადრო ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბასრას სიახლოვეს მდებარე ნავთობის საბადოებს ცეცხლი უკვე უკიდია. კორესპონდენტები ამბობენ, რომ ისინი ცეცხლის ენებს ხედავენ, თუმცა ჯერ გაურკვეველია, მართლა საბადოები იწვის თუ არა და თუ იწვის, როგორ გაუწინა ცეცხლი.

მოსალოდნელია, რომ სამხრეთში მოქმედი ბრიტანული და ამერიკული ჯარები სწრაფად შეეცდებიან ბასრას დაკავებას. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტოები სამხედრო წყაროებზე დაყრდნობით იუწყებიან. ერაყის ტელევიზია გადმოსცემს, რომ ამერიკული ჯარები ქვეყნის დასავლეთშიც გამოიწვევენ, იორდანის საზღვართან. როგორც ჩანს, მართლდება წინასწარი პროგნოზი იმის შესახებ, რომ მოკავშირეები დაიკავენ ბაღდადს და დასავლეთში და შემდეგ ბაღდადზე შეტევის სამი მხრიდან განხორციელებდნენ.

პარალელურად გრძელდება საჰაერო კამბანიაც. გუშინ, დილით, კიდევ ერთხელ დაბომბეს ბაღდადი. კორესპონდენტების ცნობით, აფეთქებების ხმა უფრო ძლიერი იყო და ცენტრთან უფრო ახლოს ისმოდა, ვიდრე ხუთმაბათს. ამჯერად, ძირითადი სამიზნეები იყო: სადამის სასახლე, ვიცე-პრემიერ ტარიკ აზიზის ოფისი და სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებები, მათ შორის - თავდაცვისა და პროპაგანდის სამინისტროები. პენტაგონი იუწყება, რომ წიფელი ზღვაში და სპარსეთის ყურეში მყოფი კრესიერებიდან და წყალქვეშა ნაგებობებიდან ბაღდადის მიმართულებით გაშვებული იყო 20 ფრთოსანი რაკეტა.

ამ შეტევის შესახებ ვაშინგტონიდან სხვადასხვა მოსაზრებები ვრცელდება. ზოგიერთის აზრით, დაბომბვა ფსიქოლოგიური ომის ნაწილია, მეორე კი აცხადებენ, რომ დაბომბვის შედეგად ერაყის არმიის საკომანდო-საკომუნიკაციო ობიექტებს მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ თავად სადამი დაბომბვებს გადაურჩა, მაგრამ დაღუპულებს შორის შეიძლება იყვნენ მისი ოჯახისა და ერაყის უმაღლესი სამხედრო სარდლობის წევრები. დადასტურდა ის ფაქტი, რომ აშშ-მ დაბომბვა დაგეგმილზე ერთი დღით ადრე იმპლემ დაიწყო, რომ პენტაგონმა მიიღო დაზვერვის უტყუარი მონაცემები სადამისა და მისი ოჯახის ადგილსამყოფელის შესახებ.

მეორე შეტევის დროს მსხვერპლის შესახებ ჯერ ცნობები არ არის. "წითელი ჯვარი" იუწყება, რომ პირველი დაბომბვის დროს 1 ადამიანი დაიღუპა და 14 დაშავდა. ერაყის არმიის ცნობით, დაღუპულთა 4 ერაყელი ჯარისკაცი.

ბაღდადის გარდა დაბომბა ჩრდილოეთ ერაყში მდებარე ქალაქი მოსულიც. ამის შესახებ იუწყება ყატარის ტელევიზია - "ალ-ჯაზირა". აბუ-დაბის (არაბთა გაერთიანებული საემიროები) ტელეარხმა კი აჩვენა ქალაქ ბასრის დაბომბვის კადრებიც.


ერაყის საჰაერო თავდაცვის ჯარებს საჰაერო იერიშისათვის წინააღმდეგობა ფაქტობრივად არ გაუწევიათ: რამდენჯერმე უშედეგოდ გაისროლა საზენიტო არტილერიამ.

საბოლოოდ გაირკვა ორი დღის წინ კუვეითის წინააღმდეგ გაშვებული რაკეტების ამბავიც. სადის ტიპის ორი რაკეტა, რომლებიც კუვეითში აფეთქდა, მიმზამლავ გახსნ ტოქსინებს არ შეიცავდა. კიდევ ორი რაკეტის გაუწებელყო-



დროშის აღმართვა უმ-კასრაში.

### ამერიკული და ბრიტანული ჯარები ერაყში შევიდნენ



1. პარასკევი: საზღვაო ქვეითთა პირველი საექსპედიციო კორპუსი ერაყის სანაპიროს ხელში ჩაგდებას ცდილობდა.

2. ბრიტანული საზღვაო ქვეითების სამი ბრგავა ზღვიდან ალ-ფაუს ნახევარკუნძულზე შეტევის იწყება. მათი მიზანი ბასრის აღებაა.

3. პარსეთის ზღვა

ომანი

© GRAPHIC NEWS

# "სირცხვილი ამერიკას, გაუმარჯოს საფრანგეთს, ძირს არაბი მმართველები"

გუშინ პაციფისტიკებმა მთელ მსოფლიოში გამართეს დემონსტრაციები



საპროტესტო აქცია მადრიდში.

"ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო," - ასე დახასიათა სან-ფრანცისკოს პოლიციის შუფმა ქალაქში გამართული დემონსტრაცია, რომლის შემდეგაც პოლიციამ 1400 ადამიანი დააპატიმრა. ათასი მათგანი ისევ ციხეში რჩება. დემონსტრაცია თავიდან მშვიდობიანად დაიწყო და მასში რამდენიმე ათასი კაცი მონაწილეობდა. რამდენიმე საათის მშვიდობიანი მსვლელების შემდეგ მომიტინგეებმა ქუჩების გადაკეტვა დაიწყეს და მცირე ხნით მთელი

ქალაქის პარალიზება მოახერხეს. მათ დაარბიეს ქალაქის ცენტრალური უბნები და გადააბრუნეს მანქანები. საბედნიეროდ, არავინ დაზარალებულა. დემონსტრაციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ მათ არ სურთ ადგილობრივ მოსახლეობასთან და, განსაკუთრებით, მძლეობითან დაპირისპირება, მაგრამ "ერაყში ჩადენილი პოლიტიკური მკვლელობები თავის შეწყობად ღირს."

პოლიცია აცხადებს, რომ დემონსტრაციები თავიდანვე მომზადებულნი იყვნენ პოლიციასთან შეხლა-შემოსლისათვის, ბევრ მათგანს მომარაგებული ჰქონდა ქვები, საწვავით სავსე ბოთლები და რკინის მილები.

მომიტინგეები აცხადებენ, რომ ისინი აქციების მოწყობას კვლავაც აპირებენ. ნიუ-იორკში დემონსტრანტებმა ბროდვეი გადაკეტეს. აქ დემონსტრაციებში, ძირითადად, სტუდენტები მონაწილეობდნენ. დემონსტრაცია გაიმართა ბრიუ-

სელშიც. 3000-მდე ადამიანი ამერიკის საელჩოს წინ შეიკრიბა და საელჩოს შენობას ქვები დაუშინა. პოლიციამ ისინი წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალა. შევიცარიამი პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

სსგავსი სცენარით წარიმართა მოვლენები კაიროში. ამერიკის საელჩოს წინ შეკრებილი დემონსტრანტების დასაშლელად პოლიციამ აქაც წყლის ჭავლი გამოიყენა. "სირცხვილი ამერიკას, გაუმარჯოს საფრანგეთს, ძირს არაბი მმართველები" - ეწერა ტრანსპარანტებზე, დემონსტრანტები გამოხდნენ ამერიკის "აგრესიას", ამასთან დაკავშირებით არაბული რეჟიმების პასიურობას და ხოტბას ასხამდნენ საფრანგეთს, რომელიც ანტისამომარო კოალიციის ლიდერად იქცა.

სირიის დედაქალაქ დამასკოში შეკრებილმა ხალხმა უდიდეს სამ - ამერიკის, ეგვიპტის და ყატარის საელჩოზე მიიტანა იერიში. ეგვიპტეს, არაბული სამყაროს ლიდერს ისინი ამერიკასთან გარიგებაში ადანაშაულებდნენ, ყატარი კი მათ სამიზნედ იმის გამო იქცა, რომ სწორედ ამ ქვეყანაშია განლაგებული მოკავშირეთა მთავარი შტაბი. ანკარაში მომიტინგეები აპროტესტებდნენ ქვეყნის პარლამენტის მიღებულ გადაწყვეტილებას მოკავშირეთათვის სავაერო სივრცის დათმობის შესახებ. თუმცა, თურქეთის ცაზე ჯერ ამერიკული თვითმფრინავები არ გამოჩენილან. როგორც ჩანს, ვაშინგტონმა და ანკარამ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ჩრდილოეთ ერაყში თურქეთის ჯარების დისლოცირების შესახებ.

დემონსტრაციები გაიმართა აზიის ქვეყნებშიც: ინდოეთსა და ინდონეზიაში; თუმცა, აქ დემონსტრანტთა რაოდენობა რამდენიმე ათასს არ აღემატებოდა.

# ერაყის საზღვრებთან ლტოლვილები ჭარბად გამოჩნდნენ



ლტოლვილებს ისევ კოალიციის ჭარბსაცხები უვლიან.

ერაყის ექვსივე მეზობელმა სახელმწიფომ ერაყელი ლტოლვილებისათვის საზღვრები გახსნა, თუმცა დევნილთა ნაკადი ჯერ არ ჩანს.

სირია, ერაყის მეზობლებს შორის, ბოლო ქვეყანა იყო, რომელმაც განაცხადა, რომ თანახმაა, ერაყელი ლტოლვილები შეიფაროს. როგორც გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პრეს-მდივანმა კრის იანოვსკიმ განაცხადა, მისი უწყება ვერაულოებს, რომ ერაყის დატოვებას 600 ათასამდე ადამიანი შეეცდება (სულ ქვეყნის მოსახლეობა 24 მილიონს შეადგენს). კომისარიატმა მოუწოდოდა ირანს, იორდანისს, უკრაინას, საუდის არაბეთს, სირიასა და თურქეთს, მიიღონ ლტოლვილები და მათ დროებითი თავშესაფარი მისცენ.

იანოვსკიმ განაცხადა, რომ ჯერ არც ერთ საზღვართან ლტოლვილები არ გამოჩენილან, თუმცა ქვეყნის შიგნით მოსახლეობის გადაადგილება შეინიშნება. მისი განცხადებით, ერაყში მომუშავე უცხოელები ლტოლვილის სტატუსს ვერ მიიღებენ. კომისარიატმა საკვები და სხვა

აუცილებელი მასალები 300 ათასი კაცისათვის უკვე მოიმარაგა. მარაგი ამჟამად თურქეთსა და ირანშია განთავსებული.

კომისარიატმა გადაუდებელი სამუშაოებისათვის დონორებისაგან 60 მილიონ დოლარი მოითხოვა, მაგრამ მიიღო 21 მილიონი მილი. სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციებიც ახალგაურ მდგომარეობაში არიან. წითელმა ჯვარმა დონორებს 140 მილიონი სთხოვა და აქამდე მესამედზე ვერ მიიღო.

ჰუმანიტარული ორგანიზაციები უკვე თავს იზღვევენ და აცხადებენ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი მოსახლეობის კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობა საოკუპაციო არმიის და შესაბამის ქვეყნებსა ეკისრება. დონორები შოშობენ, რომ მათ თავიანთი ამოცანის შესრულება - 24 მილიონ ადამიანის გამოკვება თვეების მანძილზე - ძალიან გაუჭირდებათ. პროგრამა "სურსათი ნაცვობის სანაცვლოდ", რომელიც მოსახლეობის უმეტესობას საკვებით უზრუნველყოფდა, უკვე შეწყდა.

როიტერი

# ერაყის მთავრობა: მტერი ბაღდადს ვერ აიღებს

გუშინ ბაღდადში ერაყის ინფორმაციის მინისტრმა საიდ ალ-საჰაფიმ და შინაგან საქმეთა მინისტრმა შამსუდ დიად ახმადა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს. მათ განაცხადეს, რომ ქვეყანაში შემოჭრილი უცხო ქვეყნების ჯარები დამარცხებას იწვევენ. მინისტრების თქმით, პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი და მისი ოჯახის წევრები ცოცხლები და უვნებელი არიან და, დაბოძებების მიუხედავად, უსაფრთხოდ გრძობენ თავს. ინფორმაციის მინისტრმა ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ ამერიკის და დიდი ბრიტანეთის ჯარები დაბნეულად მდგომარეობაში იმყოფებიან. მისი

მტკიცებით, ანგლო-ამერიკული შენაერთები ერაყის მშვიდობიან მოსახლეობას სამიზნედ შეგნებულად იყენებენ. მინისტრმა განაცხადა, რომ ისინი, ვინც მტერს ჩაბარდა, რეგულარული არმიის ჯარისკაცები არ იყვნენ. საიდ ალ-საჰაფიმ კოალიციის ძალებს ბანდიტები და დაქირავებული მებრძოლები უწოდა, ხოლო პრეზიდენტი ბუმი ალ-კაჰონის შეაღარა.

პრესკონფერენციაზე მომხილრმა ინფორმაციის მინისტრმა ამერიკელთა ყველა განცხადებას აბოილუტური სიციურე უწოდა და ამასთანავე აღნიშნა, რომ ერაყის არმიის საბრძოლო სული საკმაოდ მაღალია.

"კალაშნიკოვის" ავტომატით ხელში იქვე მდგარმა შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ კოალიციის ძალები ბაღდადში ვერასდროს შევლენ და ერაყი ამ ომში გაიმარჯვებს. ორივე მინისტრმა უარყო ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ კოალიციის ძალები ერაყის ტერიტორიის სიღრმეში შევიდნენ, ხოლო ერაყელების ტყვედ ჩაბარების ამსახველ ვიდეო და ფოტოკადრებს გაყალბებული უწოდა.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ჯილდოები დაანახს იმ ერაყელებს, რომლებიც მტრის თვითმფრინავების ჩამოგდებას შეძლებენ,

მოკლავენ ან ტყვედ აიყვანენ მონინალმდევის მფრინავებს ან ჯარისკაცებს. ერაყის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც მტრის თვითმფრინავებს ჩამოაგდება, ჯილდოდ 100 მილიონ დინარს (33 ათასი აშშ დოლარი) მიიღებს, ხოლო ვერტიკალურ ჩამოგდებისათვის ეს პრემია განახევრდება. ასევე, 50 მილიონი დინარი დაწესდა მტრის მფრინავის ან ჯარისკაცის დატყვევებისთვის. ხოლო მტრის ერთი ჯარისკაცის მოკვლისათვის კი პრეზიდენტის პრემია 25 მილიონი დინარით განისაზღვრა. ყველაზე მცირე ჯილდო - 10 მილიონი დინარი რაკეტის ჩამოგდებისათვის დაწესდა.

# ჩრდილოეთ ერაყში ვითარება რასტარობილი

ერაყის ომში წარმატების შიხაღწევად, ვაშინგტონმა ჩრდილოეთ ერაყში ქურთების, თურქებისა და ირანელების ინტერესები უნდა დააბალანსოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ომი მთელი რეგიონისათვის კატასტროფის მომტანი იქნება.



ქურთი ქალები ომისთვის მზად არიან.

ბუშის ადმინისტრაციის რამდენიმე თვიანი ზეწოლის შემდეგ, თურქეთის ხელისუფლებამ უკანასკნელ წუთში მიიღო გადაწყვეტილება და ამერიკის წინამძღოლობით შექმნილ კოალიციის შეუერთდა.

თურქებისა და ამერიკელების ნახევარსაუკუნოვანი სტრატეგიული თანამშრომლობა კითხვის ნიშნის ქვეშ 1 მარტს დადგა, როდესაც თურქეთის პარლამენტმა, ყველას გასაცხად, ერაყში ჩრდილოეთ ფრონტის გასახსნელად ამერიკელებს ჯარების შეყვანის უფლება არ მისცა. თურქეთის ხელისუფლებამ განცხადების მიხედვით, თურქეთის არმიის შეყვანაზე დათანხმდა.

თურქეთის ახლადარჩეულმა პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოგანმა ამერიკელებს მხოლოდ თურქეთის საპარო სივრცის გამოყენების უფლება მისცეს. თუმცა, ამის მიუხედავად, თურქეთი ამერიკულ თვითმფრინავებს საპარო სივრცის გამოყენების უფლებას მინც არ აძლევს, რადგან სურს გაზიანებული ჩრდილოეთ ერაყში თურქეთის არმიის შეყვანაზე დათანხმდეს.

რას შეიძლება თურქეთი სანაცვლოდ ელოდეს? ბევრს არაფერს. კოლინ პაუელმა 19 მარტს დაადასტურა, რომ ნ-მილიარდიანი დახმარების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილი იყო. ერთადერთი, რაც თურქეთმა მიიღო, არის ამერიკელთა განცხადება, რომ საერთაშორისო საგარეო ფონდებიდან თურქეთისათვის სესხის მიცემას კვლავ მხარს დაუჭერს. თურქეთის მიმდინარე წელს უკვე 93 მილიარდი დოლარის დავალიანება აქვს გასასტუმრებელი. ამერიკასთან შეთანხმების ჩაშლამ და ვაშინგტონთან გაჭიანურებულმა ვაჭრობამ სტამბოლის ბაზრე-

ბზე, ფაქტობრივად, პანიკა გამოიწვია. ლილის კურსი დაეცა.

ამასთანავე, ამერიკელების შემფოთებას იწვევს თურქეთის პარლამენტის გადაწყვეტილება, რომ ანკარამ ჩრდილოეთ ერაყში 20 000 ჯარისკაცი შეიყვანოს. ერაყის საზღვართან 30-კილომეტრიანი დემილიტარიზებული ზონაში თურქული ტანკები და ჯარისკაცები უკვე შესულები არიან. ამ გადაწყვეტილებამ ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრები ქურთები აღაშფოთა. მასუდ ბარზანიმ, ქურთების ერთ-ერთი ლიდერმა, განაცხადა, რომ ქურთები თურქების შემოჭრას საშეგდრო საშუალებებით შეენიანაღმდეგებიან.

"თურქები უნდა მიხვდნენ, რომ მათი აქტივობა უბედურებით დასრულდება ჩვენთვისაც და მათთვისაც", - დასძინა ნეჩირვან ბარზანიმ, მასუდ ბარზანის მოადგილემ.

ქურთისტანის წარმომადგენლებმა იმედოვნებენ, რომ თურქეთის მიერ ამერიკელებისათვის უარის თქმა ამერიკელებს ქურთებთან უფრო მჭი-

დრო აღიანისააკენ უბიძგებს. "ჩვენი იმედი გვაქვს, რომ ისინი უფრო აქტიურად დაგვეხმარებიან", - აღნიშნა ქურთისტანის ერთ-ერთმა მაჟორიტარმა ჯარისკაცმა.

ქურთებს განსაკუთრებით კირკუკის ალბა სურთ, სადაც ერთ დროს ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ. სადამ ჰუსეინმა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ისინი გამოდევნა ქალაქიდან და მათ მაგვირად არაბები ჩაასახლა. კირკუკში შესვლას ქურთებისათვის უზარმაზარი სიმბოლური დატვირთვა აქვს. ამ ქალაქის შესახებ უამრავი სიმღერა და ლექსია დაწერილი.

"კირკუკი ქურთისტანის გულია", - ხშირად გაიხმის ჩრდილოეთ ერაყში. ნავთობით მდიდარი ქალაქი ქურთებისათვის მათი ავტონომიის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. თურქები ამიტომაც ეწინააღმდეგებიან მოვლენების ამგვარ განვითარებას, რადგან ეკონომიკურად განვითარებული და მდიდარი ქურთისტანი

თურქების ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთებისათვის არანაკლებ მიზიდველი იქნება.

ამერიკელებმა ძლივს დაარწმუნეს ქურთები, რომ თავი შეიკავონ ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ კირკუკში შესვლისა და ნავთობსაბადოების ერთობიროვნული გაკონტროლებისაგან. ამერიკელებმა ქურთების შეიარაღებული ძალები - 60 000 პეშმერგა (მებრძოლი) ამერიკული სარდლობის ქვეშ გადაიყვანეს. თუმცა, თურქებს მაინც ემინიოთ, რომ ქურთები ბაღდადისაგან თავის დაღწევას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას შეეცდებიან, როგორც კი ჰუსეინის რეჟიმი დაეშობა. ეს კი, თურქეთის გარდა, რეგიონის სხვა სახელმწიფოებშიც შემოთავაზებას იწვევს. ქურთები ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაში კომპაქტურად ცხოვრობენ. ამ ქვეყნების უმრავლესს ემინიოთ, რომ დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნა ქურთ უმცირესობებს სეპარატიზმისაკენ უბიძგებს.

ალსანიშნავია, რომ ქურთებმა თავიანთი წარმომადგენლები უკვე გაგზავნეს, რათა ამერიკა, ირანი, საუდის არაბეთი და სირია დაერწმუნებინათ, რომ მათ რადიკალური მოთხოვნები არ აქვთ და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას არ აპირებენ.

ჩრდილოეთ ერაყის განტოლებამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ირანი, რომელიც ასევე უფრთხის დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნას. დიპლომატიურ ნრეებში ვარაუდობენ, რომ თურქეთის ერაყში ინტერვენციის შემთხვევაში, შესაძლოა, იქ ირანიც შეიჭრას და, ერთმორწმუნე შიიტების დაცვის საბაბით, გარკვეული ტერიტორიების გაკონტროლება სცადოს.

დასავლური პრესის თანახმად, ამერიკელებმა ირანელები გააფრთხილეს, რომ ნებისმიერ ამგვარ მცდელობაში მათი მხრიდან უმკაცრესი პასუხი მოჰყვება.

ახლა ამერიკა ურთულესი ამოცანის წინაშე დგას. ვაშინგტონმა სასწრაფოდ უნდა მოახერხოს ჩრდილოეთ ერაყზე უშუალოდ ამერიკელების სამხედრო კონტროლის დაწესება, რათა ქურთებისა და თურქების შეიარაღებული დაპირისპირება და დამატებითი ირანელების ინტერვენცია თავიდან აიცილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ომი ერაყში ამერიკელებისა და, მთლიანად რეგიონისათვის, ჯოჯოხეთად გადაიქცევა.

# აუხ ისრაელს 10 მილიარდს სთავაზოვს

თორნიკე შარაშენიძე

მთელი რიგი სახელმწიფოები, ბუშის ადმინისტრაციის მხარდაჭერის სანაცვლოდ, შეერთებული შტატებისაგან ფულსა და სამხედრო დახმარებას ითხოვენ, თუმცა, კონგრესმა ყველას მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ გლობალური ეკონომიკური ერთადერთი გამორაკების ისრაელისა.

საომარი მოქმედებების დაწყებას ვაშინგტონის მიერ ისრაელისათვის ეკონომიკური დახმარების შეთავაზება დაემთხვა. ამერიკა მზადაა, 10 მილიარდ გამოუყოფს და ხელი შეუწყოს ამ ქვეყანას მის ისტორიაში ყველაზე მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლაში.

ისრაელის ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, დახმარების პაკეტიდან 1 მილიარდი სამხედრო დახმარებაზე მოდის, დანარჩენს კი ამერიკა ახლო აღმოსავლეთში თავის ურთულეს მოკავშირე ფულად გრანტების სახით მიანდის.

ეს დახმარება პრეზიდენტ ბუშის მიერ შედგენილი საომარი ბიუჯეტის ნაწილი წარმოადგენს და იგი ჯერ კიდევ კონგრესის მხრიდან მონივნებას საჭიროებს. თუმცა, ამ მხრივ პაკეტს, საეჭვოა, დაბრკოლება შეექმნას. დახმარება ისრაელის ფინანსთა მინისტრ ბენიამინ ნეთანიასუს თავად აშშ-ს გრუნული უმცირესობის საჭიროებას იმეორებს. თუმცა, ამ მხრივ პაკეტს, საეჭვოა, დაბრკოლება შეექმნას.

მითუმეტეს, რომ აშშ-ს მიზნობით ისრაელი ახლა, შესაძლოა, ერაყის მხრიდან დაბომბვების ობიექტად იქცეს.

თუმცა, ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, პაკეტის შეთავაზების მიზნად ისრაელის მიერ შემუშავებული ეკონომიკური გეგმა იქცა. "რასიმა ნეთანიასუს განუცხადა, რომ, გაეცნო რა გეგმას, ბუშის ადმინისტრაციამ პაკეტის 1 მილიარდი

# პარიზში რიციანი აღმოაჩინეს

ფრანგმა სამართალდამცველებმა პარიზის მეტროში რიციანი საცხეო ნივთიერება აღმოაჩინეს. პარიზში, რიციანი, შესაძლოა, ჩეჩნური ორგანიზაციების შემოტანისათვის იყოს.

ექსპერტების თქმით, რიციანი ციანიდზე 6 000-ჯერ ძლიერია. აღსანიშნავია, რომ იახვარში პრიტანულმა პოლიციამ რიციანი ლონდონში აღმოაჩინა. ფრანგი სამართალდამცველების თქმით, არ არსებობს მტკიცებულება, რომ მომწამვლელი ნივთიერების გამოყენება საფრანგეთის წინააღმდეგ სურდათ. მისი თქმით, არ არის გამორიცხებული, რომ დაკავებულიებს კავშირი ჰქონდეთ გასულ დეკემბერში დაპატიმრებულ ქვეს კაცთან, რომლებიც რუსეთის საელჩოზე თავმედნენ თავდასხმას.

აღნიშნული ჯგუფი ჩეჩნეთში მოკლული მებრძოლებისა და მსოკოვის თეატრში მომხდარი ტრაგედიისათვე-

ის აპირებდა შურისძიებას. სამი დღის წინ, სამშაბათს, ჩეჩნური ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირის ბრალდებით, საფრანგეთში კიდევ ორი პარიზისა და პარიზის მიმდებარე რაიონების მშენებელი, უცხოელი, აქვთ თუ არა მათ რიციანიდან რამე შეხება, უცნობია. "ბი-ბი-სი" ფრანგულ პოლიციაზე დაყრდნობით იუწყება, რომ დაკავებულები წარმოშობით ჩრდილოეთ აფრიკიდან არიან და წვრილან პანიკის ხეობაში გადაიღობნენ. პარიზში რიციანი ორშაბათს აღმოაჩინეს, განცხადება კი მხოლოდ მას შემდეგ გაკეთდა, რაც, ერაყში ომის დაწყების შემდეგ, საფრანგეთის ხელისუფლებამ უსაფრთხოების ზომების გააძვირა. ახლა საფრანგეთის ქუჩებში ძალზე ბევრი პოლიციელი და სამხედროა, რომელთაც მათგანელებლის გაჩერების, პროტესტებისა და სასიკოცხო ინფრასტრუქტურის დაცვა ევალებათ.

# “ფოლქსვაგენი” ჩინეთში ბიზნის ქარხანას ხსენს

ტორნიკა შარაშინიძე

გერმანიის უდიდესი ავტომწარმოებელი “ფოლქსვაგენი” აპირებს მეორე ქარხანა გახსნას ჩინეთში, რომელიც კვლავაც ინარჩუნებს ყველაზე მზარდი საავტომობილო ბაზრის სტატუსს. ამის წყალობით, კომპანია იმედოვნებს, რომ 2007 წლისათვის ორჯერ გაზარდოს თავისი გაყიდვები ქვეყანაში. “ფოლქსვაგენი” ჩინეთში უკვე ფლობს “ფეილიდაბოლი-ფოლქსვაგენალს” ნოდებულ ქარხანას, რომელსაც გერმანული კომპანია და ადგილობრივი “ფერსტ აუტომოტივ ერექტი” თანაბრად ფლობენ. ეს ერთობლივი საწარმო ბაზრის 40 პროცენტს აკონტროლებდა, მაგრამ მოგვიანებით, კონკურენტის გამძაფრების გამო, ფირმამ თავისი პოზიციები დაკა-

## მოკლედ

**თბილისი.** ერაყში მიმდინარე სამოხრე მოქმედებების გამო გადაიღო შპს-დენიზის გაზის საბადოს დამუშავების დაწყების ოფიციალური საზემო ცერემონია. ამ პროექტის ოპერატორი კომპანია “ბი-პი“-ს საქართველოს წარმომადგენლობის ინფორმაციით, ღონისძიება 27 მარტს ბაქოში უნდა ჩატარებულიყო. მასში მონაწილეობის მიღებას აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის პრეზიდენტები და შპს-დენიზის პრეზიდენტი ინვესტორი კომპანები აპირებდნენ. **მედია-ნუსი**

**თბილისი.** კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ფიჭური კავშირის მომსახურებაზე კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში გამარჯვებულ 20 ფინის გახდება ცნობილი კონკურსი აუქციონის წესით ჩატარდება და მასში ლიცენზიის სახისი ღირებულება 1,026 მილიონი ლარით განისაზღვრება. 1999 წლამდე გაცემული ლიცენზიების ღირებულება 30 ლარი იყო. ფიჭური კავშირის მომსახურებაზე ლიცენზიებს ხუთი კომპანია ფლობდა – შპს „ჯეოსელი“, შპს „მაგთიკომი“, შპს „იბერკომი“, შპს „ზამქს ს.ა.“ და შპს „ნეოკომი“. კომისიის მიერ დარგში მდგომარეობის შესწავლისას გაირკვა, რომ რეალურად მხოლოდ „ჯეოსელი“ და „მაგთიკომი“ ფუნქციონირებს, ხოლო დანარჩენ სამ კომპანიას საქმიანობა არ დაუსწავია. ამ სამი კომპანიის კუთვნილი ლიცენზიები კომისიამ შპრანს აპრილში გააუქმა. ამის შედეგად, 1800 მეგაჰერცის დაბალხიზზე გამოთავისუფლება სინძირები, რომელიც კონკურსის წესით იქნება ათვისებული. კომისიის ინფორმაციით, კონკურსში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა ორმა კომპანიამ – „ჯეოსელი“ და „საქართველოს ტელეკომმა“. კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში განაცხადების მიღება 2 მაისამდე გაგრძელდება. **მედია-ნუსი**

**თბილისი.** საქართველოს პირველი სავაჭრო პარტნიორი რუსეთია, მეორე — თურქეთი, ხოლო მესამე ადგილზე ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოა. როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკში გვაცნობს, იანვარში რუსეთთან საქართველოს საერთო საკონველტურუნვა 12.082.600 აშშ დოლარს შეადგენდა, რაც საერთო სავაჭრო ბრუნვის 22,4 პროცენტია. თურქეთთან საერთო საკონველტურუნვა 6.882.300 აშშ დოლარი (საერთო სავაჭრო ბრუნვის 12 პროცენტი) შეადგინა. რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს, მასთან ჩვენი ქვეყნის საერთო სავაჭრო ბრუნვა 6.357.800 აშშ დოლარს, ანუ საერთო სავაჭრო ბრუნვის 12,8 პროცენტს შეადგენს. სულ იანვარში საქართველოს სავაჭრო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 53.857.300 აშშ დოლარს შეადგენდა. **მედია-ნუსი**

**თბილისი.** „თბილგაზის“ ახალი მმართველი 24 მაისს გამოვლინდება. გუშინ დაეგმილი სატენდერო კომისიის სხდომა კომისიის წევრთა არყოფნის გამო გადაიდო. **მედია-ნუსი**

**თბილისი.** იმერეთის გუბერნატორმა თემურ შამიაშვილმა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ და საბითუმო ბაზართან ერთიანი ხელშეკრულება გაფორმა, რომლის თანახმად, იმერეთის რეგიონი ლამის პიკზე 125 მგვტ ელექტროენერჯის მიიღებს. ელექტროენერჯის მიწოდებაზე სახელმწიფო ელექტროსისტემა და საბითუმო ბაზარი მხოლოდ მოხმობილი ელექტროენერჯის საფასურის 100 პროცენტით გადახდის შემთხვევაში დათანხმდნენ, რისი პირობაც შამიაშვილმა დადო. **მედია-ნუსი**

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით, ქვეყანაში მოქმედი კომერციული ბანკებიდან - 22 მსხვილ გადახდილთა კატეგორიის მიეკუთვნება. ამ ბანკების მიერ 2003 წლის იანვარ-თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტსა და სოციალურ ფონდებში სულ 2,896 მილიონი ლარი ჩაირიცხა, რაც 2002 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 535,2 ათასი ლარით აღემატება. საქართველოს მსხვილ გადახდილთა ინსტიტუტის მონაცემებით, ქვეყანაში მოქმედი კომერციული ბანკებიდან, 2003 წლის პირველ ორ თვეში, ყველაზე მსხვილ გადახდილთა „თი-ბი-სი ბანკი“ და „გაერთიანებული ქართული ბანკი“ გვევლინება, რომლებმაც ამ პერიოდში, შესაბამისად, 730 და 658,2 ათასი ლარი ჩარიცხეს ბიუჯეტში. **ინტერ-პრესი**


## მონიტორინგი

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება				
დასახელება	პირველი კვარტლის პროცონტი	შესრულება	%	20 მარტი
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	252.46	145.56	58%	2.31
ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	186.38	101.07	54%	1.38
საკადასახლო შემოსავლები	151.98	90.6	60%	1.35
სოციალური ფონდი	53.84	37.99	71%	0.78
საგზაო ფონდი	12.23	6.51	53%	0.15
დეფიციტის დაფინანსება	75.16	44.39	59%	0

**სკს „დავნიკა, ვარშალაშია, ნოლილილი და კავთარაძე“**  
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტანტი

ტელ: 552151  
ფაქსი: 552101  
მლ-ფოსტა: office@dvnk.ge

[www.dvnk.ge](http://www.dvnk.ge)



2003 წლის 21 მარტიდან უახლესი ბალანსის მიხედვით ლარის ოფიციალური ბაზალური კურსები:		
აშშ	1	2288 ლარი
აღმოსავლური ლარის მიმართ	1	3.3433 ლარი
აღმოსავლური ლარის მიმართ	1	1.5409 ლარი
ახს დოლარი	1	2140 ლარი
თურქული ლირა	10	12445 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0682 ლარი
აღმოსავლური ბანკი	1	0.4382 ლარი
სტანდარტი	100	0.3617 ლარი
აღმოსავლური ბანკი	10	4.012 ლარი

# ტურიტული ბიზნისის სავალლო მდგომარეობა და გამოყენებალი კოტინალი

სოფო კინიკაძე

კონტროლის პალატამ საქართველოს ტურიტისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის საქმიანობა შესწავლა და უარყოფითი შეფასება მისცა. პალატის კრიტიკა შეეხო როგორც ტურიტის დეპარტამენტის საფინანსო-სააღრიცხვო დისციპლინას, ასევე კანონებისა და ნორმატიული აქტების შესრულებას, ტურიტისა და კურორტების განვითარების ერთიანი პოლიტიკის განვითარებასა და სხვა საკითხებს.

კონტროლის პალატის დასკვნაში ნათქვამია, რომ ბოლო წლების მანძილზე საქართველოში ტურიტის განვითარება შეფერხებულია, რაც ამ სფეროდან სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების კლებას იწვევს. კონტროლის პალატის წარმომადგენელთა განცხადებით, არც ერთ პოსტსაბჟეტო განხილვაში არ მოხდარა ტურიტული ინფრასტრუქტურის ისეთი განახლება, როგორც ეს საქართველოში მოხდა. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ სახელმწიფო იძულებული გახდა, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი 300 ათასი ადამიანისათვის თავშესაფარი მოქმედ სასტუმროებში, საანატორიუმებ-



კონტროლის პალატა შეხვედრის აკრიტიკებს

ში, პანსიონატებსა და დასასვენებელ სასტუმროებში მიეცა, რითაც ტურიტული და საკურორტო ინფრასტრუქტურის სრული პარალიზება მოხდა. **ქვეყანაში, ტურიტული ინფრ-**

**სტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო ფონის შექმნის შემთხვევაში და დარგში სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების პირობებში, ტურიტის დიდი პერსპექტივა გააჩ-**

# კვლავ ელექტროკრიზისი და ბრავიკი... „კავკასიონის“ აღდგენა

გუშინ ვადამცემი ხაზის „კავკასიონის“ დაზიანების გამო საქართველოს ენერჯისისტემაში დაწყებული ენერჯიკრიზისი, რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტის აღდგენის შეუძლებლობის გამო, დღესაც გაგრძელდება. თუმცა, თბილისში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდება, რაც „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ სომხეთიდან 120-140 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერჯის იმპორტირებისა და „ეი-ი-ეს მტკვრის“ მეცხრე ენერჯობლოკის მიერ გამოშვებული 185 მეგავატის წყალბოთი მოხდება. გარდა ამისა, „ეი-ი-ეს თელას“ ქვეყნის ენერჯისისტემაში, დაახლოებით, 70 მეგავატი ელექტროენერჯის მიღების იმედიც აქვს. ამ სიმძლავრეების მშვეობით, დედაქალაქში სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები სრულად, ხოლო მოსახლეობა – გრაფიკის მიხედვით მომარაგდება.

განსვს კინიკაძე

გუშინ შუადღისას, დაახლოებით, ორი საათის განმავლობაში დედაქალაქის ელექტროენერჯით მომარაგება პარალიზებული იყო. ამის მიზეზი რუსეთ-საქართველოს ენერჯისისტემების დამაკავშირებელი 500 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის

„კავკასიონის“ დაზიანება გახდა, რაც რუსეთის ტერიტორიაზე მოხდარი აფრთხი იყო გამოწვეული. „კავკასიონის“ საქართველო 350 მეგავატამდე სიმძლავრის ელექტროენერჯის იღებდა. მომხდარ აფრთხის, ტრადიციულად, საქართველოს ენერჯისისტემაში ელექტროენერჯის ძაბვის ნულამდე დაცვმა და „ეი-ი-ეს მტკვრის“ მეცხრე ენერჯობლოკის გათიშვა მოჰყვა, რომელიც 200 მეგავატი სიმძლავრის ელ-

ექტროენერჯიას გამოიმუშავებდა. თბილისში ელექტროენერჯის მიწოდება არა მარტო მოსახლეობას, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს, მათ შორის – მეტროპოლიტენსაც შეუშლიდა. საღამოს თბილისისთვის ელექტროენერჯის მიწოდების აღდგენა წარწილობრივ, ძირითადად, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისთვის 250 მეგავატი სიმძლავრის მიწოდებით მოხერხდა, საიდანაც 80 მეგავატი სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯიაც, დანარჩენი კი – შიდა რუსეთის ტერიტორიაზე მოხდარი იმპორტით. თუმცა, მოგვიანებით, „ეი-ი-ეს თელასმა“ სომხეთიდან იმპორტი 140 მეგავატამდე გაზარდა და წუხელ პირველ საათზე მეცხრე ენერჯობლოკი დაუშვა. მიუხედავად ამ ზომების, „ეი-ი-ეს თელასის“ ლობისტი ორაკლი მელამპილი რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტის აღდგენამდე ქვეყნის ენერჯისისტემაში შექმნილი მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმ-

ჯობესებას შეუძლებლად მიიჩნევს. „კავკასიონის“ აღდგენა კი, როგორც აღმინიშნა, ჯერჯერობით, შეუსრულებელი ამოცანაა. არსებული ინფორმაციით, „კავკასიონის“ შეკეთებას, მინიმუმ, სამი დღე დასჭირდება. ტექნიკური მიზეზების გამო, რაც თავის მხრივ რუსეთის ტერიტორიაზე არსებული ცუდი მეტეოროლოგიური პირობებით არის განპირობებული, არ ხერხდება ამ ქვეყნისა და საქართველოს ენერჯისისტემების დამაკავშირებელი ალტერნატიული გადამცემი ხაზის „სალხინოს“ ამოქმედებაც. ამ მდგომარეობაში ნაკლებად საიმედოა შიდა რუსეთის ტერიტორიაზე რადიკალური ენერჯეტიკოსთა განცხადებით, წყლის დონე კაშხლებში საკმაოდ დაბალია. მიუხედავად ამ რაც თუ სახარბილო სიტუაციისა, სათბობ-ენერჯეტიკის საბინების რეკონსტრუქციას, რომ დღეს ქვეყნის ენერჯისისტემა 750-დან 1000 მეგავატამდე სიმძლავრის თავმოყვანა შეუძლებს და ინტერკონიზის არც ისე მწვავე იქნება.

# რუს სახელმწიფოს ხელფასები ქართული ლარით ანაზღაურდება

ლაზრებში გაცემისათვის საბანკო მომსახურების ფორმებისა და პირობების შესახებ“. შეთანხმებით, რუსული ბაზების როგორც სახელმწიფო, ისე სამოქალაქო მომსახურების უკანასკნელთა შორის დიდი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობა, ხელფასი ქართულ ვალუტაში აუნაზღაურდება. ამ შეთანხმებას რუსეთის მხრიდან წინააღმდეგობის საკმაოდ დიდი პერიოდი უძლიოდა. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) წლების განმავლობაში არ ფლობდა ინფორმაციას რუსეთის სახელმწიფო ბაზების თანამშრომლების

ხელფასებისათვის ქვეყანაში შემოსული თანხების ოდენობის შესახებ, რომლებიც ე.წ. საველე ბანკების საშუალებით, ჯერჯერობით, კიდევ გაცივება. სებ-ის ვიდეო-პრეზიდენტის, ვანო ვახტანგიშვილის ინფორმაციით, რამდენიმე დღეში, თბილისში რუსეთის ცენტრალური ბანკის დელეგაცია ჩამოვა, რომელიც ქართულ მხარესთან ერთად, აღნიშნული შეთანხმების ტექნიკურ დეტალებს დაახულებს. ხელი მოეწერება ტექნიკურ ხელშეკრულებას საკონფიდენციალურ ანგარიშების გახსნისა და საკასო მომსახურების შესახებ.

# „ტოპ 75“, რომლითაც ქართულ ბიზნისს უდგას სული

განსვს კინიკაძე

ქართულმა საინვესტიციო ბანკმა „ვალტ უნდ ტავარტ სექიორიტში“ (გტს) 75 საუკეთესო ქართული კომპანიის სია გამოქვეყნა. როგორც ადრე შედგენილი ანალოგიური რეიტინგებში, ამჟამადაც კომპანიების შერჩევის უმთავრესი კრიტერიუმები კომპანიის პერსპექტივობა, მათ მიერ მოპოვებული ბაზრის წილი, ლიდერობა და, ზოგადად, მისი ფინანსური მდგომარეობა იყო. გტს-ის რეიტინგში ფინანსური და ტელეკომუნიკაციების, მედიისა და ტექნოლოგიების სექტორების 15-15, სამომხმარებლო საქონლის წარმოების – 20, საბითუმო ბიზნისის – 15, სასაქონლო და მძიმე მრეწველობის პროფილის – 11, ენერჯეტიკის – ცხრა, ტრანსპორტის – ორი და უძრავი ქონების სექტორის – სამი კომპანია შევიდა. 75 საუკეთესოს შორისაა „კანარკა ენერჯი“ და „ბოლინი ვოლდვი“ ანუ ის ორი კომპანია, რომლებიც უცხოელი ინვესტორების მონაწილეობით არის შექმნილი და რომელთა აქციებიც შესაბამისად ბირჟეებისა და ვესტერაღიის საფონდო ბირჟებზე კოტირებს.



ლოპარტელიანი რეიტინგის ლიდერად ფინანსური სექტორის წარმომადგენელ კომპანიებს, კერძოდ, კომერციულ ბანკებს მიიჩნევს. „საქართველოს ბანკს“, „გაერთიანებული ქართული ბანკს“, „რესპუბლიკას“, „ბაზისბანკს“, „ქართული ბანკს“, „ინტელექტბანკს“, მიკროსაფინანსო ბანკს, „თი-ბი-სი ბანკს“ და „თბილენიფინსალბანკს“ მყარად უყავით რეიტინგის მონიწივე პოზიციები როგორც ძლიერი ფინანსური მდგომარეობის, ასევე ბიზნესის გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის წყალობით. სადაზღვევო სექტორის მხარე მნიშვნელობის გათვალისწინებით, რეიტინგში „ალდავის“ გარდა შევიდა კიდევ ოთხი სადაზღვევო კომპანია: „ბრიტანეთი-კავკასია“, „ჯი-პი-აი პოლიდენგი“, „იმედი ელი“ და „ნაბათი“.

მომგვიანობის თვალსაზრისით, გტს-ის ანალიტიკოსი ყველაზე წარმატებულად მიჩნევს სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელ კომპანიებს („ბაგრატიონი 1882“, „დავით სარაჯიშვილი-გენისელი“, „კახტედი“, „თბილენიფინსალბანკი“, „ვანიანი“, „კასტელი ჯორჯია“, GWS, GGMW, „ლომისი“, თელავის ლენის მარანი“, „კოკა-კოლა ბოთლინის ჯორჯია“, „გროკინი“, „ნაღვი მარგეტელი“, „აბალითა“, „სამგორი“, „სანტელ უილმ პროდუქტები“, „საქართველოს თამბაქოს წარმოება“ და „ნიკორა“)

გავრცელებული ქარხანა შეიყვანა. თუმცა, ლიპარტელიანი დასახლებული ორი და რეიტინგში მოხვედრილი ამავე კატეგორიის სხვა საწარმოები: ზესტაფონის ფეროშენადნობა ქარხნის, „ჭიათურამანგანუმის“, ჩარხმშენებელი ქარხნისა და „აზოტის“ პერსპექტივებს მეტად მოკრძალებულად დასახებს, რადგან მიიჩნევს, რომ ამ საწარმოებს განვითარების ნაკლები შანსები აქვთ. გარდა ამისა, გტს ამ გიგანტ საწარმოებს და მათ მიერ მოხმობილი ელექტროენერჯის საფასურის უზარმაზარ დავალანებას მიიჩნევს ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, რომ ქვეყნის ენერჯეტიკა მძიმე მდგომარეობაშია. გტს-ის რეიტინგის ყველაზე ნაკლებწარმატებული სექტორი, სწორედ ენერჯისექტორია. ლიპარტელიანის თქმით, ენერჯეტიკაში გახორციელებულმა რეფორმამ, რაც სადისკონტო-ციო და გაცემების კომპანიებს შეეხო, რეალური შედეგი არ მოიტანა და ელექტროენერჯის საფასურის აშლილების მაჩვენებელი კვლავ დაბალია. თუმცა, ენერჯისექტორის ლიდერის საკმაოდ მაკრამი პოზიციები აქვთ „ეი-ი-ეს თელასს“, „საქავსს“, „საქნავთობს“, „იბერკომპანის“, საქართველო-ბრიტანეთის ნავთობკომპანიის, „კეო ჯორჯიას“ და „კანარკოს“. სხვათა შორის, ამ რეიტინგში გტს-მ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო „კანარკო ენერჯისა“ და „ბოლინი ვოლდს“. ამის მიზეზია ის, რომ ამ კომპანიების დადამუშავებული უცხოური კომპანიებისთვის საქართველოში წარმოებული ბიზნისი (პირველ შემთხვევაში – ნავთობის, მეორეში კი ოქროს მოძიება) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. გარდა ამისა, ორივე კომპანიის აქციები უცხოეთის საფონდო ბირჟებზე კოტირებს. რეიტინგში ცვლილებები არ შეეხება სასტუმროების ბიზნესსა და ტრანსპორტის სექტორს. სასტუმროებიდან „Top 75“-ში „ოტელ თბილისი“ და „შერატონ მეტეიტი პალასი“ მოხვედნენ, ტრანსპორტის კომპანიებიდან კი ავიაკომპანია „აირენა-საქართველოს ავიანაზები“ და ფოთის პორტი.

# საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარ პრობლემაზე მსჯელობა არ სურს

სოფიკო ახიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მესვეურებმა უარი თქვეს, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პრაქტიკოს იურისტებთან ერთად, მრგვალი მაგიდის ირგვლივ მოწყობილ შეხვედრაში მონაწილეობაზე. არადა, მსჯელობის საგანი სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოში არსებული პრობლემები გახლდათ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანიდან უკვე 1 წელი გავიდა. ამით, უზრალო მოქალაქეებისათვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, საკონსტიტუციო სამართალწარმოება უფრო ხელმისაწვდომი, სწრაფი და მოქნილი უნდა გამხდარიყო. თუმცა, არასამთავრობოები და არაერთი იურისტი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ბევრი პრობლემა მაინც გადაუჭრელია. არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, ნაწილი ამ პრობლემებისა საკანონმდებლო ხარვეზით არის განპირობებული, ნაწილი - საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების რეალური მექანიზმების არარსებობით. სწორედ ამ პრობლემებზე სასაუბროდ გადაწყდა შეხვედრის მოწყობა და პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობა. არასამთავრობო ორგანიზაციის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინიციატივით სასტუმრო "მერიოტში" მოწვეული მრგვალი მაგიდაზე განსახილველად არაერთი საკითხი იყო გამოტანილი.

სხვათა შორის, გუშინდელ შეხვედრაზე არავინ უარყოფდა, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები მართლაც პროგრესული იყო. მაგალითად, თუ ადრე საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეეძლო ერთდროულად ორი საქმე განეხილა, რაც მნიშვნელოვნად აჭიანურებდა საჩრქობის განხილვას, ცვლილებების შეტანის შემდეგ ასადასტურებელი შეუძლია და ვალდებულიც კია, რომ რამდენიმე საქმე ერთდროულად განიხილოს. გარდა ამისა, ცვლილებებზე საჩრქობის შეტანის უფლება ჰქონდა მხოლოდ ფიზიკურ პირს და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მისი კონსტიტუციური უფლება უკვე დაირღვა. ახლა კი საჩრქობის შეტანის უფლება იურიდიულ პირსაც ენიჭება და ამასთან მოსარჩელეს შეუძლია სასამართლოს მიმართოს იმ შემთხვევაშიც, თუ თვლის, რომ ამა თუ იმ ნორმატიულმა აქტმა შესაძლოა, მისი უფლებები დაარღვიოს. მიუხედავად მსგავსი მიღწევების აღიარებისა, "მერიოტში" შეკრებილებს სადავოც ბევრი ჰქონდათ. მათ შორის ის, რომ ძალზე ხშირია საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვის გადაწყვეტილების დაარღვევა, მოსარჩელეთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის არასწორი განმარტება და სხვა.

“ამ შეხვედრის მიზანი იყო, რომ შეკრებილი ყველა მხარე - როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები,



„მრგვალი მაგიდა“ სასტუმრო „მერიოტში“

იურისტები. გვინდოდა გვესაუბრა იმ პრობლემებზე, რაც პრაქტიკაში დაგვიხანძრა, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემდეგაც დარჩა”, - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა გიორგი ჩხეიძემ.

შეხვედრის ორგანიზატორთა თქმით, მათ ჩვეულებრივ სამუშაო შეხვედრის ჩატარება სურდათ, სადაც ერთად დასვამდნენ პრობლემებსა და ერთად იფიქრებდნენ მათ გადაწყვეტაზე.

“თუმცა, მოხდა ისე, რომ მიუხედავად ნინასნარ შეთანხმებისა, შეხვედრამდე ერთი დღით ადრე გაიჩვენა, რომ სასამართლოდან არავინ მოვა, რატომ - არ ვიცით. ითქვა, რომ სასამართლოში პროცესები მიდიოდა. მაგრამ, თუ ასეა, საინტერესოა, ვინ წარმოადგენდა ამ პროცესებზე მოპასუხე მხარეს, მაშინ როცა საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტისა და პარლამენტის წარმომადგენლები შეხვედრაზე მოვიდნენ”, - ამბობენ ახალგაზრდა იურისტები და აცხადებენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით მოუწევს მათთან თანამშრომლობა, რადგან რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა დგას და მათმა მოუგვარებლობამ უკვე კონკრეტული ადამიანების ბედზე მოახდინა გავლენა. ერთ-ერთ ასეთ საკითხად გიორგი ჩხეიძე საჩრქობის განხილვის ვადებს მიიჩნევს:

“თუ ადრე საჩრქობის რეგისტრაციიდან მის მიღებამდე დრო შეიძლებოდა წლობითაც გაგრძელებულიყო, ცვლილების მიღების შემდეგ მკაცრად განისაზღვრა, რომ რეგისტრაციიდან საჩრქობის მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ათ დღეზე მეტი არ უნდა გავიდეს. მაგრამ ეს ვადა პერმანენტულად ირღვევა. ჩვენ გვაქვს ამის 10-მდე მაგალითი. ერთ შემთხვევაში კი ასეთმა დარღვევამ

კონკრეტული ადამიანის ბედზე იმოქმედა. ის განსასჯელი იყო და უზენაეს სასამართლოში მისთვის განაჩენი უნდა გამოეტანათ. მოსამართლე დღემის ნინაშვილმა ერთი სადავო მუხლის გამო, რომლის გათვალისწინება, ფაქტობრივად, ამძიებდა განსასჯელის მდგომარეობას. ჩვენც ეს მუხლი საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივრეთ. ამასთან, გაეთვალისწინეთ, რომ საჩრქობის მიღებისათვის დაწესებული ათი დღე განაჩენის გამოტანამდე მუხლის მოქმედება შეჩერდებოდა, შესაბამისად, განსასჯელის მდგომარეობა შემსუბუქდებოდა. მაგრამ, მოხდა ისე, რომ 14 თებერვალს საჩრქობის შეტანით, საკონსტიტუციო სასამართლომ კი დააარღვია ვადები და გადაწყვეტილება 12 მარტს გამოიტანა. განსასჯელის განაჩენი კი უზენაეს სასამართლომ 5 მარტს გამოაქვეყნა”.

გუშინდელი შეხვედრის ორგანიზატორები არ ფიქრობენ, რომ ასეთი შემთხვევები მაინცდამაინც მოსაშართლეთა თვითნებობით არის გამოწვეული.

“აქ შეიძლება საქმე გვექონდეს საკანონმდებლო ხარვეზთან. იქნება, 10 დღეში გადაწყვეტილების მიღება სულაც შეუძლებელია და, აქედან გამომდინარე, ვადები უნდა გაიზარდოს”, - ამ კითხვას გუშინ პასუხი გაეცემოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლები დისკუსიაში რომ ჩართულიყვნენ.

გარდა ამისა, მრგვალი მაგიდასთან მსხდომი, პრეზიდენტის წარმომადგენელი, არასამთავრობოები და პარლამენტის ერთხმად შეთანხმდნენ, რომ არასწორ პრაქტიკასთან გვაქვს საქმე, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე მხარეები არათანაბარ პირობებში არიან - სხდომას ესწრება მხოლოდ მოსარჩელე, მოპასუხე კი - არა.

არის კიდევ ერთი საკითხი. როდესაც კანონმა დაუშვა იურიდიული პირის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში საჩრქობის შეტანა, გაურკვეველი დარჩა არარეგისტრირებული იურიდიული პირის, მაგალითად, რელიგიური ორგანიზაციის საკითხი. არადა, იყო შემთხვევა, როცა საკონსტიტუციომ ასეთი ორგანიზაციის საჩრქობა არ მიიღო და არგუმენტიდა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა მოიყვანა.

“თუმცა, არასწორად, - ამბობს გიორგი ჩხეიძე, - სტრასბურელი პრაქტიკის მიხედვით, არარეგისტრირებულ იურიდიულ პირს, დაიხანძრება შეუძლია საჩრქობის შეტანა. მაგრამ საკონსტიტუციოში ამის მიხინჯი პრაქტიკა დამკვიდრდა”.

შეხვედრის დღის წესრიგს ოდნავ გადაუსვია პარლამენტმა ვახტანგ ხმალაძემ და საკონსტიტუციოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმის შესახებ დასვა საკითხი. “აქ ორი პრობლემა - როცა კონკრეტული თანამდებობის პირზე ლაპარაკი, მასზე საკონსტიტუციოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის შემთხვევაში შეიძლება სისხლის სამართლის საქმე აღიძვროს. მაგრამ, როცა ლაპარაკია კოლეგიალურ პასუხისმგებლობაზე, ეს პრობლემა”, - თქვა მან. თუმცა, ეს საკითხი კვლავაც ღია დარჩა, უფრო ზუსტად, შეხვედრის მონაწილეები ერთ საერთო აზრამდე მივიდნენ - კოლეგიალურმა ორგანომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აღასრულოს. ეს დაუნერვლი კანონია, საამისოდ რაიმე მექანიზმის მოფიქრება შეუძლებელია.

საბოლოოდ გუშინდელ შეხვედრაზე ითქვა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საკითხებზე მსჯელობა გაგრძელდება და აუცილებელია, რომ ამ მსჯელობაში თვით სასამართლოს წარმომადგენლებიც ჩაერთონ.

# აჭარაში პროკურორები საკვალიფიკაციო გამოცდას ვერ აბარებენ

ნესტან ცხესხაძე  
ათაშვი

აჭარაში იუსტიციის საბჭო კარგა ხანია აღარ არსებობს. მართალია, კანონით, ამ სტრუქტურის არსებობა-არარსებობის საკითხი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ, რეალურად, როგორც ბათუმში ამბობენ, ყველაფერს სწორედ ის ერთი კაცი წვევტს. ალბათ, სწორედ მისი მოსაზრებები აისახა ერთი მოხელის შეფასებაში, რომელმაც გვიცხვრა, რომ იუსტიციის საბჭოს ჩამოციწყალიბებლობა დიდი უბედურება არ არის, რადგან, თურმე, სასამართლო რეფორმაში მისი როლი არც ისე მნიშვნელოვანია.

იუსტიციის საბჭოს წევრები აჭარის პარლამენტმა გასული წლის მაისში აირჩია, მათგან საბჭოს მდივანი უნდა შეჩრეულიყო, რაც დღემდე არ განხორციელებულა. მეტიც, საბჭო არც შეკრებილა და, შესაბამისად, ამ

ორგანოს არ უშეღვევანია. საბჭოს ჩამოყალიბებლობის გაემო, აჭარის პროკურორებს საკვალიფიკაციო გამოცდები ჯერ არ ჩაუბარებიათ და, შესაბამისად, აჭარის პროკურორების რეფორმაზე საუბარიც წაადრევი.

გავრცელებული ინფორმაციით, აჭარის ხელისუფლების დღის წესრიგში საბჭოს ამუშავების საკითხი დადგა. თუმცა, მხოლოდ იმიტომ რომ შესაძლოა, ამ ხარვეზის გამო, საერთაშორისო ორგანიზაციებმა აჭარის ხელისუფლების მისამართით შენიშვნა გამოთქვეან. კულტურული ინფორმაციით, აჭარის იუსტიციის საბჭოს მდივანი გახდება ამჟამინდელი უშიშროების საბჭოს მდივანი როსტომ გუნთაიშვილი. იგი საერთაშორისო სამართლის მაგისტრია და აჭარის არასამთავრობოებსა თუ უზრუნველყოფის საქმეში აქტიურებით სარგებლობს. მას ყველაზე გამჭვირვალე ჩინოვნიკს უწოდებენ. ამა-საგან, ასლან აბაშიძის ნათესავიც არ გახლავთ.

# რუსეთიდან ქართველი მსჯელები გადმოიყვანეს

ბოლო ერთი თვის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი ურთიერთდახმარების სამმართველო რუსეთიდან საქართველოში სასჯელის მოსახდელად ხუთი ქართველი მსჯავრდებული გადმოიყვანა.

სამმართველოს უფროსის გელა ბადრაიშვილის თქმით, რუსეთიდან ექსტრადირებული ოთხი პატიმარი ყაჩაღობისთვის არის გასამართლებული, ხოლო ერთი - ადამიანის გატაცებისთვის.

რუსეთიდან ჩამოყვანილი 30 წლის თბილისელი დავით გუგუჯია-ნი ტიომენის ლენინის რაიონის სასამართლომ ჯგუფური ყაჩაღობის პრალიტები გასამართლა და 9 წლით პატიმრობა მიუსაჯა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

40 წლის ონიე მეფორია ყაჩაღობაში დაწამაყვე ცნო რიაზანის ოლქის სასამართლომ და 8 წლით ალუკევითა თავისუფლება. იგი პატიმრობაშია 1997 წლის მარტიდან.

34 წლის ხელვაჩაურელი მალხაზ აბაშიძე ყაჩაღობისთვისაა განსჯილი. მას მოსკოვის მუნიციპალიტეტში მისა სასამართლომ 1999 წლის 14 დეკემბერს 7 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. იგი პატიმრობაში 1997 წლის ოქტომბრიდან იმყოფება.

თბილისი. საქართველოს ეროვნული გვარდიის ცხიხერის ბატალიონის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი მამუკა წკრილაშვილი თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დღეს თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამის მიზეზი გახდა რამდენიმე დღის წინ ფონიჭალაში მომხდარი ავტოკატორა, როდესაც წკრილაშვილის მძღლი, ამავე ბატალიონის ჯარისკაცი, კარლან ლევან მოსიაშვილი მანქანას წააგდო მდგომარეობაში მართავდა. ავარიის შედეგად სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო სხვა ავტომანქანაში მყოფმა 32 წლის ნინო მეტრეველმა. ინტერ-პრესი.

თბილისი. “გაერთიანებული დემოკრატების” ლიდერი გიორგი ბარამიძე პანკისის ხეობაში ანტიკორმინალური ოპერაციის შესამე ფაზის მიმდინარეობა უკმაყოფილოა და აცხადებს, რომ იგი წარუმატებლად ხორციელდება. “სამსუხაროდ, წარმატებები არ გვაქვს პანკისის ხეობაში დასრულებული ანტიკორმინალური ოპერაციის მიმდინარეობის მხრივ. რამდენიმე ძებნილი, რომელთა დაკავება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა სახელმწიფოებსაც ინიტრესებთ, არათუ ლეკვიდრებული, ნაპოვნიც არ არიან”, - აღნიშნა ბარამიძემ. ინტერ-პრესი.

ქუთაისი. საჩრქობის მაგისტრალის იმერეთის მონაკვეთზე რკინიგზის ლიანდაგების მარცხის ფაქტებმა იმატა. როგორც შ.პ.ს “საქართველოს რკინიგზის” სამტრედიის სამმართველოს უფროსი ბაჩუკი ტრონიჯაძე აცხადებს, მოსახლეობა რესტებს დასამარგებელ ლურსმენებს იპარობდა და ჯვართში აბარებს, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მატარებლების მოძრაობას. ტრონიჯაძემ რკინიგზის პოლიციის რაიონულ განყოფილებებს მოუწოდა, პატრულებმა აწარმოონ ჯარის მძიმე პუნქტებში. საწინააღმდეგარის ცნობით, იანვარში მომხდარი ეკოკატასტროფა, როდესაც ორი ვაგონი დასაბოლოა ჩაიღვარა მდინარეში ხილს ჩატყვის გამო, მოსახლეობის დაუდევრობის შედეგი იყო. აღნიშნულ ფაქტზე გამოიძება ჯერ კიდევ არ დასრულებულია. ინტერ-პრესი.

ზუგდიდი. სამგერლო-ზემო სვანეთში მართლაც მოჰყვა ვაკეკული ლინისძეები - პრეზიდენტის მონიშვნას კონტრბანდასთან ბრძოლის გამოცხადების შესახებ და აფხაზეთის ტერიტორიიდან კონტრბანდის გადმოტანის რამდენიმე ფაქტი დააფიქსირეს. კონტრბანდისტებს შორის კი არა მარტო აფხაზეთიდან ლტოლვილები აღმოჩნდნენ, არამედ თავად აფხაზეთიც. მაგალითად, ახლახან პოლიციამ დააკავა ორამშირეში მცხოვრები, ცრვებში აფხაზი სვეტლანა კვიციანი, რომელიც ზუგდიდის რაიონში ცდილობდა რუსული წარმოების 800 კოლოფი უაქციზო სიგარეტს “ლიდოს” რეალიზებას. პოლიციამ ასევე დააკავა ორამშირის რაიონის სოფელ კინდლის მცხოვრები ვალერი ქარდავა, რომელსაც 1400 კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიპოვნა. 24 საათი.

თბილისი. პოლიციის პენსიონერთა და ვეტერანთა კავშირის - “აბჯარის” დაახლოებით 150-მა წარმომადგენელმა სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის ორგანიზატორის სოსო მუსტაიშვილის თქმით, აქციის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნაა პოლიციის კანონით გათვალისწინებული შეღავათების შესრულება და ყოფილი სამართალმცველებისათვის განკუთვნილი პენსიების გაცემა, რაც რვა თვის განმავლობაში არ მომხდარა. პრაიმ-ნიუსი

თბილისი. სახალხო დამცველის ოფისში დღეს შეკრებილა 20-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა და პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრებმა მიადნიეს შეთანხმებას ერთობლივი კომისიის შექმნის შესახებ.

აღნიშნული კომისია მჭიდროდ ითანამშრომლებს მასმედიასთან და იმსჯელებს იმ პრობლემულ საკითხებსა და საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომელთა განხორციელება მინამწმუნოილი იქნება საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სახალხო დამცველის მუშაობის ეფექტურობის ასაძლიერებლად. კომისიის წევრები, უპირველეს ყოვლისა, პატიმარი მეორების სისხლის სამართლის საქმეების გადახედვასა და მათთვის სასჯელის შემსუბუქება-შენსყიდვის საკითხის განხილვას აპირებენ.

გარდა ამისა, კომისია მოითხოვს საკონსტიტუციო სასამართლოს ამა თვის თებერვლიდან გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, რომელიც პირის დაკავებისთანავე ითვალისწინებს ადვოკატის აყვანის უფლებას და არა დაკავებამდე 12 საათის შემდეგ. ინტერ-პრესი

# „გვირაზების ბათხრას და გაქცევაზე ფიქრს აზრი არ აქვს“

გუშინწინ, გვიან ღამით, ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გათხროლი 30-მეტრიანი გვირაზის პატიმრები გაქცევის მცდელობისა დააკავეს. როგორც ირკვევა, პატიმრები კარგა ხნის განმავლობაში მუშაობდნენ, რათა კოლონიის გარეთ მოხვედრილიყვნენ. გათხროლი გვირაზის სიგრძე და სიგანე საკმაოდ დიდია - მსჯავრდებულები ხოხვით კი არა, წელში გამართული აპირებდნენ ციხის დატოვებას. სასჯელალსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელების განცხადებით, იგვემეობდა მსჯავრდებულთა მასობრივი გაქცევა. გათხროლი გვირაზის მასშტაბიდან გამომდინარე, დასაშვებია, რომად გაქცევა მოეხერხებინა მკაცრი რეჟიმის კოლონიის მთელ შემადგენლობას. “ოპერატიული

ლი მონაცემები გვექონდა და ოპერატიულადვე ვიმოქმედეთ. როგორც ნინა შემთხვევაში, გაქცევის ორგანიზატორებს გვირავში დავადეთ. რაც მთავარია, იმდენად დიდი იყო მათი სურვილი, დატოვებინათ სასაჯელალსრულების დაწესებულება, რომ საკმაოდ დიდ რისკზე წავიდნენ - გვირაზის გათხრა ძალოვანი სატრანსპორტითაა შესაძლებელია დაინწყეს, ანუ იმ ადგილზე, სადაც მათ სიცოცხლეს ოდნავ ზედმეტი მოძრაობისას საფრთხე ემართებოდა. თუმცა ყველანაირი გასრულება ოპერატიულად ავიცილეთ თავიდან”, - აცხადებენ სასჯელალსრულების დეპარტამენტის თვითნებობის დამცველები.

ჩვენ ინფორმაციით, სასჯელალსრულების დეპარტამენტის ყველა

დაწესებულება ყაზარმულ მდგომარეობაშია. გარდა ადგილობრივი ბადრეისა, ციხის პერიმეტრებს იცავენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუდმივი პატრულირების ჯგუფები, მობილიზებული იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმიც. როგორც “24 საათისთვის აცხადებ ცნობილი, შსს-ს პატრულირებისა და სპეცრაზმის ჯგუფის წევრებს პრადანება მისცეს - გაქცევის მცდელობისას, თუკი საქორი გახდება, პატიმრებს ესროლონ.

“გაერთიანებ ყველას, რომ გამკაცრებულია დაცვისა და უსაფრთხოების ზომები, ამიტომ გვირავების თხრას და გაქცევაზე ფიქრს აზრი არ აქვს”, - აცხადებს სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე პაატა მხეიძე.

რაც უნებნა გუშინწინ 30-მეტრიან გვირაზში ღამით აღმოჩენილი პატიმრებს: ყაჩაღობისთვის გასამართლებული ალექსანდრე ლომთაიძე, ასევე ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდებული როლანდ ცინცაძე, ბანდიტიზმის გამო 15-წლიანი პატიმრობით ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გამწესებული ნოდარ მეგრელიშვილი, ქურდობისთვის მსჯავრდებული ემზარ კენჭაძე (აღრეც სცადა ციხიდან გაქცევა, რის გამოც მას სამწლიანი პატიმრობა დაემატა) და მძიმე პრალიტები გასამართლებული შალვა ფუტყერაძე უკვე ორთავალის ციხეში არიან გადმოყვანილები. მათ წინააღმდეგ გუშინდელ ალიძის სისხლის სამართლის საქმე ჯგუფური გაქცევის მცდელობის მუხლით.

# უშიშროების თანამშრომლის მიხარით განზრახ მკვლელობის გეგმის დახატვა

გუშინ, დილით, გორელმა პოლიციელებმა “09” მარკის ავტომანქანაში სატაბელო იარაღით მოკლული მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს. იმ დროს, როდესაც სამართალდამცველები გარდაცვლილის ვინაობას ადგენდნენ, შიდა ქართლის რეგიონულ სამხედრო პროკურატურაში ამავე რეგიონის ცხინვალის ზონის უშიშროების განყოფილების უფროსი ავთანდილ ხუროთელი გამოცხადდა და პროკურატურის თანამშრომლებს ჩვენება მისცა.

ით დაგბრუნდი და საკუთარი ავტომანქანა კორპუსის წინ გავაჩერე. რამდენიმე წუთში შემთხვევით გადავიხედე ავინიდან და დავინახე, ჩემს მანქანაში უცნობი იჯდა. როგორც კი დავეყურე, უცნობი ავტომანქანიდან გადმოვიდა, გადაჭრილი სანადირო თოფიდან ჩემი მიმართულებით ორჯერ ისროლა და სასწრაფოდ ჩავდა მანქანაში. ჩემი სამსახურებრივი იარაღი დავაჯერე ვაგონის ვაგონულ, შემდეგ მანქანის საბურავს ვესროლე. მესამე გასროლისას დავინახე,

რომ ჩემი მანქანის გამტაცებელი დაიჭრა”, - ასეთი ჩვენება მისცა სამხედრო პროკურატურას უშიშროების თანამშრომელმა, რომლის ავტომანქანაც მისი სახლიდან 300 მეტრის მოშორებით, ცხედართან ერთად აღმოაჩინეს. როგორც მოკვიანებით გაიჩვენა, გარდაცვლილი გორელი ლამა პეტრიაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც დაიჭრა მისი და ავტომანქანის გატაცება. “ყველა ხელსაწყო, რომელთა გამოყენებითაც მან ხუროთელის ავტომანქანაში ჩავიდომა მოახერხა, მანქანაშივე დაგვხ-

და. გადაჭრილი სანადირო თოფი კი, რომლიდანაც გაისროლა, ეზოში დავადო და ისე დატოვა იქაურება. ამოღებულია უშიშროების თანამშრომლის კუთვნილი სატაბელო იარაღით გასროლილი ტყვიებიც, რომელთაგან ერთ-ერთი მძარცველისთვის სასიკვდილო აღმოჩნდა”, - ვინაცხადა “24 საათის” საუბრისას მანა ქართლის რეგიონის სამხედრო პროკურორმა რეზო სისაურმა, რომელიც მომხდართან დაკავშირებით საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრა.

### 306 ჩამოსხმის დროს



მედია-ნიუსის ინფორმაციით მიან-მინდა-კრნანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ თემურ ყაჭიშვილმა სუთჯერანი დროის პროცესი გურამ შარაძის სასარგებლოდ დაამთავრა. მისი გადაწყვეტილებით საკრებულოს კენწეროდან დრომა უნდა ჩამოიხსნას, მაგრამ ყველასათვის ნათელია, რომ სასამართლოს

გადაწყვეტილებას აღსრულება არ უნერია. შარაძის გამარჯვებას აუცილებლად მოჰყვება საკრებულო-საკრებულის სარჩელი და საკითხის ხელახალი განხილვა, რომლის შედეგი სრულიად არაპროგნოზირებადი. ამ დროის განმავლობაში კი დრომა ადგილზე დარჩება და კვლავ წერვებს მოუძღის შარაძესა და შევარდნაძეს.

### სატელევიზიო ტოტალიზატორის "სოფიანო ტოტო" გათამაშების წესები

გათამაშება გაიმართება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ყოველ შაბათს 22 საათზე. გათამაშებაში მონაწილეობს 90 კოჭი - 1-დან 90-ის ჩათვლით. მისი წესები მარტივია - იგი ტრადიციული ლოტოს პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოცანაა 15-ციფრანი დაფის შევსება 75 სკლის ჩათვლით. გათამაშებაში მონაწილეობს ორი ტიპის ბარათი:

1. ორბანეზატორის მიერ წინასწარ შევსებული (შვა) სხვადასხვა ფასიანი ბარათი, რომლის შექმნაც შესაძლებელია სარეაქტივო კაშხატაში.
2. მოთამაშის მიერ თავისი სურვილით შეარჩეული ნაბიჯი-რი 15 ციფრი, რომლის შევსებაც შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

მოგებასად ჩაითვლება ბარათი, რომელზეც 75 სკლის ჩათვლით შეივსება ბარათზე არსებული მსაბუღალტრობა ციფრები.

- ბარათის შევსების შემთხვევაში მოთამაშეს ეკუთვნის ფულადი მოგება, რომლის ოდენობა განისაზღვრება დადებული ფსონისა (ბარათის ღირებულება) და ბარათის შევსების მომენტში სკლის კოეფიციენტის ნაშრავლით. მაგ: თუ თქვენი ბარათი შეივსო 30-ე სკლაზე, რომლის კოეფიციენტიც თქვენთვის წინასწარაა ცნობილი და პირველ გათამაშებაზე 16 000-ია, ე.ი. თქვენ მოიგეთ:
- 50-თერთმეტი ბარათის შემთხვევაში - 0.5X16 000=8 000 ლარი.
  - 1-ლარანი ბარათის შემთხვევაში - 1X16 000=16 000 ლარი.
  - 2-ლარანი ბარათის შემთხვევაში - 2X16 000=32 000 ლარი.

### გათამაშების შედეგები და მომავალი ტირაჟის კოეფიციენტების ცხრილი გამომავალ შაბათს "24 საათში".

დამატებითი ინფორმაციისათვის და დაწერილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 96 38 47.

**შეიძინეთ, გაერთეთ და მოიგეთ!**  
შს "ფენიქსი" ვისურვებთ წარმატებას!!!

სკლა	კოეფიციენტი	სკლა	კოეფიციენტი
15	25 000	46	9 00
16	25 000	47	8 00
17	25 000	48	7 00
18	25 000	49	6 00
19	25 000	50	5 00
20	20 000	51	4 00
21	20 000	52	3 00
22	20 000	53	2 00
23	20 000	54	1 00
24	20 000	55	90
25	20 000	56	80
26	20 000	57	70
27	19 000	58	60
28	18 000	59	50
29	17 000	60	40
30	16 000	61	30
31	15 000	62	28
32	14 000	63	26
33	13 000	64	24
34	12 000	65	22
35	11 000	66	20
36	10 000	67	18
37	9 000	68	16
38	8 000	69	14
39	7 000	70	12
40	6 000	71	10
41	5 000	72	8
42	4 000	73	6
43	3 000	74	4
44	2 000	75	2
45	1 000		

## ქართული მედიის „კილომეტრები“ და კოლბა ნათია ზამბახიძისათვის

### თამარ დვალის

ჟურნალისტიკის დღეები, რომელიც 17 მარტს დაიწყო, გუშინ ჟურნალისტიკა სახელში საზეიმოდ დაჯილდოების ცერემონილით დასრულდა. ჟურნალისტიკა ფედერაციის თავჯდომარის აკაკი სიხარულიძის თქმით, ბოლო წლების მანძილზე, თუკი ვინმემ რამეს მიაღწია საქართველოში, ეს ქართული მედიაა და მან ყველაზე დიდი ნაბიჯები იარა. "შარათალია, ქართული პრესა სენსაციურია, მაგრამ, პრესა სენსაციის გარეშე არსად არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. თუ ვინმეს რამე არ მოსწონს, ე.ი მას არ მოსწონს თავად საზოგადოება და ხელისუფლება. მედია ხომ, ჩვენი საზოგადოების სარკეა და იმას აშუქებს, რაც ხდება საზოგადოებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ჟურნალისტიკა მისამართულია საერთაშორისო სტანდარტებს," - განაცხადა სიხარულიძემ. საღამოს წამყვანმა ზაზა ალექსიძემ, ჩვეული იუმორით, ჟურნალის-



დაჯილდოების დროს.

ტებს ქართული მედიის "მეტრები" და "კილომეტრები" უწოდა და ჟურნალისტიკა დაჯილდოების ცერემონიალი ქართული "ოსკარის" სახელით მოწოდებდა. ამის შემდეგ, მან სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული ჟურნალისტების გვარები დაასახელა. დაჯილდოება ძველი თაობის წარმომადგენლებით დაიწყო. ქრისტეფორ გოგინაშვილსა და შახვალად აივაზოვს, ქართული ჟურნალისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ღირსების სახელმწიფო ორდენი გადასცეს. რვა ჟურნალისტიკა, ჟურნალისტიკა ფედერაციის დიპლომები და საჩუქრები ერგოთ. პროგრამა "კურიერის" წამყვანს, ნათია ზამბახიძის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ასახვებში ანალიტიკური სიუჟეტებისათვის, დიპლომთან ერთად, კოლბა გადასცეს, რათა მას ცუდ ამბებზე კი არ გაუჭირდეს სიუჟეტის მომზადება. "უსაჩუქრად არც "24 საათი" დაუტოვებიათ და მოვლენების მიუკერძოებლად ასახვისათვის პრიზი გადასცეს.

## 25 მარტამდე წყალგასაღების უზნაზ მიაკითხეთ

### ნანა ქადაგიშვილი

საკრებულოს 2001 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მოსახლეობის წყალკარანობის დაგეგმვის 15 მონ. ღარი ჩამოაკლდა. მოქალაქებს გადაწყვეტილების მოთხოვნების დროულად შესრულება ევალებათ, რათა ჩამოყრელი დაგეგმვის გადახდა არ მოუხდეთ.

მოსახლეობას საკრებულოს გადაწყვეტილების მხოლოდ ის ნაწილი დაამახსოვრდა, სადაც დავალიანების ჩამონერაზა ლაპარაკი. მეორე ნაწილი კი, რომელიც მათგან 2003 წლის 25 მარტამდე წყალგასაღების უზნაზ მისვლას მოითხოვს, მხოლოდ 27-მა პროცენტმა შეასრულა. ამას ორი მიზეზი

აქვს - მოქალაქეებმა საკრებულოს გადაწყვეტილების ამ მოთხოვნის შესახებ არ აზარფერი იცინ, ან წყალგასაღების უზნაზი კონტროლირთან შეხვედრას ურჩევდნენ, რომ მან ჩამოყრელი დაგეგმვის გადახდა არ მოსთხოვოს. ამასობაში კი, შეიძლება, ჩამოყრელი დაგეგმვის უკანვე დაბრუნდეთ. "თბილწყალკანალი" მკაცრად აცხადებს, - ვინც წყალგასაღების უზნაზ 25 მარტამდე არ გამოცხადდება და საკუთარ ჩამოყრელ თუ ჩამოყრელ დაგეგმვის გადახდას არ აღრიცხავს, საკრებულოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებით ვეღარ ისარგებლებს. "წყალკანალი" ბოლო დროს სადასჯელო ღონისძიებები მოსახლეობის მიმართაც გაამკაცრა. აქამდე, სასმელი წყლის საფასურის გადაუხდელობის გამო, ძირითადად, კომერციულ

ორგანიზაციებმა და საბიუჯეტო დაწესებულებებმა უწყვეტდნენ წყლის მიწოდებას. ახლა "წყალკანალი" უკვე ურჩი მოსახლეობისთვისაც მოიცავს, თანაც, გავფრთხილებს, რომ ეს მხოლოდ გამაფრთხილებელი ღონისძიებებია. "სასმელი წყლის მიწოდებას, ძირითადად, ისეთ უზნაზს უწყვეტებ, სადაც საფასურის გადახდის მარეგულირებელი ძალზე დაბალია. მაგალითად, გლდამში მდებარე ერთ-ერთი კორპუსის მცხოვრებლებს წყლის გათიშვამდე, 5 თვის განმავლობაში, ერთი თეთრიც არ ჰქონდათ გადახდილი. წყლის მიწოდება რომ შეწყვეტილიყო, შედარებით დაიწყეს გადახდა. ამ გამაფრთხილებელი გათიშვებით მცირე შედეგს მინც ვაღწევთ - მიმდინარე თვეში დახარჯული წყლის საფასურს მინც იხდინ, წყლის მიწოდების შეწყვეტა საფასურის ამოღების ერთადერთი საშუალებაა, სხვაგვარად

მოქალაქე წყალგასაღების უზნაზი საკუთარი ნებით არ მიღს. ჯერჯერობით 2 დღეზე მეტი ხნით მინც არ ესვით," - აცხადებს "წყალკანალი". მოსახლეობა კი სადასჯელო ღონისძიებების გააქტიურებას "წყალკანალის" სარეაგირაციო გამოცხადებულ ტენდერს უკავშირებს. - უცხოელ ჯერ არ ჩამოსულა და უკვე წყალგეგმვით, როცა ჩამოვა, მერე რაღა იქნებაო. "თბილწყალკანალი" გვარწმუნებს, რომ მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების შეწყვეტას ტენდერთან კავშირი არ აქვს. ეს მოსაზრება მართლაც ალოკურად გამოიყურება, რადგან "წყალკანალი" მსუფთაობის ახსნა-განმარტებით, - უცხოელი ინვესტორის ჩამოსვლას რომ ველოდებოდეთ, საფასურის ამოღებით თავს არ შევიზუებდით და მიუღლ დავალიანებას მის იმედად დაგეტყუებოთ.

## ლორდ ბერის ვიზიტი თბილისში

ლონდონის სიტის მერი, ალდერმან გევის არტური ქალბატონ მერთან, ქროლ ბლემქოსთან ერთად დღეს თბილისს ეწვევა. მათი ვიზიტი 25 მარტამდე გასტანს.

ლონდონის სიტის ცნობილი "ქვაკუთხედი", სადაც, ტრადიციულად, ფინანსური ინსტიტუტები და მარეგულირებელი ორგანიზაციები განლაგებული. ლორდ ბერი, ლონდონის კორპორაციის ხელმძღვანელს (ლონდონის სიტის ადგილობრივი მმართველობა), შესაბამისად, სეროიზული ფუნქციის შესრულება აკისრია - მისი საქმიანობა მთელ ბრიტანეთს მოიცავს და ხელს

უწყობს ლონდონის სიტის, როგორც მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ფინანსური და საქმიანი ცენტრის მუშაობას. ლორდ ბერი, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით, ბერის მოგზაურობას, რათა დადასტუროს კეთილი ნება და სტუმრული მისცეს ბრიტანეთის ეკონომიკურ ურთიერთობებს, განსაკუთრებით - ლონდონის სიტის ბაზრების მომსახურებით სარგებლობას. საქართველოში მისი ვიზიტი მიზნად ისახავს არსებული დიპლომატიური და საქმიანი ურთიერთობების განმტკიცებას, ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. იგი აქ ეგექტური

ფინანსური მომსახურების სექტორის უპირატესობათა შესახებ დიალოგის გამართვასაც აპირებს. ლორდ ბერს საქართველოში უმაღლეს დონეზე მიიღებენ; გაიმართება მრავალმხრივი შეხვედრები საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან. ლორდ ბერის ოფისმა გარკვეული თანხა გამოყო ახალგაზრდა, ნიჭიერი ქართველი იურიტიკისა და ფინანსისტებისთვის ლონდონის სიტის სამუშაო გამოცდილების გადასაცემად - ბრიტანეთის საბჭომ და საელჩომ უკვე შეარჩიეს წარმატებული კანდიდატები. ლორდ ბერი ოფიციალურად გახს-

ნის ბრიტანეთის საბჭოს ახალ შენობას. ქალბატონი მერი, ქროლ ბლემქო, რომელიც ბიზნესში გამოცდილი და წრებატული ქალბატონი გახლავთ და განათლება ავიაციის სფეროში აქვს მიღებული, საზეიმოდ გახსნის "ბრიტიშ მედიტრანაინ ვარეიზის" ოფისს. ქალბატონ ბერს გააცნობენ სხენებულ სფეროში არსებულ მდგომარეობას. იგი მონაწილეობს ობოლ ბავშვთა თავმჯდომარის - "მომავლის სახლს" ვიზიტს დასასრულს, 25 მარტს ლორდ ბერი პრესკონფერენცია გამართავს, - იტყობინება საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს პრესამსახურში.

## ტუბარკალოზს გამართვისათვის კალაბრით ბეჭედი

### ეთარ ბაგალაშვილი

24 ოქტომბერს - ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს - საქართველო სახელმწიფო ფარგლებში ტუბერკულოზის უფასო მკურნალობის გარდა, წელს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მნიშვნელოვანი დახმარების გაწევის იმედი უნდა გვექონდეს. ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტიკის კონფერენციაში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა განაცხადეს.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დედამიწაზე ტუბერკულოზით ყოველწლიურად ათი მილიონი ადამიანი ავადდება, მათ შორის - ორ მილიონზე მეტი ილუპება. ამ მონაცემების ფონზე, ჩვენთან ამ დაავადებით დაღუპული რაოდენობა საგრძობლად მცირეა, მაგრამ, სპეციალისტთა განცხადებით, მდგომარეობა მინც საგანგაშოა. ოფიციალური მონაცემებით, გასულ წელს ტუბერკულოზის 5800-მდე შემთხვევა გამოვლინდა, რომელთაგან 280 - სიკვდილით დასრულდა. ექსპერტების ვარაუდით, რეალური ციფრი 10-15 პროცენტით მეტიც კია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში, სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა და მკურ-

ნალობა უფასოა, ცნობილია, რომ ექიმების მხრიდან ხშირია ფულის გამოძალის შემთხვევები. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ამ ფაქტს აღიარებს და პირობას დებს, რომ წელს ტუბდისპანსერებზე კონტროლი მაქსიმალურად გაძლიერდება. საქართველოში ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარი წვლილის შეტანას აპირებენ "ნითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტი და გერმანიის "ტექნიკური თანამშრომლობის" საზოგადოებაც. "ნითელი ჯვარი" 1998 წლიდან ეწევა განსაკუთრებულ მუშაობას საპატენტოებში, წელს კი აპირებს იმ საავადმყოფო-დანესებულებების აგებულ მონტეპასაც, სადაც ტუბერკულოზიანი პაციენტები იმყოფებიან.

გერმანიის "ტექნიკური თანამშრომლობის" საზოგადოება, საგანგებო პროგრამით, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ტუბდისპანსერებს შესაბამის თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობით მოამარაგებს. სხენებულ ორგანიზაცია მედიკოსთა ჯგუფების რეგულირებლას გასაღველად სპეციალისტების მანქანების შექმნას აპირებს, ასევე ითავებს ტუბერკულოზის შესახებ მოსახლეობისთვის შესაბამის ტრენინგ-სემინარების ჩატარებასაც. ტუბერკულოზთან ბრძოლის არაეგექტურმა ხშირად პაციენტების უყურადღებობასაც უკავშირდება, ამიტომ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ყველა დაავადებულს მოუწოდებს, დროულად ჩაიტარონ მკურნალობის სრული კურსი.

## ნითელი ჯვარი სკოლაში - გამოცხადებით

ორთაჭლის №9 გიმნაზიაში საქართველოს "ნითელი ჯვრის" საზოგადოება მოსწავლეთა პროფილაქტიკურ განხილვებს ანარმობს. ამის შესახებ ორგანიზაციის თხოვნით მიმართა თავად სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა გალინა ასლანიძემ, რომელმაც "24 საათთან" საუბარში დიდი მუშაობა გაუმოთქვა ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო: "არ ვიცი, რა ემართებათ ჩვენს ბავშვებს. ხან გრძობას კარგავენ, ხან გული მისდით. არის მძიმე დაავადებების შემთხვევებიც. ერთი წლის განმავლობაში სამი ბავშვი დაიღუპა სისხლის დათროებით. ინფექციური დაავადებების შემთხვევებიც ხშირია. ამიტომ გადაწყვიტე, "ნითელი ჯვრისთვის" მიმემართა და დახმარება მეთხოვა. ისინი სულგრძელად და-

მეთანხმნენ და საქველმოქმედო აქცია დაიწყეს." - რატომ "ნითელი ჯვარი"? - "ნითელი ჯვართან" ძალიან კარგი ურთიერთობები გვაქვს. ისინი რამდენიმე თვის წინათ მოვიდნენ ჩვენთან და ბავშვებს ლექციები წაუკითხეს. საახალწლოდ საჩუქრებიც მოუტანეს. ცხადია, ყველა კმაყოფილი დაფრით. მე პირადად ძალიან მომეწონა მათი საქმისადმი მიდგომა. სურთ დახმარება, სურთ ადამიანებისთვის კარგის გაკეთება. ამიტომაც მიმემართე. ვიცოდი, რომ უარს არ მეტყუოდნენ. ჩვენი სტუმრობის დროს სკოლაში დაგვეხდა მთანმინდა-კრნანისის რაიონის "ნითელი ჯვრის" ორგანიზაციის თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, პედიატრი თინა კარა-

ნაძე, რომელიც თავის ექიმებთან ერთად ბავშვებს სინჯავდა. თინა კარანაძე: "მას შემდეგ, რაც სკოლის დირექტორმა დახმარება სთხოვა "ნითელი ჯვრის" საზოგადოების თავმჯდომარეს ნანა ყენიშვილს, დაუყოვნებლივ შევუდგექით ვიქსს. ჩვენ აქ ყველა ენთუზიაზმით ვმუშაობთ და შექმნილი დაგვარად ყველთავეს გავაკეთებ ბავშვების ჯანმრთელობისთვის. ამჟამად თითოეული მათგანის გასინჯვა მიმდინარეობს. თუ რაიმე დაავადება აღმოვაჩენთ, მკურნალობაშიც დავეხმარებთ. სკოლაში საჭირო ნამლებსაც დავარიტებ და ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია. ჩვენ სისტემატური კავშირი გვექნება სკოლის ექიმთან და ერთად დავიცავთ ბავშვთა ჯანმრთელობას.

"უფრო მეტიც, ყენვიდან ველოდებით "ნითელი ჯვრისა და სხვენარმობის" დაგეგმვის ჩამოსვლას. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ახალი პროგრამები დაიწყება და ჩვენი თანამშრომლობაც უფრო გაფართოვდება. მომავალში, ალბათ, სხვა სკოლებიც მიმაძვენ გიმნაზიას". P.S. ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ყენვიდან გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ წუხილს გამოთქვამს ერეყმი მიმდინარე საომარი მოქმედებების მოსალოდნელი მძიმე შედეგების გამო და მოუწოდებს დაპირისპირებულ მხარეებს, დაიცვან საერთაშორისო უმნიშვნელო საშარათლოს წესები და პრინციპები. "24 საათი"

**29 მარტიდან, შეიძინეთ გაერთეთ!**

ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალიზატორის საოყვებო ტოტოს გათამაშება.

შეიძინეთ გაერთეთ!

ფორმა "ფენიქსი" ვისურვებთ წარმატებას.

დავაკრძალავთი ინფორმაციისა და კოეფიციენტების ცხრილი ჩვენი ბაზრით "24 საათში".

## „ქალს შეუძლია, დანგრეული ააგონოს და აშენებულ-დაანგრეოს“

### ლელა მარბიანი

"ქალთა დაცვის კავშირი" ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაციაა დღეს საქართველოში არსებული 150 პოლიტიკურ პარტიას შორის, რომლის სამოქმედო პროგრამაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალთა პრობლემებს. სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია, სანამ არ იქნება დაცული ქალთა უფლებები და ჯერონად არ იქნება გამოყენებული მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები. - განაცხადა გუშინ ჩატარებულ კავში-

რის მესამე ყრილობაზე კავშირის თავმჯდომარემ ნარგიზა გვალიამ. "ქალთა დაცვის კავშირის" ამოცანაა მათ პოლიტიკას ნითელ ზოლად გასდევდეს ორი საკითხი: პირველი - ქალთა დაცვა და მათი მდგომარეობის მონიტორინგი საზოგადოებაში. მეორე - დემოკრატიული არჩევნების ჩატარება საქართველოში. ნარგიზა გვალია ამბობს, რომ ქართული პოლიტიკა და პარლამენტი ბევრად უფრო წარმატებული იქნება თუ გამოიყენებენ ქალთა პოტენციალს: "ბოლო ორი მონვევის პარლამენტში ქალთა წილი 7 პროცენტს ძლივს აღწევს. ალბათ, ამიტომ არის ჩვენი პარლამენტი ასე უპასუხისმგებ-

ლო, აგრესიული და ქმედითულონარი". მისთვის აღმაშფოთებელია ისიც, რომ საქართველოს ისეთ დიდ ქალაქებში, როგორც ქუთაისი და რუსთავია არც ერთი დეპუტატი ქალი არაა საკრებულოში. ყრილობაზე ითქვა, რომ კავშირი იწყებს აქტიურ პროპაგანდას - არჩევნებში ქალთა კვოტის გაზრდის მიზნით. "საქართველოში ამომრჩეველთა 54 პროცენტი ქალია, ე.ი. ჩვენს ხელთაა ე.წ. საკონტროლო პაკეტი. დღევანდელი კაცები მხოლოდ გვბატონობენ და ვერ გვაპტრონობენ, ამიტომ ქალებმა თავად უნდა ვუპასურონთ ჩვენს ოჯახს, ქვეყანას". - აღნიშნა კავშირის წევრმა რუსუდან ხაჭაპურიძემ.

"ქალთა დაცვის კავშირის" ყრილობაზე გამოხუტა ნევრებმა კორუფციაზეც ბევრი ისაუბრეს, რომ "ქვეყანა სულს დაფავს. ამის ძირითადი მიზეზი გაყალბებული არჩევნებია, რომლის შედეგად "პარლამენტში მოვიდა ხალხი, ვისაც არ ანაღველებს ქვეყნის ბედი." ყრილობაზე გამოკვეთა კავშირის სხვა პრიორიტეტული საკითხები-ძლიერ საშუალო ფენის არსებობა და შიდა ვალების რესტრუქტურისაცია. "ქალთა დაცვის კავშირის" მესამე ყრილობა დასრულდა საერთო განცხობით, რომ "ქალი არ არის სუსტი. ქალს შეუძლია დანგრეული ქვეყანა ააშენოს და აშენებული-დაანგრეოს".



ნომრის სტუმარი

ქართულ ჟურნალისტიკას აქვს რამდენიმე მარამ მისი აღმავლობა გარდაუვალია

ჩემთვის ჯგერში ახლაც საოცნებო მხარეა - ტაბიძანთა დიდი გვარის საუფლო. მეც იქ დავიბადე. ისეთი თავისუფალი, ნილაბზამოხსნილი არსად ვარ, როგორც იქ. ნილაბს კი არცთუ იშვიათად ვატარებ. გალაკტიონს ასეთი ფრაზა აქვს - ზედმეტი გულახდილობა სიმივლეს ჰკავს. სიმივლე კი საზოგადოებაში სამარცხვინოა... მართლაც, არ შეიძლება ყველაფერი გამოფინო.

ნოდარ ტაბიძე

მინი კალანდრი

უყვართ ჯგერშილებს ბატონი ნოდარის ერთი ფრაზის გამოხატვა: მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჯგერში გადის... სწორედ ამ მერიდიანზე აქვს სამკვიდრო - ტიციანისა და გალაკტიონის სახლების გვერდით. ქუთაისის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის კათედრა იმდენად დააარსა, რომ ამ მერიდიანთან ახლოს ყოფილიყო... უნივერსიტეტში, მედალოსანი ჭაბუკი ნიკო კეცხველმა მიიღო და ბიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ, გალაკტიონის მშობის პირველი ასეთი კითხვა დაუსვა: ლექსებს წერ? ჟურნალისტიკის განყოფილება სწორედ იმ წელს გაიხსნა... შემდგომში, პროფესორი ნოდარ ტაბიძე 18 წელი ხელმძღვანელობდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტს.

- რა იყო მაშინ ის სპეციალური საგანი, რომელიც მომავალი ჟურნალისტებისთვის იკითხებოდა?

- ასეთი საგნები ძალზე მცირე იყო: ჟურნალისტიკის საფუძვლები - რომელსაც დავით მჭედლოშვილი გვიკითხავდა, რუსული ჟურნალისტიკის ისტორიის - შოთა გაგოშიძე, ველეტონის - ლევან ასათიანი... და კიდევ ორიოდე საგანი. პრაქტიკა ფორმალურად ტარდებოდა. მაგრამ, ყველაფერს არაჩვეულებრივი სიღრმით ვგანსავლიდნენ და ჩვენც ვატყობდით ვსწავლობდით.

ადრე ჟურნალისტიკის სწავლების ნაირგვარი ფორმა არსებობდა. ისინებოდა პარტიული სკოლები, სადაც ჟურნალისტიკას ასწავლიდნენ. 1946 წელს მთავრობამ მიიღო დადგენილება, რის საფუძველზეც ჟურნალისტიკა ახლანდელი მხარე და მხოლოდ უნივერსიტეტებში დაეკისრა. უნივერსიტეტში ყველაზე მძლავრი მატერიალური ბაზა არსებობდა და, რაც მთავარია, ეს სასწავლებელი უნივერსალურ ცოდნას იძლევა.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ სპეციალური ჟურნალისტიკის განათლება საჭირო არ არის. ეს ძირითად მცდარი მოსაზრებაა. იცით, ეს რას ჰკავს? რომ ამ სპეციალური, არქიტექტურის ფაკულტეტი საჭირო არ არის, რადგან, სახეს ოთხკუთხედისა და მთავრებული კალატორიც აგებო... ბუნებრივია, სხვა პროფესიის ნიჭიერ ხალხსაც უნდა გაეცნას გზა. ჟურნალისტიკის განათლება თავიდათავია, თანაც, ცოტა უფრო სხვაგვარად დაყენებული, ვიდრე ამავე დროს - ენციკლოპედიური, საერთო განათლების და პროფესიული დასტრუქციების შერწყმა უნდა ხდებოდეს. სასწავლო საათებიც ამის შესაბამისად უნდა გადაინაწილებს. არ შეიძლება, რომ რუსული ჟურნალისტიკის ისტორიას 12 ან 16 საათი დაეთმოს...

- თვალს ადევნებთ დღევანდელ მედიას, სადაც ბევრი თქვენი მოწაფე მოღვაწეობს... როგორ გგონია, ფაკულტეტზე მიღებულ ცოდნას მაღალი დონით იყენებენ?

- ჟურნალისტიკის კურსდამთავრებული (ნიჭიერ ადამიანს გულისხმობ) რამდენიმე თავით მაღლა დგას, ვიდრე ის, ვისაც ეს განათლება არ მიუღია. ნიჭიერი ადამიანი თავის ცოდნას საუცხოოდ გამოიყენებს.

- ჟურნალისტიკის შეფასებისას ხშირად ერთი ნიშანი არაფერს განსაზღვრავს...

- იცით, რითი გამოირჩევა ჟურნალისტიკის სპეციალობა? დაინიშნა იმით, რომ ჟურნალისტიკა შემოქმედებაა, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული. პოეტს, ზოგჯერ დანაშაულები გეტყვის: ერთი კვირა სტრიქონი არ დაძინებია... კომპოზიტორს ჰკითხავ: როგორაა საქმე? - ეპ, რა საქმე. როიალისთვის ერთი თვეა, საზურგეთი არ ამიხდია... რატომ? და ორივე ერთნაირ პასუხს იძლევა - მუზა არ მესტუმრა, შთაგონება არ მეწვია. მართალიცაა... ყოველდღიურ გაზეთში კი შენს მუზას და განწყობას ვერ დაელოდებიან - ნებისმიერ დროსა და ვითარებაში უნდა შეგეძლოს წერა. აი, ამით განსხვავდებით...

- ...და ნებისმიერ თემაზე?

- ნებისმიერ თემაზე ჟურნალისტიკის ყოველთვის მძლავრ ნაწარმოებს ვერ შექმნის. მე მხარს ვუჭერ ამბულუსს. პიროვნების ვნების, მიდრეკილების, ხასიათის გათვალისწინება აუცილებელია... ეს არ გულისხმობს, რომ გარკვეულ შემთხვევებში მან სხვაგვარად დაელოდა გვერდს აუაროს. თავი და თავი გაზეთია. ზოგჯერ, ისე შეიძლება დაამთავროს ადამიანმა ცხოვრება, რომ ვერც კი გაიგოს, რისი შემძლეა. ნიჭიერი რედაქტორი ამას ბრწყინვალედ გააგებინებს.

- კომუნისტების დროს, ჟურნალისტიკის იდეოლოგია მუშაკებად

იზრდებოდნენ. ახლა რა არის პრიორიტეტული?

- იდეოლოგიასა და პარტიულობას ერთმანეთში ნუ ავურევთ. თითქმის ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს იდეოლოგია. თუ კომუნისტების ფაშს უკლასო საზოგადოებას და კომუნისტების იდეებს ვწვდით ნინ, დღეს ორი საკითხი აქცენტირდება - საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატია.

რაც შეეხება პრიორიტეტებს - ჩვეულებრივ დინებას მივყავით. სხვათა შორის, ყურადღება, უმთავრესად, დაოსტატების ფორმაზე მახვილდება. ეს იგრძნობა კიდევ: ასწავლიან, როგორ უნდა დაინეროს რეპორტაჟი, რა ხერხებია საჭირო დინამიკის შესაქმნელად და სხვა. ხოლო იმაზე, თუ რა უნდა ჩაიდოს ამ რეპორტაჟში, ნაკლებს უბნობენ. შინაარსის სწრაფი ცვალებადობა გამართლება არ არის.

სამწუხაროდ, ქართულ გაზეთთა დიდი ნაწილი ბუღალერულია. ხშირად, სათაურსა და შინაარსს შორის საერთო არაფერია. გართობისა და ჭორაობის ფუნქცია გაძლიერდა.

- მაგრამ, ფაქტია, რომ ამგვარ გამოცემებზე დიდი მოთხოვნილებაა. ბაზარი არსებობს...

- ეს საზოგადოებრივი ცხოვრების დაცემაზე მეტყველებს. მაღალ მატერიალურ საუბარს ხშირად უკუფის ამოვსების ტენდენცია ავიწროებს.

- ამას მოვლად სოციალურ სიღრმეებს ნუ დავბრუნებ...

- რა თქმა უნდა. სოციალურ გასაჭირს იდეოლოგიური სისუსტე და მიზნის ნებისმიერი გატაცება ერთვის. ამ

შენ შემოდიხარ მთვრალი. სკამებს აბრახუნებ, მერე ყვირი - ასე ხვდებიან მეუღლეს? როგორ, ტირილსაც ბედავ? და ისმის სარკის დანარცხების ხმა... გალაკტიონ, არ გრცხვინია? კაცო, რომელიც ასე ნაზ ლექსებს წერ, ასეთი პოეტური, ამბლდებული ხარ, ზოგჯერ, როგორ უხეშობ? ჩემი ძმაო, მოვა დრო ყველაფერი შეიცვლება, რატომ უნდა დაბრჩეს ეს სახელი?.. (ძმის, პროკლე (ახეხალაშ) ტაბიძის წერილიდან)

პრობლემას საფუძვლიანი კვლევა სჭირდება. მიგაქცით ყურადღება: აზვრითდება აფხაზეთის პრობლემა და ან ტერაქტს მოაწყობენ, ან "შეთქმულბას" აღმოაჩენენ, რომ საზოგადოების ყურადღება არარსებულზე გადაიტანონ. ეს შემთხვევითი როია.

- გამოდის, რომ ჩვენი მედია იმართება და ვიღაცის შემოთავაზებული ნებისმიერ თამაშის მონაწილე ხდება...

- მართა ორგანიზაცია - ერთი - ნინანარ გამიზნული და მკაფიოდ გამოხატული (რაც კომუნისტებს ჰქონდათ), მეორე - ირიბი - ქმინა სიტუაციას, რომელიც იმართება და შენდა უნებურად, ამ თამაშში ერთვები.

- როგორ შეიძლება, პრესამ გვეგონო და ურღილის იმით, ვინც თამაშის ნებისმიერ ითვლის...

- ნებისმიერ საზოგადოებაში არის თამაში. სწორედ ეს დაპირისპირება და ნინააღმდგომები განვითარების ხელშემწყობიცაა.

ჩვენ ამდრეულ ეპოქაში ცვხოვრობთ. რა თქმა უნდა, იმის იმედი რომ არ გვექონდეს, რომ ქართულ ჟურნალისტიკაში თვალსაზრისი წარმატებებს მივალდებოდეთ, მაღალი დონის სასაზღვროს ვესაფუხურებთ, მაშინ ჩვენს საქმიანობას აზრი არ ექნებოდა.

- უკანასკნელ ათწლეულში მოღვაწე ჟურნალისტებისთვის ეს ამდრეული ეპოქა, ერთგვარად, უფრო საინტერესოა. შეიძლება, კარგი ცხოვრების ფაშს, მხურვალე ინტერესის გამოხვედრა საგანი აღარ იყოს.

- ვერ დავტოვებთ. ნყალქვეშა დინებები, საინტერესო თემები და ინ-



კორნელი კეკელიძისთან ერთად



ნოდარ ტაბიძე

ტრევიუები კომუნისტური რეჟიმის დროსაც არსებობდა. თემები არ გამოილევა. ვიდრე ადამიანი აზროვნებს, ნინააღმდგომაც იქნება და მხარდაჭერაც. ამიტომ, განსხვავებულ ეპოქებში სხვადასხვა ფანრები და თემატიკა ბუნებრივად ჩნდება. მშფოთვარე ეპოქაში უკეთ ვლინდება ჟურნალისტიკის იდეური მხარე, შინაარსი. მშვიდობიანობის ფაშს - ფორმის ოსტატობა. დღეს ქართ-

- გიორგი გონიერი კაცია. რაც მის სულთან ახლოსაა, იმას ეტანება. სულთა ხელებით და განზრახვით იღწვის. იმასაც დაეძენ, სადისერტაციო ნაშრომი მზად აქვს. ენახოთ, ჩემკენ გადმოიხრება, თუ ორივე ფრონტზე იმუშავებს...

- ბრძანეთ, რომ ადამიანი შემოთავაზებულ წესებს ნებისმიერ უნებლიედ ემორჩილებიან. რატომ მოიკლა თავი გალაკტიონმა, რას ვერ გაუძლო?

- მოდი, ასე ნუ დავსვამთ საკითხს. ისიც გაგიზაროთ, რომ გალაკტიონი გენიოსი იყო. მას ჩვეულებრივი მეტრით ვერ გაზომავ. გალაკტიონისთანა ხუთ საუკუნეში ერთი თუ იხადება. ის მაღალზე მაღალია.

- რუსთაველზე?

- მე სამეულს ვასახელებ ხოლმე - რუსთაველი, ვაჟა და გალაკტიონი. ამით სულაც არ ვაყენებ შეურაცხყოფას სხვებს. ლორია - გალაკტიონისაა.

- გალაკტიონს თუ უთქვამს ვინმე?

- თუ სამეულს ვასახელებ ხოლმე - რუსთაველი, ვაჟა და გალაკტიონი. ამით სულაც არ ვაყენებ შეურაცხყოფას სხვებს. ლორია - გალაკტიონისაა.

- გალაკტიონის კულტი ჩვენს ოჯახში თავდაკვეთი იყო. 12 წელიწადი ერთ-

- ახლა ომია. როგორი უნდა იყოს მედია ასეთ დროს?

- უფრო მობილიზებული და აქტიური, გლობალური ხედვითა და პროცესების მაღალი გადასახედოდან შემდგომელი. მაპატიეთ ეს ზოგადი პასუხი. ჩაღრმავება შორს წავიყვანდა. მაშინ, საგანგებოდ უნდა შეეჭრდეთ ისეთ საკითხზე, როგორცაა - ცნობათა დაზუსტება, ინფორმირების შესაბამისი, ფექტური ფორმების დაცვა, აუდიტორიის ფსიქოლოგიური დამუშავება და სხვა.

- დამოუკიდებლობა და თავისუფალი მედია საქართველოში ერთად გაჩნდა. რამდენად თანაბრად განვითარდა პრესა და საზოგადოება ამ ათწლეულში?

- ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა გამოჭირდება. არ შეიძლება, პიროვნებამ, ინდივიდმა ყველა საკითხზე ერთნაირი კომპეტენტურობით ისაუბროს. მაინც ვფიქრობ, რომ ჟურნალისტიკამ გაუსწრო. საზოგადოება ძალზე ერთფეროვნად განვითარდა.

- თქვენი ვაჟი, გიორგი, პოლიტიკაშია. ახლა ის საკრებულოს წევრია. როგორ უყურებთ მის საქმიანობას დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში?

- ვერ დავტოვებთ. ნყალქვეშა დინებები, საინტერესო თემები და ინ-

ად ცვხოვრობდით... სტუდენტობიდან ვინმედი ყველაფერს: რა მოხდა, სად, როგორ, ვისთან წავიდა... ფაქტები მაქვს დაფიქსირებული. მისი დალაპყის დღის ამბებიც დეტალურად მაქვს დაფიქსირებული.

- ასეთ ტრავმულ დღეს ჩანანერების გაკეთება როგორ მოახერხებთ?

- ეს ჩემი ამოცანა იყო... ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი. გალაკტიონის არც ერთი ნაბიჯი არ უნდა დარჩენილიყო აღუწესაყვი.

- გალაკტიონი რომ გარდაიცვალა, მეორე დღესვე დავვლეთ მისი კაბინეტი და არქივი გადავარჩინეთ. ეს უმდი-

დრესი არქივი ახლა ლიტერატურის მუზეუმში ინახება.

- თუ გისაუბრიათ, რას ფიქრობდა ალკოპოლზე?

- არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, ერთი ჭიკა ლინოც კი რომ შემოეთავაზებინოს. კარგად გრძნობდა მის დაბანგრევულ ძალას. ზოგჯერ, თვეების განმავლობაში არ სვამდა და მაშინ დღე-ღამეში 18 საათს მუშაობდა...

- ყველაზე ზუსტი შეფასება გალაკტიონის ძმამ, პროკლემ მისცა: როგორც ჩანს, ოლია ოკუჯავამ, გალაკტიონის პირველად და უსაყვარლესმა მეუღლემ, მაზლიან დაიჩივლა. და აი, რას წერს აბესალომი: რას იზამ, უსაყვარლესო დაო. გალაკტიონი სხვა ვარსკვლავზე დაბადებული. როცა ორუბლებში ცურავს, მასზე დიდი და მშვენიერი არავინაა. შინაზე ჩამოიღოს და საოცრად აუტანელი ხდება. უნდა ვაპატიოთ სხვა ვარსკვლავზე დაბადებული კაცს. ექვსი წელია, სოფელში არ ჩამოსულა, დედა არ უნახავს... უნდა ვაპატიოთ...

- გალაკტიონს თუ უთქვამს ვინმე - კარგი პოეტიო?

- არ მახსოვს, რომელიმე პირველხარისხიანი პოეტი შეექო... ერთხელ ვკითხე, ვინ არის კარგი პოეტი-მეთქი და... ისეთი დამისახებია, გამეღიმა - მერე გამოისწორა - ნაღდი კომუნისტი, ძამიკო...

- ბევრი რამ გადაფასდა... ახლა სხვა ესთეტიკაა. დღეს სტუდენტებს გალაკტიონი მოსწონთ?

- არის ლირებულებანი, რომლებიც არასდროს კარგად ფასს. გალაკტიონი სწორედ ეს ლირებულებაა.

გალაკტიონში ორი კაცია. ერთი, ბოროტი, რომელიც მტანჯავს და ტკბება ჩემი წამებით. მეორე - საოცრად მაღალი, ლამაზი, ჰუმანური, რომელიც სიცოცხლეს მიმშვენიერებს... (ოლგა ტარნიუსი. გალაკტიონის მეორე ცოლი)

- იქნებ, ჩვენს მედიას სათაური დარქვათ...

- სიმბოლურად ვიტყვი - დაჩხანული ფურცლის მეორე გვერდზე ლამაზად ჩამწკრივებული ასოები ჩანს... ქართულ ჟურნალისტიკას აქვს ჩამუხლებები, მაგრამ მისი აღმავლობა გარდაუვალია.

- მედია მიმინოს წვრთნას ჰკავს - მთელი ღამე ქალს ხელზე უზის და ისიც განუწყვეტლივ, მონოტონურად ჩასძახის... უნდა ტვინი გამოუღაოს და ადამიანის ხმას შეაჩვიოს იმისთვის, რომ მეორე დღეს ადამიანის ბრძანებები შესასრულოს...



მატილაძე



მშობლებთან და ძმასთან

# ბაღდადი - იყო და არა იყო რა...

ჰოლ რიჩარდი  
.ავთნიანი პოეტა

ჩვენთვის ორი ბაღდადი არსებობს, ორივე მნიშვნელოვანი ქალაქია, თუმცა, აქედან ერთი რეალურია, მეორე - ირეალური.

ბაღდადი, რომელსაც დღეს ბომბავენ (თავისი მაგისტრალებით, მანქანის სადგომებით, გარეუბნებით), ერთი უფერული დიდი ქალაქი, აქ გაუსაძლისი სივსება, ისეთი, რომ ხევატს კონდიციონერებიც ვეღარ უძლებს.

სულ სხვაა მეორე ბაღდადი, ჯადოსნური ქალაქი, სადაც სასაბოჟნო სიგრილეს ერწყმის უასპინის სურნელი. აქ მფრინავი ხალხებით დაფრინავენ, აქ თუ მიაყურადებთ, ისმის მონა ქალაქის ჩადრისა და ნაირფერადი აბრეშუმის შრალი. ეს არის ფანტასმაგორული ბაღდადი, ხალიფების ქვეყანა, ძვირფასი, ჩვენს წარმოსახვაში არსებული ოცნების ქალაქი.

ამ ბაღდადში ისმის ცხენების ფლოქების თქართული, ხმლების ქახაჭუხი, მლოცველთა ღაღადი, მიჯნურთა ჩურჩული. იდუმალებით მოცული ჩადრისი მეფის ასულები და ლომგული გმირები ნალოკებში დასეირნობენ და ტკბილ შარბათს იგემოვნებენ. ბაზრები კი სავსეა ოსტატებით, ქურდებითა და ინკონგნიტო ხალიფებით.


კაცმა რომ თქვას, ეს ბაღდადი ყველა იმ ადგილას შეიძლება აღმოვაჩინოთ, სადაც არაბულად ლაპარაკობენ. ეს არის ნალკოტი, ლეთის მოშიბი და რაინდული ქალაქი, რომელიც ათასობით წლის განმავლობაში ბრწყინავდა ჩვენს წარმოსახვაში, და ის კვლავ ციმციმებს ჩვენს გონებაში.

თავის ვადევნებ პალესტინელებს, ჩემს მეზობლად გაზის სადგურს რომ უფლიან. ისინი ბავშვობის თამაშებს თამაშობენ. ეს არც "კოვბობანაა" და არც "ინდილობანა". ამ თამაშს "ალი ბაბა და ორმოცი ყაჩაღი" უწეობ.

ლონდონის არაბული კვების ყოფილი მფიგანი საიდ შეჰავედ თავის სატელევიზიო ინტერვიუში ბავშვობას - 50-იან წლებს იგონებს: "ყოველთვის, როცა იორდანიამ რამდენიმე დღისას ნაული დგებდა, რადიოში გვასმენინებდნენ "ათას ერთი ღამის" ზღაპრებს, იმისათვის რომ მიმშოლსა და წყურვილზე აღარ გვეფიქრა. და ეს ზღაპრები გვასაზრდოებდა.

"როდესაც ტუნისში ტელევიზია შემოვიდა, - იხსენებს რედ დრიდი, ტუნისის საელჩოში კულტურული საკითხების ხელმძღვანელი, - ბავშვები თვალბეჭეტებით უყურებდნენ მულტფილმებს სინდაბაზე და მის შვიდ მოგზაურობაზე, ალაღინის ლამპარზე..."

მეზღაუფრი სინდაბი ბაღდადიდან მიგზავრება, ალაღინი თავის ხალისას გალისას ბაღდადი, ბაღდადეგ ხალიფებს ოქროს ზოდები აქვთ, ბაღდადის ქუჩებში პოეტები დადიან. სიტყვა "ხალიფა" წარმატებულ ნიშნავს. ისინი, ვისაც ბაღდადში ძალაუფლება ეპყრო ხელით, თავიანთ თავს წარმატებულად და იღბლიანად თვლიდნენ. მათი მმართველობა აბსოლუტური იყო, თანაც საუკუნოვანი და წმინდა. მათმა ქალაქმა უძველესი დროიდანვე მეტაფორული დატვირთვა შეიძინა - ლეთის რჩეულის მმართველობა ოქროს ხანაში.



გზად ბაღდადისაკენ (წიგნის გარეკანი)



აქედან გაემგზავრა სინდაბი

VIII საუკუნეში, როდესაც ბაღდადი აშენდა და XIII საუკუნეში, როდესაც ის დაანგრიეს, ეს იყო ყველაზე მდიდარი, ყველაზე წიგნიერი და ყველაზე მომხიბლავი ქალაქი ისლამურ ქვეყნებში.

აი, რას ამბობს მწერალი ჰანან შაიხი: "როცა ამ ქალაქის სახელს გავიგონებ, უამრავი ასოციაცია ამოტივტივდება ხოლმე ჩემს გონებაში. ბავშვობიდან მახსოვს უჩვეულო ბაღდადური ტკბილეულის - მანანის გემო, სულ იმას ვფიქრობდი, ვინც ამ ტკბილეულს გასინჯავს, მთელი სამყაროს გემოს შეიგარძობს-მეთქი. ასეთვე ასოციაციას იხვევს მისი სახელწოდებაც. რატომღაც მეგონა, რომ მანანი ხეზე იზრდებოდა... ახლა მე ჩამეხმის ბაღდადელი პოეტის, ალ-ნავას სტრიქონები, ლეონოზ რომ წერდა, სითბოდ მელვრება ძარღვებში. ისე ცხადად წარმომიდგება ხოლმე ხალიფა პარუზ ალ-რამიდი, რომელსაც მართლა უყვარდა თავისი ხალხი, მდაბიურად გადაიცემდა ხოლმე და ბაზარში დაიარებოდა, გაჭირვებულთა ტკივილი და ფიქრები რომ გავეგო. სხვათა შორის, მას ჩვენს დროში მეფე ჰუსეინი ბაძავდა. პარუზ ალ-რამიდს ისე უყვარდა მუსიკა, ხელოვნება და პოეზია, რომ მისი პარამანა სილამაზის ნაესაყუდელის სიმბოლოდაც კი იქცა. ალ-რამიდის სახელი იყო სიმშვიდის მანიჭებს, ის "ბრძენს" ნიშნავს."

"ბაღდადი - სიბრძნის ქალაქი, - წერს არაბულ-ამერიკული ინსტიტუტის პრეზიდენტი ჯეინი ზოგბი, - ეს ქალაქი სიმბოლოა (არა მხოლოდ ერავლეებისა და არაბებისათვის) იმ დიდებული, როცა არაბული სამყარო იცნობდა ბაღდადს, როგორც ცივილიზაციის, მღვდელმთავრის, ხელოვნების და იდეალის ცენტრს.

რეალურად და ილუზია ერთმანეთს ერწყმის სიბრძნისუღ ბაღდადში, ზუსტად ისე, როგორც ეს ზღაპრებში ხდება. არაბთა დიდმა ნაწილმა ნერა-კითხვა არ იცის. გასული წლის გაეროს განცხადებისა (არაბეთის შუმბნური განვი-

თარების შესახებ) და ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბული ფონდის მონაცემების მიხედვით, 1999 წელს არაბეთის მოსახლეობიდან ქალთა ნახევარი და მამაკაცთა 26,9 პროცენტში ნერა-კითხვის უცოდინარი იყო. ბევრ არაბს არც ალ-ჯაზირას მოსმენის შესაძლებლობა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ყველამ ლამის ზეპირად იცის ზღაპრები ქალაქის მწვანე ტაძარზე, ქათმის კვერცხისოდენა ლალის თვლებზე, ვინზე, რომელიც ყველა ნატვრას ასრულებს და რომელიც, როგორც მეზღაპრები გვეუბნებიან, ცეცხლისგან იბეგ, ისევე როგორც ადამიანები იმევენ მინისგან ან აველოზზე - შაერისგან.

ეს ზღაპრები თაობიდან თაობას გადაეცემოდა, მეზღაპრები საათობით ჰყვიებდნენ ამ ამბებს; მსმენელი არ ილევია, ისინი ჩაიხანებები სხედან, ცხელ ქაფქაფავს ჩას სვამენ და აღტაცებით ხოტბას ასხამენ მეზღაპრებს. დიდ ქალაქზე მათ მიერ შეთხზული ისტორიების დიდი ნაწილი გამოწარმოა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთლიანად - არა. ხალიფების ბაღდადი ნამდვილად არსებობდა, ის საოცრება იყო და, სამწუხაროდ, ეს საოცრება დაინგრა.

ყველა ის ზღაპარი თუ თქმულება, რომლებიც ბაღდადის შესახებ გვიამბობს, უმტკივნეულოდ გვერდს ვერ უყვლის ქალაქის დაღუპვის ფაქტს. ბაღდადის მცხოვრებლებს არასოდეს დაავინწყებიათ, როგორ დაარბია მტერმა ბიბლიოთეკები და მწიქთები, არასოდეს დაავინწყებიათ დამარცხება.

ბაღდადი, ვაშინგტონის მსგავსად, გეომეტრიული სიზუსტის ნორული გეგმის მიხედვით არის აშენებული. მშენებლობა 762 წლის 2 აგვისტოს დაიწყო.

ბაღდადის მკაცრად გეომეტრიული დიზაინი, ვაშინგტონის მსგავსად, ვიზუალური დეკორაცია იყო. დეკორაცია იმისა, რომ დეკორაციაზე დიდი ბადა ახალი ერი, ნათელი და წმინდა იდებოთ.

აბასიდ ალ-მანსური ის მმართველი იყო, რომელმაც ბაღდადი ქალაქად გამოაცხადა - მეორე ხალიფა ბაღდადის ამ დინასტიის 37 ხალიფადან. ისტორიული წყაროების მიხედვით, ალ-მანსურმა თავად შეარჩია ის ადგილი, სადაც ქალაქი უნდა გაემყენებინათ და ქალაქის არქიტექტურაზეც თვითონ იზრუნა.

ასე დაიბადა ახალი ქალაქი ბაღდადი - "შვიდობის სასუფეველი", ისლამური რელიგიით, სიმბოლური დატვირთვითა და მრგვალი არქიტექტურით.

მრგვალი გეგმა, ისევე როგორც თანამედროვე ეპოქაში ვაშინგტონის გეგმა, მოინოხეს. წრე სრულყოფილ ფორმას წარმოადგენდა, მის ფოკუსში იყო ერთი წერტილი - ცენტრი, როგორც რწმენა ერთი ღმერთისა.

ხელოვნების ისტორიკოსთა გამოთვლებით, ბაღდადის წრეს ჰქონდა 2 500 იარდის დიამეტრი. გალავნიანი და კომპლექსიანი დედაქალაქი ხალიფას რეზიდენციის გარშემო ნორულად იყო განწყობილი. ხალიფას მთავარი მჭეეთი და სასახლე მუდამ გახსნილი იყო.

ალ-მანსურმა 100 ათასი მუშა შემოიკრიბა, ქალაქი რომ აეშენებინა. 766 წლისთვის ქალაქი დასრულებული იყო.

X საუკუნეში ბაღდადი უკვე მთლიან მოსახლეს ითვლიდა; მამინ როცა ვეროპაში ხალხი ჯერ კიდევ ქოხებში ცხოვრობდა, ბაღდადში ცხოვრება დულდა, აქ იყო 100 წიგნის მაღაზია, უზარმაზარი ბიბლიოთეკა, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დანერგვის შემდეგ რომ აშენდა, "სიბრძნის სახლი", სადაც 825 წელს კაცმა, სახელად ხვარიზმა დანერა წიგნი მათემატიკის შესახებ, მან შემოიტანა ევროპაში სიტყვა "ალგებრა" და ბევრი მათემატიკური ტერმინი.

917 წელს ქალაქი ბიზანტიის ელჩმა მოინახულა, როგორი იყო მამინ ბაღდადი? მისი მოგზაურობის ამსახველი ჩანაწერი ვადარა: 10 ათასი მოქოროვილი მუზნარაი ხალიფას სასახლეში, მერკურის მანათობელი აუზი, რომელშიც ოქროს ნავები დაცურავდნენ, ოქ-

რო-ვერცხლის ხე, რომლის ტოტეზზეც ოქროს ჩიტები ჭიკტიკებდნენ, 100 ლომი ბაღდადის ზოიპარკში, რომელთაც თითოეული თავისი მომვლელი ჰყავდა. და ყოველივე ამის მერე ქალაქი დაინგრა...

ცხოვრება შუა საუკუნეების ბაღდადში დალხინებული არ ყოფილა: შავი ჭირის ეპიდემია, წყალდიდობები და ატყდა თავს, ბევრი უბედურება. და მაინც ბაღდადი ბრწყინავდა.

1258 წელს ბაღდადი დაინგრა. ეს იყო იმ წელს, როცა მონღოლები მოვიდნენ.

ჰულიგო, მონღოლთა მეთაური, კუბლაი ხანის ძმა, ადამიანი, რომელთანაც ხუმრობა არ ჭრიდა, ბაღდადს მოადგა. აბასიდი ხალიფების ბოლო ხალიფამ ალ-მუზტასიმმა მოლაპარაკება მოითხოვა. ეს არაბების უკანასკნელი დიდი მეცდომა იყო.

მონღოლებმა ხალიფა მოკლეს, ქალაქი გაბარცეს, დანერგეს ბიბლიოთეკები, გადაწვეს მჭეეთები და სასახლეები, ხომტუნე ააგეს მოსახლეობა. როგორც ამბობენ, ამ სისხლისღერის დროს 800 ათასიდან 2 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. სისხლისღერა 40 დღე გრძელდებოდა.

მიდნარე ტეროსში იმდენი წიგნი ჩაყარეს, რომ წყალი შავად შეიღება მელისხავად.

მას შემდეგ რამდენჯერმე იყო ამ ტერიტორიის ხელახლა დასახლების მცდელობა, მაგრამ მერე ცხენოსანი დამპყრობლები მოვიდნენ, ყველაზე სასტიკი, სამარყანდელი თემურ ლენგი გახლდათ, რომელმაც ორჯერ დალაშქრა ქვეყანა. მეორე დარტყმა განამდგურებდა იყო. თემურ ლენგის ბრძოლებს დროს 90 ათასი ადამიანი გამოეცალმა სიცოცხლეს.

"ამ ქალაქზე ერთ ასეთ ამბავსაც ყვე-ბიან, - იხსენებს მწერალი ჰანან შაიხი, - ეს ამბავი ოტომანის მმართველობის დროს მოხდა - ბალკანელი სლავის, ცისფერთვალა, ქერა, ისლამის რჯულზე

მოქცეული კაცის მმართველობის დროს. ოტომანი სიცხეს ვერ უძლებდა და სულ წყევლა-კრულვას უთვლიდა ბუნებას. "შეხედე, როგორ ლამაზად იზრდებიან ფინიკის პალმები სიცხეში," - უთხრა ერთხელ მრეველმა, ვითომდა, დასამშვიდებლად. ამ პასუხმა უფრო განარისხა ოტომანი, მეორე დღეს მმართველმა ყველა ფინიკის პალმა მოაჭრევინა."

მას შემდეგ, რაც "არაბული ლამეები" პირველად გადაითარგმნა ფრანგულ ენაზე (1704 წელი), მისმა ეგზოტიკურმა სურნელმა კულტურაშიც გაყოხა. რა თქმა უნდა, წიგნი გამოწავიანია, ისევე როგორც მისი ბაღდადი. მაგრამ ვაშინგტონში ქალაქის ეს მირაჟი უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, ფანტაზია. რეალურად ხომ არსებობს მისი ნაშთები - ვაშინგტონში ბაღდადის კულტურის ნიშნები დაცულია Arthur M. Sackler Gallery-ში და Freer Gallery of Art-ში.

ერთ-ერთი ექსპონატი სპონდენისა და ვერცხლის ქოთანია, რომელიც ბაღდადში მონღოლების შემოსვლამდე დამზადებული. ის ან ღვინისთვის გამოიყენებოდა, ან ვარდის წლის შესანახად. ვარაუდობენ, რომ ეს ქოთანი მხოლოდ საპატრიცეულო სტუმრებისთვის გამოიჭობდათ. დღეს ეს დაზიანებული ექსპონატი უკვე ბაღდადის დაცემავში მიგვანიშნებს, ისტორიის ავტო-ლითობაზე, იმაზე, თუ როგორ დაქინდა ერთ დროს უმდიდრესი ქალაქი.

ისლამი მახვილისა და წიგნის რელიგია იყო. ისლამური სამყაროს ჯარებს გამარჯვებასთან ერთად განათლებაც მოჰქონდათ. Freer Gallery of Art-ის საცავში ინახება პატარა ფაიფურის თასი, ეს არის აბასიდების IX საუკუნის კერამიკა. ამ კერამიკის დიზაინი საინტერესო და ლამაზი აბსტრაქცია კი არ არის, როგორც ეს ერთი მხედვით ჩანს, კერამიკის მოხატულობა არაბულად დაწერილი ლოცვის ტექსტია. ეს თასი ერთ-ერთი უძველესი მუსლიმანური კერამიკაა, რომელიც ორნამენტად ან-ბანია გამოიყენებულა.

ბაღდადი ცნობილი მთარგმნელობითი კერაც იყო. აქ ითარგმნებოდა ჩინური, ინდური, ბერძნული, ლათინური ლიტერატურა. ერთ-ერთი პირველი არაბულად ითარგმნა დიოსკორიდის Materia Medica - კრებულს ექიმებისათვის. ეს არის მდიდრული გამოცემა, რომლის მოხატულობაც 1224 წლით თარიღდება. Freer Gallery of Art-ში ხელნაწერის შვიდი ფურცელი ინახება. ერთ-ერთი ამ ფურცელზე ძალის ნაკებისგან მკურნალობის მეთოდებია აღწერილი.

ბაღდადის ისტორია, მისი კულტურა მომავალდებოდა, მაგრამ მაინც ვერ შედგებოდა ჩვენს ფანტაზიაში არსებულ ბაღდადს, ვერ შეედრება იმ აურთხავლ საგანურებს და ჩაღმებს, ჩვენს წარმოსახვაში რომ არსებობს.

ბაღდადი, გარკვეულწილად, კვლავ "ოცნებების ფაბრიკა" მოიანზრება. როგორ დაუშვებს ახლი აღმოსავლეთის ხალხი მის დაცემას, როგორ შეეგუება უცხოელების მიერ ბაღდადის ალტის ფაქტს? დაბეჯითებით არ ვიცი, მაგრამ ეს დასაბოლებით იგეგვა, მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელები გალიფონიანში რომ შეჭრილიყვნენ, ან პასადენა დაეპყროთ, ან თუნდც ჰოლივუდს დაპატრონებოდნენ...

## იდეალური სამყაროს მოდელი

"გარიყულა" - სოფელი, სადაც ყველას ელიან

პერა ნაშარქიძე

"გარიყულა" ერთი "შამანური" ადგილია, სადაც დრო ხშირად, რეალურად ჩერდება და მხატვარი თავის თავს "იხსენებს". ჩვენი ნოსტალგიისა და მომავლის გადაკვეთაა, სადაც ერთხელ "უდროობაში" ვიცხოვრეთ სასვე, ადამიანური და "ალტრუისტული" ცხოვრებით, დღეებითა და ღამეებით, - მხატვარი იური ბერძენილის ამ სიტყვებს იზიარებდა გუშინ კლუბ "სარდაფში" შეკრებილი ქართველი მხატვრების საკმაოდ წარმომადგენლობითი საზოგადოება. სხვადასხვა თაობისა და მენტალიტეტის მხატვართა მრავალრიცხოვანი აუდიტორია გუშინ საერთო იდეამ შეკრიბა. საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრის ბოლოს ორგანიზატორებმა თამამად განაცხადეს, რომ მათი იდეა ამუშავდა.

ვის არ უოცნებია, ჰქონოდა საკუთარი სამყარო, სოფელი, სადაც

მისთვის სასურველი, ერთი იდეით ატაცებული ახლობლების გარემოცვაში დასახლდებოდა. როგორც გუშინ სარდაფში შეკრებილმა მხატვრებმა გაიხსენეს, მათ ეს სურვილი ადრეული ახალგაზრდობიდან იტაცებდათ. შიდა ქართლში, ახალქალაქში წლების განმავლობაში არსებობდა სამხატვრო აკადემიის ბაზა, სადაც პრაქტიკული სამუშაოებისთვის გამგზავრებული სტუდენტები საუკეთესო დროს ატარებდნენ. "ყველა გზა რომისკენ მიდის... რამდენი რომია... ვინ იცის. ერთი პატარა "რომი" "გარიყულაა", სადაც მრავალი წლის წინათ, იმ ფანტასტიკურ გარემოში, მრავალჯერ "ნაშარაფე" მხატვრულ ტილო-სუფრაზე, კიდევ არის დაუღვეველი ღვინო, სიყვარული და... ყველაფერი, რაც ყოველთვის მიუწვდომელია ჩვეთვის, მაგრამ ჩვენს გვერდითაა იდეალიზმის უხილავ სამყაროში, სულ ერთი ნაბიჯია იქამდე, ამისთვის მთავარია სული", -



ყარამან ქუთათელაძე და ქეთი კორძახია მხატვრების წრეში

ასე იხსენებენ დღეს ქართველი მხატვრები შიდა ქართლში გატარებულ წლებს და ტრადიციის გასაგრძელებლად ახალ ფორმებს ეძებენ.

ტრადიციის გაგრძელება ყარამან ქუთათელაძემ საკუთარ თავზე აიღო. მხატვარმა მისი საკუთარი სახლი გარიყულაში ხელოვანთა სოფელს (რომლის გაშენებასაც ახლო მომავალში აპირებენ მისი თანამოაზრეები) შესწირა და სათავეში ჩაუდგა ფონდს, რომელიც შიდა ქართლში ხელოვნების განვითარებაზე იზრუნებს. გუშინდელ შეხვედრაზე ფონდის პროგრამის ამუშავება გვაუწყეს. მორიგი ნაბიჯი აქტივისტების მხრიდან ქართველ მხატვართა ერთობლივი გამოფენა იქნება. დეტალური ინფორმაცია მხატვრებისთვის უცნობი იყო. "გარიყულას კარი ღია იქნება ნებისმიერი ხელოვანისა თუ ხელოვნების მოყვარულისთვის. ხელოვნების სახლში

მონაწილეობის სურვილი გამოთქვს უცხოელებმაც", - გვითხრა იდეის კიდევ ერთმა მხარდამჭერმა, ხელოვნებათმცოდნე ქეთი კორძახიამ.

"როდესაც ყარამან ქუთათელაძემ გარიყულა მაჩვენა და გამიხილა "ხელოვნების სახლს" იდეა, რომელიც კავკასიაში "ბაუშაუზის" როლს შეასრულებს, მოვიხიბლე ამ იდეით, ისტორიით, ადგილითა და თავისუფლებით, რომელიც ამ ყველაფრის გასუფიერებელი ნაწილია", - ამბობს ამერიკელი მხატვარი ჯო კეგლი. უცხოელებმა, ისევე როგორც ქართველმა მხატვრებმა, დიდი სიხარულით აიტაცეს ხელოვნების სახლის დაფუძნება. გუშინდელი შეხვედრა ამის ნათელი მაგალითი იყო. შეხვედრას ახალგაზრდა მხატვრებიც ესწრებოდნენ და ის სტუდენტებიც, რომლებიც სამხატვრო აკადემიიდან საზაფხულო პრაქტიკული სამუშაოებისთვის შიდა ქართლში, ალბათ, ჯერ არც ყოფილან.

Advertisement for 'გარიყულა' (Gariyula) featuring a large image of a mountain landscape and text: 'გარიყულა - სასტუმრო', 'გარიყულა', 'გარიყულა'.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ ბარკვებით. გზავნი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შიშვენი "ხალხის პირისპირ". თქვენი შედეგების შედეგად, დაგისაზღვრდებათ გადამცემის კომპიუტერული ან ანკეტის შედეგით თქვენ ეთხმადებით შიშვენი "ხალხის პირისპირ" წესებსა და აირჩევს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",  
ტელევიზორი "ხალხის პირისპირ",  
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიზორი "ხალხის პირისპირ" შეიძლება ანკეტის საფუძველზე, ავითომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:  
დაქორწინებული, დაუმორჩინებელი, გაყრილი, ძვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გააქვთ)

საფოსტო ინდექსი:

ბანათლება:  
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:


სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მხოლოდ კატეგორია, რომელიც კარგად ვიცნობთ, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, სავსებით უცხო "არაფერი" ან ვერცხის მკვლელობის მფლობელები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გააქვთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისათვის თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?



გთხოვთ, დააყრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააყრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დღეს დღეს?

მიყვარს თუ არა მოგზაურობა? (თუ მიმოგზაურობთ საერთაშორისო ბარათს და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისწავლებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რაგის შეცვლა საკუთარ ბარბანტებსა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორია თქვენი საყვარელი მხარე და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმები?

ბავშვთ თუ არა მიყვანი, რომლის მიღწევაცაც მოცნობოთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატურის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად ბავშვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ვგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმი?

ბავშვთ ან გქონდათ თუ არა რაიმე მიტანა? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადავლოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ახალხში?)

ბავშვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტატიის ბათონების "მითარს სწავლა" შესრულება, ან აპირებთ ბარათიშორი მუსიკის ბავშვთ?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადამგდინათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

ჰოლანდიელი იტალიელს არ ენდობიან

უკვე კარგა ხანია, რაც ფრანკო სენსის "რომას" ამსტერდამის "აიაქსის" ორი ლეგიონერის - შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და რუმინელი კრისტიან კივუს შექენა სურს. ირივე ფეხბურთელმა რომშიც ითამაშა ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის ბოლო მატჩში და რომაელებს კიდევ უფრო განუმტკიცდათ მათი შეძენის სურვილი, მაგრამ ფრანკო სენსი ვერ ახერხებს, "აიაქსის" პრეზიდენტის, რუდი კროლის გული მოიგოს.

ლაურსენს „მილანში“ აღარ ენდა

ჩემპიონთა ლიგის ბოლო ორ ტურში მადრიდის "რეალთან" და დორტმუნდის "როზუსასთან" ნაგების შემდეგ "მილანის" დანიელ მცველს, მარტინ ლაურსენსს, კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. ლაურსენსმა ის ორი მატჩი, მართლაც, ძალიან ცუდად ჩაატარა, მაგრამ, ამის მიუხედავად, დანიელი ფეხბურთელი მაინც ძალიან გაანაწყნა იტალიელთა საყვებლებმა და განაცხადა, რომ "მილანში" მხოლოდ სენსის ბოლომდე დარჩება.

კლუბებთან დაიჭერ საქმეს, მაშინვე პრობლემები ჩნდება ხოლმე. მირჩევნია, მოლაპარაკება ვანარმოო "მანჩესტერ იუნაიტედთან" ან "ბარსელონასთან", მაგრამ არა იტალიელებთან", - ამბობს ჰოლანდიელთა პრეზიდენტი.

„აღვილი არ არის ისეთ კლუბში თამაში, რომელიც ერთდროულად სამი ტიტულისთვის იბრძვის. ნლეულს მე ურთულესი სეზონი ჩავატარე და არ მინდა, მომავალ წელსაც იგივე განმეორდეს. ვიცი, რომ ჩემი ინგლისური კლუბები არიან დიდიტერესებული, რაც ძალიან მახარებს. დიდი სიახლოვეებით ვითამაშებდი ლონდონურ "ტოტენჰემში". პრემიერლიგაში თამაში ჩემი ოცნებაა", - განაცხადა ლაურსენსმა.

ვალენსიაში ფრანდკანინაები არ ჰყვარებიან

ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის ბოლო მატჩი შეტად უსიამოვნო გამოდგა ლონდონის "არსენალის" არათეთრკანინანი ფეხბურთელებისთვის. "ვალენსიასთან" ბრძოლაში "მეთოფეგებს" სასტიკად უშლიდნენ ხელს ესპანელი ფანები. ისინი "არსენალის" ფერადკანინა ფეხბურთელებს მთელი შეხვედრის განმავლობაში აყენებდნენ შურაცხყოფას. ვალენსიელებს განსაკუთრებით თვალში არ მოუვიდათ "არსენალის" ფრანგი ფეხბურთელები ტიერი ანრი და პატრიკ ვიერა, რომელთაც ბოთლების სროლა დაუწყვეს.

შემდეგ კარუე ვიერასთან მივიდა და ფანების მაგივრად ბოდიში მოუხადა, მაგრამ ვიერა მაინც ვერ დაწყნარდა. "კარუემ ბოდიში მოგვიხადა, მაგრამ ეს საქმეს არ შევლის. კარუე აქ არაფერ შუაშია. ეს UEFA-ს პრობლემაა, რომელიც მუდამ ირწმუნება, რასისხმს ვებრძვიოთ, მაგრამ რეალურად არაფერს აკეთებს. არ კერა, კლუბები დაჯარიმდნენ სულ რაღაც 5000 ევროთი. უფრო ქმედითი ზომების მიღება საჭიროა", - განაცხადა გაბრაზებულმა ვიერამ.

ასათიანმა პირველი "რუსული" გოლი გაიტანა

გუშინ რუსეთის უმაღლესი ლიგის გუნდების დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. მოსკოვის "ლოკომოტივის" დუბლებმა "ზენიტის" სათადარიგოებს უმასპინძლეს და დიდი ანგარიშით 4:0 დამარცხეს. "ლოკომოტივის" რიგებში თავისი პირველი რუსული გოლი გაიტანა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანმა,

მალხაზ ასათიანმა. მან თავი 54-ე წუთზე გამოიჩინა - მისი შედეგიანი დარტყმის შემდეგ ანგარიში 3:0 გახდა. დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატში გუშინ გოლი გაიტანა ნიტაიშვილმაც, მაგრამ ამ გოლმა მის გუნდს, "ჩერნომორცეს" ვერ უშველა, რომელიც "ურალანის" დუბლებთან საკუთარ მოედანზე დამარცხდა ანგარიშით 1:2.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 30 წლის წინათ...



„რეალი“ VS „მანჩესტერი“ ამ მატჩს ყველა ელოდა, თუმცა, ის ფინალი გვებოდა...



„რეალი“ VS „მანჩესტერი“ - ეს საინტერესოა

აკა ტონია

გუშინ შვეიცარიის ქალაქი ნიონი ევროპული ფეხბურთის ელიტას მასპინძლობდა. მიზეზი კი მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის დარჩენილი მონაწილე გუნდის მეოთხედფინალებში დაწყებული გახლდათ. ეს გუნდებია: „ვალენსია“, „მილანი“, „ბარსელონა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ინტერი“, „იუვენტუსი“, „რეალი“ და „აიაქსი“. დარბაზში არ იყვნენ გერმანული კლუბების წარმომადგენლები. ამ კენჭისყრას მათთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამ რვა გუნდს შორის „ვალენსია“ ერთადერთია, რომელსაც არასოდეს მოუვია ჩემპიონთა ლიგა. იტალიურმა კლუბებმა: „მილანმა“, „ინტერმა“ და „იუვენტუსმა“ აქამდე 9-ჯერ შეძლეს ჩემპიონთა თასის აღება - შესანიშნავი შედეგია, თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მადრიდის „რეალმა“ ამდენივე ტიტული მარტომ მოიგო.

სტატისტიკაზე საუბარი აქ დავამთავროთ და, უშუალოდ, კენჭისყრას მივხედოთ. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ მეოთხედფინალებში ვერ დაწყვილდებოდნენ ის კლუბები, რომლებიც ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, წყვილების ვარიანტები საკმაოდ შეზღუდული იყო.

მაგრამ, იმაზე ფიქრი, რომ პირველივე მეოთხედფინალურ წყვილში „რეალი“ და „მანჩესტერი“ შეხვედნენ ერთმანეთს, ალბათ, ამ კლუბის არც ერთ წარმომადგენელს არ სურდა. „რეალი“ და „მანჩესტერი“ წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის უმთავრესი ფავორიტები არიან და, რა თქმა უნდა, ერთმანეთისთვისაც ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ. ბევრი სპეციალისტის აზრით, მანჩესტერში გასამართი ფინალში სწორედ ეს ორი კლუბი შეხვედბოდა ერთმანეთს, მაგრამ ნიონის კენჭისყრამ მოლოვნები დააჩქარა - „ფინალის“ ხილვის საშუალება მეოთხედფინალში გვექცემა.

მეორე მეოთხედფინალური წყვილია „ინტერი“ და „ვალენსია“. ამსტერდამის „აიაქსი“ კახი კალაძის „მილანს“ შეხვედბა, ხოლო ტურინის „იუვენტუსი“ - კატალონიურ „ბარსელონას“. ჩამოთვლილ წყვილთაგან რომელიმეს გამოყოფა და იმის თქმა, რომ შედარებით უინტერესოა დუელი გველის, აბსურდია. ჩემპიონთა ლიგის ამ ეტაპზე მხოლოდ უძლიერესი გუნდები რჩებიან. თუმცა, იმის თქმა, ალბათ, მაინც შეიძლება, რომ „რეალს“ და „მანჩესტერს“ განსაკუთრებით რთული გზა ელოთ ფინალამდე. ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში, „რეალი“ ან „მანჩესტერი“ „ბარსელონა“-„იუვენტუსის“ წყვილის გამარჯვებულს შეხვდება. წარმოდგინეთ ნახევარფინალი



„რეალისა“ და „ბარსას“ მონაწილეობით, ან კიდევ „მანჩესტერისა“ და „იუვენტუსის“ კიდევ ერთი დაპირისპირება. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემპიონთა ლიგაში დიდი ბრძოლები გველის. გულშემატკივრებსაც ხომ ეს უნდა...

გთავაზობთ კენჭისყრის მონაწილე რამდენიმე კლუბის ხელმძღვანელთა კომენტარებს, რომლებიც მეოთხედფინალურ წყვილებს შეეხება.

**ფაქტი („ინტერი“):** „ვალენსია“ კერკეტი კაკალია, მაგრამ თუ ჩვენ გაემარჯვებთ და „მილანიც“ მოუვებს „აიაქსს“, ჩემპიონთა ლიგაში მილანური დარბის მომსწრები გავხდებით. უკანასკნელ წლებში იტალიელები წარმომეტყველად გამოდიოდნენ ლიგაში. ახლა კი საუკეთესო ფუნდებით ვართ წარმოდგენილი. ის ფაქტი, რომ უკუნი ადგილ „ვალენსიას“ მწვრთნელი იყო, დიდ როლს შეასრულებს ჩვენს დაპირისპირებაში.

**ფარგილი („ბარსელონა“):** „დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც „იუვენტუსის“ უკანასკნელად შეხვედით. ეს დაძაბული დუელი იქნება. ცხადია, იმედი გვაქვს, რომ ჩემპიონთა ლიგაში კიდევ 5 თამაშის ჩატარება გველის. ის, რომ ვანქორებში მატჩს საკუთარ მოედანზე ვმართავთ, ჩვენთვის უპირატესობაა.

**ბარჩინა („ვალენსია“):** „UEFA-ს თასიდან „ინტერმა“ გამოვითომა. იმ

მატჩებიდან ბევრი რამ ვისწავლეთ „არსენალის“ სახით ჩემპიონთა ლიგაში დასვლასთან დაკავშირებით. ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი გავხდეთ. რატომ ვერ უნდა მოვუვებთ „ინტერს“? კუპერს კარგად ვიცნობთ. ის შესანიშნავი მწვრთნელია და მისი გუნდის ძლევა უაღრესად რთული საქმეა.

**მერეტი („მანჩესტერი“):** „გვინდოდა, რომ „რეალთან“ შეხვედრა თავიდან აგვეცილებინა. ცხადია, ჩვენს წყვილში ისინი არიან ფავორიტები. მაგრამ თუ ფინალში გასვლა გვინდა, ყველას დამარცხება უნდა შეგვეძლოს. ის, რომ ფინალი „ოლდ ტრაფორდზე“ ჩვენი გუნდისთვის უდიდესი მოტივაციაა. ყველას დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ არავის არ გვეშინია.“

**ამითხედაფინალი**  
რეალი - მანჩესტერ იუნაიტედი  
ინტერი - ვალენსია  
აიაქსი - მილანი  
იუვენტუსი - ბარსელონა

**ნახსპარფინალი**  
რეალი/მანჩესტერი - იუვენტუსი  
აიაქსი/მილანი - ინტერი/ვალენსია

გუშინვე გაიმართა UEFA-ს თასის ნახევარფინალების კენჭისყრა. ამ ეტაპზე კლუბებს ასე დაწყვილდნენ: სელტიკი - ბოკოვოლა, ლაციო - პორტო.

ჩემპიონთა ლიგის მონაწილეები წინილას გამოვხულებ

ინხილ ააიოვილი

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ტურნირის დასრულებისთანავე, როგორც მეოთხედფინალში გასული, ისე ჯგუფში ჩარჩენილი კლუბები ბუღალტერის ჩაუღრმავდნენ. არც არის ვასაკვირი: მსოფლიოში ყველაზე სპორტულად საკლუბო ტურნირი უკულ უფრო და უფრო შემოსავლიანი ხდება. ჩემპიონთა თასი რომც ვერ მოიგო, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში მიღებული შემოსავლებით კატალონიურ „ბარსელონას“, ალბათ, ვერაფერ დაენევა. ამ გუნდმა 2 ჯგუფური ტურნირის 12 მატჩიდან თერთმეტი მოიგო და მხოლოდ ერთი შეხვედრა დაასრულა ფრედ, რის გამოც ჯგუფური ტურნირების აბსოლუტური რეკორდის დამყარებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. წარმატებული სერიის წყალობით, „ბარსელონას“ ხაზინა 22 მილიონი შვეიცარიული ფრანკით დაახლოებით, 15 მილიონი ევრო შეიქმნა.

თუმცა, არც სპორტული თვალსაზრისით ხელმოცარული კლუბები დარჩნენ მშრალზე. მაგალითისთვის ვთქვათ, რომ მოსკოვის „სპარტაკმა“, რომელმაც პირველ ჯგუფურ ეტაპზე ყველა მატჩი ნაავი, UEFA-ს საკლუბო რეიტინგში ქულა ვერ მიიღო, მაგრამ 5 ნ მილიონი ფრანკი მაინც ჩაიჯება. აქვე გავაცნობთ სტრუქტურას, რომლის მიხედვითაც კლუბები ასეთ მაღალ შემოსავლებს იღებენ. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის თითოეულ მატჩში მხოლოდ მონაწილეობისთვის კლუბი ნახევარ მილიონი შვეიცარიული ფრანკს იღებს, რასაც ემატება პრემიალური მოგების ან ყაიმის შემთხვევაში. თითოეული გამარჯვებისთვის კლუბი დამატებით 500 ათას, ხოლო ფრედ 250 ათას ფრანკს იღებს. ამას ემატება სარეკლამო და ტელეტრანსლაციის უფლებების გაყიდვით მიღებული ფრანკით დაახლოებით, 15 მილიონი ევრო შეიქმნა.

ბული შემოსავლები. ამ კუთხით 2 ჯგუფური ეტაპის მონაწილე დასავლეთევროპული კლუბების შემოსავლებმა, შესაძლოა, 10 მილიონ ფრანკსაც გადააჭარბოს, აღმოსავლეთევროპული კლუბები კი ამით, დაახლოებით, 1 მილიონით ზრდიან მოგებას. იმის გამო, რომ ჩემპიონთა ტურნირის ჩატარებიდან მიღებული მოგება, ტრადიციისამებრ, შარმანდელ სეზონთან შედარებით, წლეულსაც საგრძნობლად გაიზარდა, UEFA პრემიალური დარტყმების გაზრდას გეგმავს, რისი წყალობითაც, ეს ტურნირი მონაწილეებისთვის მომავალ სეზონში გაიცლებით შემოსავლიანი იქნება. მიუთხედისთვის უინტერესო არ იქნება იმის გაგება, რომ ჩვენი მეზობლის, რუსეთის ჩემპიონმა, მალხაზ ასათიანის ახალმა კლუბმა, „ლოკომოტივი“, მხოლოდ მეორე ჯგუფური ეტაპიდან მოგების სახით 3 მილიონი ფრანკი მიიღო, საერთოდ კი, ჩემპიონთა ლიგის

2002/2003 წლის სეზონში მონაწილეობით 10 მილიონი შეიქმნა სალარო და ამ მაჩვენებლით გაუსწრო ისეთ გუნდებს, როგორებიც არიან „ლივერპული“, „ბაიერი“ და „გალათასარი“. შემოსავლების მიხედვით, „ლოკომოტივი“ წლეულს ევროპაში მე-16 ადგილი დაიკავა. რაც შეეხება პლეი-ოფებს, ამ ეტაპის მიღებული კლუბები მილიონებით გამდიდრდებიან. მეოთხედფინალის თითოეული მონაწილე 4-4 მილიონი შვეიცარიული ფრანკს მიიღებს, ნახევარფინალში გასული კლუბები ამ თანხას კიდევ 5-5 მილიონს დაუმატებენ, ხოლო ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული კიდევ 10 მილიონი ფრანკით გამდიდრდება, ფინალში ხელმოცარული გუნდი - 6 მილიონით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ, ვთქვათ ჩემპიონთა ლიგის წლეულს „ბარსელონა“ მოიგებს, ამ ტურნირიდან კლუბის ხაზინაში შესული შემოსავალი, დაახლოებით, 42 მილიონი ფრანკი იქნება.

„კაიზარის“ ბიუროს ბანკისგან ემუქრება

ფრანც ბეკენბაუერი ბუნდესლიგას ემუქრება

ინოვაციური ბიზნესი

მიუნხენის „ბაიერნისა“ და ექს-მედამაგანტ ლეო კორხის უკვე დაშლილი იმპერიასთან დადებული საკანდალური კონტრაქტის აღმოჩენის შემდეგ, რომლის პირობების თანახმად, „ბაიერნს“ 21,5 მილიონი ევრო ისე გადაერიცხა, რომ ვერაფერ გაიგო, რა დამსახურებისთვის მიიღეს ბაიერიელებმა ეს საარაკო თანხა, მთელი გერმანია დაძაბული ცნობისმოყვარეობით ელოდა გამოძიების შედეგებს. „ბაიერნის“ ბოსები გერმანული ფეხბურთის დიდი ავტორიტეტები არიან. ფრანც ბეკენბაუერი, ული ჰოინესი, კარლ-ჰაინც რუმენიგე - ეს ის ადამიანები არიან, რომელთა წინაშეც ყველა პატივისცემის ნიშნად მოკრძალებით ხრიდა თავს. შემდეგ კი გაიკრკა, რომ მათ თაღლითობაში ედებათ ბრალი...

როცა „ბაიერნს“ გაუჭირდა, სწორედ მაშინ გამოჩნდა, თუ რამდენად დიდი იყო სხვა კლუბების ისეთიველი და შური ბავარიელების მიმართ. კოლდგების დაცვის ნაცვლად, დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელები მათ დასჯას ითხოვნენ. ქულები ჩამოაკლდითო, მიუწოდებდნენ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ, როგორც შენდვ გაიკრკა, ბუნდესლიგის მფრეც „ბაიერნის“ სპორტული წარმატებით კი არა, უფრო ფინანსური მხარე აინტერესებდა. ოტმარ ჰიტცფელდის გუნდი „ბორუსიას“ და „შტუტგარტს“



ფრანც ბეკენბაუერი

ფული ან მილიანად უნდა დაბრუნონ, ან ეს თანხა ტელევიზიის მიერ „ბაიერნს“ მატჩების შესყიდვას უნდა მოხმარდეს, ანუ „ბაიერნმა“ თავისი თამაშების ჩვენების უფლება ტელევიზიას, ფაქტობრივად, უნდა აჩუქოს და ამაში ფული აღარ მოითხოვოს. ფრანც ბეკენბაუერი არც ერთი მოთხოვნის შესრულებას არ სურს და ბუნდესლიგის ხელმძღვანელობას ემუქრება, თუ თავს არ დაგვანებებენ, გერმანიის ჩემპიონატი ჩვენს გარეშე დარჩება...

მაინც რა აქვს განზრახული „კაიზერ ფრანცს“, რის იმედით იმუქრება? თურმე, თუ ბუნდესლიგაში კვლავაც შეაინტერესებდა და მშვიდად თამაშის საშუალებას არ მისცემენ, ბეკენბაუერი აპირებს, „ბაიერნი“ სერია A-ში გადაიყვანოს. „თუ ეს პრობლემა ისევ აქტუალური დარჩება, ჩვენ იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მივმართავთ თხოვნით, მოგვეცეს სერია A-ში გამოსვლის უფლება, მშვიდად კი „იუვენტუსის“, „მილანის“, „ინტერისა“ და „რომას“ წინააღმდეგ ვითამაშებთ“, - განაცხადა „ბილდთან“ საუბარში ფრანც ბეკენბაუერმა.

ნუთუ ასე იოლია ერთი ქვეყნის ჩემპიონატში მეორეში გადასვლა? ვითომ არავითარი დაბრკობლება არ შეხვედბა „ბაიერნს“? ბეკენბაუერის მტკიცებით, ეს შეუძლებელი სულაც არ არის.“ რატომაც არა? თეორიულად ყველაფერია შესაძლებელი. სერია A-ს პარაგრაფებში არ მოიხიბნება პუნქტი, რომელიც უცხოური გუნდის მიღებას

კრძალავს. ასეთი პრეცედენტი უკვე იყო. მაგალითად, უელსის „კარდიფი“ ინგლისის ჩემპიონატში თამაშობს. შოტლანდიური „გლაზგო რიენჯერსი“ და „სელტიკსაც“ სურთ პრემიერლიგაში გადასვლა. სხვათა შორის, მათაც ტელევიზიასთან აქვთ პრობლემები“, - ამბობს „კაიზერი“.

კითხვაზე, თუ როგორ უნდა ითამაშოს „ბაიერნმა“ იტალიურ კლუბებთან, ბეკენბაუერი მშვიდად პასუხობს: „სრულად უპრობლემოდ. სამინიო მატჩები მიუნხენში ჩატარდება, გასვლითი კი, ჩვეულებრივ, გავემზავრებით. დორტმუნდის ნაცვლად, რომელიც მიუნხენიდან 616 კილომეტრითაა დაშორებული, კანი და კომპანია წავა მილანში (491 კილომეტრი) ან რომში (904 კილომეტრი). ყველაზე შორს „რეჯინასთან“ მოგვივებს ნასვლა - რვეო კალაბრიამდე 1580 კილომეტრია. ასე რომ, შეუძლებელი არაფერია“, - საკუთარი მოსაზრებების სისწორეში ეჭვიც არ ეპარება „კაიზერს“.

ბეკენბაუერმა თავისი სათქმელი უკვე თქვა. ახლა ვერა ბუნდესლიგაზეა. თუ გერმანული ფეხბურთის ჩინოვიკები ყურად არ იღებენ „კაიზერის“ გაფრთხილებას, მაშინ „ბაიერნი“ გერმანიიდან წავა და ევროპული ფეხბურთის ისტორიაში, მართლაც, საოცარი რამ მოხდება. „ბაიერნი“ ბუნდესლიგის საუკეთესო კლუბია და ძნელი წარმოსადგენია, მიუნხენელების იტალიაში გადასვლად გერმანული გულშემატკივარი გულგრილი დატოვოს...

რაზი

# 306 იქნება 22-ე?

ჩამოდით პრალაში და გათამაშებთ!



ბიძინა გვახვია

### პაატა თოთაძე

გუშინ, როცა პრალაში მყოფი საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს, ბიძინა გვახვიას შევეხებინეთ, ჩვენი ეროვნული გუნდი ჯერ კიდევ არ იყო ჩასული ჩხეთში. პრეზიდენტი დღევანდელ მატჩში მონაწილეობის მისაღებად ინდივიდუალურად ემზადებოდა.

“ახლა პრალაში ვარ და გუნდს ველოდები. ბიჭები დღეს, ღამით ჩამოვლენ. სამწუხაროა, რომ სრული შემადგენლობით ვერ ვთამაშობთ, მაგრამ მაინც გავიმარჯვებთ. თუ საჭირო გახდება, 21-ე მოთამაშე მე ვიქნები. 22-ე კი არ გვყავს. თუ საბუ-



„ზორკლალისნები“ შეტევაზე

თების გაფორმებას მოასწრებთ და ჩამოხვალთ, თქვენ გათამაშებთ”, - იუმორით მიხსრა ბიძინა გვახვიამ.

ის ადგილი ასკილის ბარდებს შუა იყო და თუ ფრთხილად ჩაჯდებოდი, სარწველა სავარძელსაც კი ვაგახსენებდა, რადგან როცა შურიანი ხევის კიდზე მიყრდნობას ვადაწყვეტიდი, აუცილებლად უკან ვადახსენებდი და ასე, ნახევრად ვადაქანებული უმხერიდი ცას და მეტს არავფრს. კარგახანია, ნუგზარს ცივ და წოტიო მინაზე ჯდომას უკრძალავდნენ, მაგრამ ეს ჩვეულება ახალგაზრდობიდან გამოიყოლიდა, იმ დროიდან, როცა გეოლოგი იყო და ექსპედიციებში დაიარებოდა ვეოლოგიურ პარტიკლსთან ერთად. ეს სავარძელი ძველად მეგრჩია და ყოველ ჩამოსვლაზე ჩაჯდებოდა ხოლმე შიგ, ზეცის სათავაიერებლად. ამ ვერჩეც ასე იყო, ნუგზარი საკმაოდ მოხერხებულიად შეეცოცდა წაცნო ბარდებში და ნაჩვევ ადგილზე მიესვენა. კი წოტიო მინა იყო და ამან შეამშთა კიდდრიო. სად არ ყოფილიყო, რომელ მთაზე არ აბობლებულიყო, რომელ ნანგრევებზე არ დაეღია ღვინო და ამ მინისა, მის მშობლიურ ქალაქს მომდგარი მინის კიდევ არაფერი ვაგებებოდა. ძალიან ჩვეულებრივი მინებია დედაქალაქის ვარშემო, იტყუნდა და მსუბუქად აქაურ ხალხსაც ვაპოვავდა, ვაჭკურკანები არაიანო. მისთვის ქართლის მთელი მოსახლეობა სიმონა მოურავი თუ იყო, აი, ვერვეე მინაზე დამბადარი ორი ფეხითა და ძველი ურჩქულით. მთელი ცხოვრება ამათ მიწაზე ვაგატარებინა და ამათი არაფერი იცოდა. როგორღაც გრძნობდა აქაურობის უცნაურ, დაუნახავ, ძალიან ძნელ და არცთუ კეთილმოვან სიღრმეს და ის ერთი ვვერდიც, ადრე რომ დაენერა, ამის გამოახილი თუ იყო, მეტი არაფერი. მოადებებოდა ამ ხევის პირს და ადმენ დარდსა და ნავებზე დასასრულზე ფიქრობა მანც გამოაფხიზლებდა ხოლმე ძველ საკითხის ნეტავ, აქ რა უნდა მომხდარიყო. რომ ვერ მოიფიქრებდა რამე ვარგის ამბავს, ისეე ვაგებინა მოხვევდა მალს, რაღაც მწერალი მე ვარ, ერთი სამოთხროზე ამბავი ვერ მომიფიქრებიაო. ერთადერთი, რაც მოიგონა, ის იყო, ეს ხვეი უუჭველად ვაქვევებული ურჩხულის დაღებულ ხახას ჰგავსო. თითქოს ურჩხული აქა მგდარიყო და გამეჩვიარებას, თუ ბუნების სხვა რომელიმე ნავთიარ მოვლენას მოესწრო. თუმცა, როცა დაფიქრდა მიხვდა, რომ ეს მოფიქრება თამუნის ნათქვამის გამომძახილი იყო და ვაგებებოდა არ ჰქონდა, რადგან უცახადი ვაგებებლებით მხოლოდ წიგნებშია, ცხოვრებაში კი უნდა ელდო.

- საბრალი იორიკი! რატომ წამოიძახა ეს სიტყვები, თვითონაც ვერ მიხვდა, მაგრამ წამოიძახა და რალას იზამდა. ვერც მიხვდა, ისე ჩაქცინა, ვულაღმა მწოლარეს. მე-რე უცებ ვერ მიხვდა, სად იყო და რამდენხანს ეძინა, ვერც იმას, რამ გამოავლიდა: მობილურის ხუხუნმა ვიბემა, ტანში მორბენალმა სიცოცხლე, თუ ვილაციის დაძახილმა...

- იაუ-უ... ნუგზაროო! ქვეყნეე... - ჰა, - ხეწეშით წამოიწინა ნუგზარი. - პატრონო...

- ნუგზაროო, ჰააა... ნუგზარ ერისთავი ეკალ-ბარდებიდან გამოვლიდა და ხევის პირს ახედა. - შენა ხარ, კაცო... გული გამისკდა. - დევეძინა? - მხიარულად ჩამოსძახა სიმონამ. - იქ აველი და იმათ მიხერეს, ქვეითკენ გაქარაო. მე ხო შენი სავალები ვიცი, აქ იქნებოდა მა სადა... ვამოვლები, თუ რა?

ნუგზარი დამრეც ბილიკზე მოფიფხავდა. სიმონას გამიჩვედი ხელსაც კი ჩასჭიდა ხელი და ისე ამოვიდა მაღლა.

- დამეძინა კაცო, - თქვა დამნახვე საეთი.

- ეგ არაფერი, უნდა დევეძინოს, აბა, მა როგორ, - მხარზე ხელი დამკრა სიმონამ, - მიჭობაში, ვამოვიპარებოდი სკოლდანა და მუხის ხე იყო მინდორში, იმაზე ავფიქრებოდი, რო ტკიბალით დევეძინა. ერთხელ მეხი კინალამაც არ დევეძინა... ესა, პო. ვავიგე აქ არისაო, ისე ამავიარე, დავხედო-მეთქი. აე თქვენი იმერლები თვალზე დააცეცებენ და გუშინსწინ რო ვიყავი არ მემეწონენ.

ძაღლს არ აჭმედდენ, ლანდ ვასლის. ნავიყვანე და რომ მორჩებიან ამოვიყვან ისევ.

- არ მოგწონს მოკლეთ, - ჩაიცინა ნუგზარმა.

- აქ არისო, შენზე მითხრეს და უნახავათ ხო არ ნავიოდო. მანქანა მიყვინა იქა. გული როგორა გაქს? ზაფხულის მერე კი მოსუქებული ხარ.

- რა გული, დღეში თორმეტ წამალს ვესამ.

- უნა სევა, მა როგორა... უნა სევა. ექიმებ ოღონდ დანა დასხმინე კაცზე და თუ წამლებით ვადაურჩი, უნა სევა, მა როგორ.

- ნამო, სახლში ავიდეთ. დაველაპარაკოთ.

- სადა მცალია, კარგო კაცო, აბა? თან ის შენი იმერლები ლაპარაკს და-ვაცილან

ქველი თბილისი

# თბილისელი არქიტექტორები და მხანებლები 1801-1917

ვახტანგ ბერიძის "თბილისის ხუროთმოძღვრების" მიხედვით



XIX საუკუნის თბილისი უფრო ბურჟუაზიულ-ჩინოვნიკური ქალაქი იყო, ვიდრე მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი. XIX ს. მანძილზე დიდი მშენებლობა აქ არასდროს გაშლილა. რამდენიმე სახაზინო და საზოგადოებრივი შენობებისა და შემოსავლიანი სახლის გამოკლებით, თბილისური სახლები, კერძოდ, საცხოვრებელი სახლები, თავისი მასშტაბით ვერ შეედრება რუსეთის იმპერიის უმთავრესი ქალაქების შენობებს. მაგრამ მშენებლობის ხასიათი, - თემატიკა, არქიტექტურა - თბილისშიც უკვე სავსებით ისეთივეა, როგორც მთელ რუსეთის იმპერიაში. თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების არქიტექტურა, თუმცა, უფრო მცირე მასშტაბით და უფრო მოგვიანებით, ვიდრე რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში, მაინც სავსებით ასახავს XIX საუკუნის დასავლური ხუროთმოძღვრების გზებს (ამ პროცესის ნათელი დადასტურებაა ქვემოთ მოყვანილი უცხოელების - პოლანდიელი კამბერლენის, ფრანგი რიპარისა და გერმანელი შტერნის, მოღვაწეობა, რომელთაც, მართალია განსხვავებული მასშტაბითა და პროფესიონალიზმით, მაინც წარუშლელი კვალი დატოვეს თბილისის განაშენიანებაში).

კამბერლენი, იოსებ (J. Camberlain) - საქართველოს საგუბერნიო არქიტექტორი 1816 წლიდან. ნიდერლანდის ქვეშევრდომი. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის წევრი. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება საქმე კამბერლენის დანიშნვის შესახებ, რომელშიც დაცულია წერილი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისადმი (1816.3.XI): "Департамент Государственного хозяйства и публичных зданий извещает Ваше превосходительство, что вследствие отношения бывшего Главнo-управляющими в Грузии Г. Генерала от тнфантерий Ртищева, о назначении в Грузии Губернского архитектора Г. министром Внутренних дел, определ на еще место Академик, Академий художеств Иосиф Камберлен", საქ-

მეში არის აგრეთვე 1817 წ. 20.IV-ით დათარიღებული რუსულ-ფრანგული ფიცი - Promesse de jurment - ხელმოწერილი კამბერლენის მიერ; იმპერატორისა და რუსეთის ერთგული ვიქნებით.

ჩვენთვის ცნობილია კამბერლენის მიერ ხელმოწერილი ერთადერთი პროექტი - თეკლე ბატონიშვილის სახლისა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. პროექტი (ორი ფასადი) დათარიღებულია 1819 წ. ხელმოწერის თანახმად, კამბერლენი მაშინაც საგუბერნიო არქიტექტორი ყოფილა.

მთავარი ფასადი თითქმის ზუსტად იმეორებს დამტიციებულ სანიმუშო პროექტს ფასადთა კრებულიდან. ნახაზის წარწერაში მითითებულია კიდეც ეს ნიმუში (Собрание фасадов Его Императорскими Величеством высочайше апробированных для частных строений в городах Российского Империи) 1812 წ.

თეკლე ბატონიშვილის სახლის მთავარი ფასადი ძალიან ახლაა აპრობირებულ ნიმუშთან, შეტანილი ცვლილებები კერძო ხასიათისაა. I სართულში რუსტირებული მთელი კედელი და არა მარტო ბოძები, როგორც ნიმუშში, სხვაგვარია თაღების პროპორცია; შესასვლელის ორსავე მხარეს გაკეთებულია თაღოვანი მალეების ერთიანი მწკრივი, მაშინ როცა ნიმუშში შესასვლელის მეზობელი თითო მალი სწორეულია. II სართულის ლოჯიის სვეტებს კანელურები არა აქვს; დამატებულია მოაჯირი. მასშტაბი თეკლე ბატონიშვილის სახლის ფასადისა, თითქმის, ემთხვევა ნიმუშს.

ამგვარად, ამ პროექტში ჯერ კიდევ არ ჩანს, რომ შემდგენელს ადგილობრივ ტრადიციასთან და მოთხოვნილებებთან შეფარდებით რაიმე სურვილი ან უნარი გააჩნია. კერძოდ, "თბილისური" ნიმუშები ქალაქის არქიტექტურაში უფრო მოგვიანებით, 40-იან წლებში ყალიბდება კლასიციზმისა და ადგილობრივი ტრადიციული ელემენტების შეჯვარების შედეგად. რიპარი (რიპარდი) ფრანსუა ქვა-

სიიე (Francois Xavie Ripard) - ეროვნული ფრანგი.

1819 წ. გამოიწერეს პარიზიდან პეტერბურგის ისაკის ტაძრის მშენებლობაზე, როგორც "აპარეიერი", ე.ი. კალატოზთა "ზედამდგომი". იქ მუშაობდა 1825 წლის სექტემბრამდე.

ოცაინი წლების მიწურულიდან თბილისშია; არქიტექტორად მუშაობს ფრანგი კასტელის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მოსახეობად (ეს ფაბრიკა 1828 წ. გაიხსნა).

1830 წ. თხოვნით მიმართავს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს საცხოვრებელი სახლების შესახებ - "Об определении в должности городского Архитектора производителя работы constructeur en chef, равно как и машиниста для возвышения воды на поливания садов и хлебопамен".

იმავე წლის 15.VII თბილისის ქალაქის პოლიციამ დაუდო კონტრაქტი ერთი წლით. მისი მოვალეობა იყო - "ქალაქ თბილისში საარქიტექტურო საქმიანობა, ე.ი. გეგმების, ფასადების, ხარჯთაღრიცხვებისა და პროექტების შედგენა საგუბერნიო არქიტექტორის უშუალო მეთვალყურეობით". იგი ითვლებოდა უკანასკნელის ხელქვეითად, როგორც მისი თანამშემე. მაგრამ საგუბერნიო არქიტექტორი დემიდოვი 1832 წ. 18.VII წელს სამოქალაქო გუბერნატორს ფალავანდიშვილს:

"რიპარდის მიერ შესრულებული ფასადების განხილვის შედეგად დავასკენი, რომ მან არქიტექტურის წესები არ იცის, რომ იგი მხოლოდ მემანქანეა, ფრიად შესაფერი ფაბრიკებისა, ქარხნებისა და მანუფაქტურებისათვის".

შენობების აგებასაც ყურადღებით არ ზედამხედველობს, ვერც ხარჯთაღრიცხვის შედგენას ვანდობთ - უცხოელია, არც რუსული ენა იცის და არც კანონები... დემიდოვმა წამოაყენა წინადადება, რიპარს კონტრაქტს წულარ გაეფარებოდა. 1832 წ. სექტემბრიდან რიპარი, მართლაც, დაითხოვეს. შემდეგ ამ საკითხზე და ანაზღაურებაზე 3 წელიწადს გრძელდებოდა ჩივილი და მიმოწერა.

უფრო გვიან კი, რიპარი სინოდალური კანტორის არქიტექტორად დანიშნეს. სცისა-ში დაცული საქმეები მოწმობს, რომ მას ხშირად უხდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა ძველ საეკლესიო ნაგებობათა მდგომარეობის შესამოწმებლად. იგი ადგენდა სადეფექტო აქტებსა და ხარჯთაღრიცხვებს ამ ძეგლთა შესაკეთებლად. პლატონ იოსელიანის ცნობით, 1848 წ. "Архитектор Рипард, так много трудившись по починкам древних церквей в ГрузииЭ устроил возможным хороший дом, по составленным умеренным сметам" (ეს ცნობა ეხება "პრისუსტვენნიე მესტას" - შენობის გადაკეთებას სინოდალურ კანტორად).

არქივში შემონახულია რიპარის მიერ შედგენილი რამდენიმე პროექტი საცხოვრებელი სახლებისა. ზოგი მათგანი (ვარლამოვის, შტაბს კაპიტან ბარათაშვილის, ყორღანოვებისა და ალექსი მაღინოვისა) გვიანი რუსული კლასიციზმის ჩვეულებრივ რეპერტუარს ემყარება და სანიმუშო ფასადებს უახლოვდება; ზოგი მათგანი ჩანს უშუალოდ ევროპიდან ჩამოტანილ შთაბეჭდილებათა ანარეკლი (შალიკაშვილის სახლი, დიმიტრი ჯამბაკურ-ორბელიანის სახლი). თბილისური სპეციფიკა ამ სახლებისთვის უცხოა (ფასადებისთვის მაინც, გეგმები ნახაზებს არ ახლავს). ნახაზების შესრულების დონე საშუალოა.

შტერნი, პავლე ფრიდრიხის ძე - არქიტექტორი, რომლის პროექტებითაც XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში თბილისში ბევრი კერძო სახლი და რამდენიმე საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა აშენდა. თბილისის ჩამოყალიბების მიწურულს. როგორც თბილისის საოპერო თეატრის შენობის ავტორის, არქიტექტორ ვ. შრეტერის თანამშემე. ანარეკლებად მოსაშვადებელ მუშაობას ოპერის მშენებლობის დასაწყებად და 1882 წლამდე თვის მშენებლობასაც ხელმძღვანელობდა. შემდეგ ჩაება დამოუკიდებელ დაპროექტებასა და მშენებლობაში, თავისთვის დიდი სახლი აიშენა მიხე-

დის პროსპექტზე და საბოლოოდ დამკვიდრდა თბილისში.

შტერნი ეკლექტიზმის ეპოქის დამახასიათებელი ფიგურაა. იგი იოლად გადადიოდა ერთი "სტილიდან" მეორეზე. რადგანაც მის კლიენტთა შორის მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც იყვნენ, მას დიდი სახლების აგებაც უხდებოდა და საშუალება ჰქონდა, სრულიად გამოეჩინა თავისი მხატვრული უპრინციპობა.

ერთი მხრივ, იგი "აგურის გოთიკის" პროპაგანდისტი ჩანს (საცხოვრებელი სახლი პლენანოვის პრ. და ბაქოს ქ. კუთხეში, 1893 წ.). მეორე მხრივ, დიდ ადგულს უთმობს "ისლამურ" სტილიზაციას, რომელიც მას, ალბათ, განსაკუთრებით იზიდავდა, რადგან მან თავისი საკუთარი სახლიც ამ "სტილით" ააგო (პლენანოვის პრ. და კრილოვის ქ. კუთხე, 1893-1894 წ.).

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება თბილისის საბჭოს შენობის ფასადიც, ოთხმოციანი წლებისა.

ქალაქის საბჭოს ახალი შენობა ძველი გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შედეგად გაკეთდა. 1878 წ. მაისში ქალაქის საათბიროს გადაწყვიტა სესხის აღება და შენობის გადასაკეთებლად კონკურსის გამოცხადება. 80-იან წლებში ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა.

საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში დაცულია 1882 წლით დათარიღებული ოზურგის ხელმოწერილი, მეორე არქიტექტორ შტერნისა.

ფასადი, როგორც ჩანს, შტერნისა მიუღიათ. ის დიდად სცილდება უბრალოდ გადაკეთების ფარგლებს: აქ დამატებულია მესამე სართული და განაპირა ფრთები. შუა კოშკი სათანადოდ ანეულია ზევით და სახე შეცვლილი აქვს. წინათ, როცა "საქალაქო სახლი" პოლიცია იყო მოთავსებული კოშკის წინადაპრატეკული - სახანძრო - დანიშნულება ჰქონდა, ახლა მას საქალაქო რატურების ტრადიციული ატრიბუტის როლი დაეკისრა და მის ძირში საათიც დაკეთდა.

უფრო დამახასიათებელი და ნიშანდობლივი მაინც ისაა, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ვარიანტში, ფასადს მაინცდამაინც კვლავ "მავრული" სახე აქვს, მაშინ, როდესაც წინანდელი ნაგებობა XIX ს. 40-იანი წლების არქიტექტურის ნორმებით იყო შესრულებული. ოფიციალური ნაგებობებისთვის ამგვარი სახის მიჩვენება ნათლად მოწმობს, რომ თბილისში ასეთი "ზოგადადამოსავლური" ეგზოტიკა შეგნებულად ინერგებოდა.

ისევე როგორც შრეტერის დაპროექტებულ თბილისის ოპერის შენობაში, ქალაქის საბჭოს სახლშიც "სტილს" მორთულობა ჰქმნის. ეს XIX საუკუნის ჩვეულებრივი, სარკმლებით დაცხრილული, ფასადია, რომელსაც ამ შემთხვევისთვის ამორჩეული ისტორიული სტილის სამოსელი აქვს წამოცმული. ისევე, როგორც იმ ხანებში ნაშენი სხვა "სტილის" ფასადები, ისიც დატვირთულია წერილობრივი ფორმებითა და სამკაულებით: ეს მთელი იმდროინდელი არქიტექტურის სენია რუსეთშია და დასავლეთ ევროპაშიც.

იმავე ხანებში (1887 წ.) შტერნი როპეტის "რუსული სტილით" აპროექტებს თბილისის საეკლემოქმედო საზოგადოების სკოლას. მაგრამ უმთავრესი ადგილი მის პროექტებში მაინც რენესანსულ-ბაროკულ სტილიზაციას უჭირავს. აქ იგი სრულიად არ იზღუდება თავს: სწორედ შტერნისა ერთი ფენაზე აქტიურად ამწერს გათავადი ნაძენი სამკაულებით ავსებული ფასადებისა, რომელიც დიდად მომრავლდა ოთხმოციან და კიდევ მეტად, ოთხმოცდაათიან წლებში. ბევრი ნიმუში დღესაც არსებობს: პლენანოვის პრ. 117, გრიბოედოვისა და ალ. ჭავჭავაძის ქ. კუთხე, ბაქოს I გილიის ვაჭრის არაქელის ყოფილი სახლი, რომელშიც ახლა პროფკავშირებია, ამ დიდ შემოსავლიან სახლებში გეგმები ძალიან რთული და დაქუცმაცებულია.

პარსონაჟი რომანისათვის

ელიტა... გვირგვინი გამტყდარი

დათო მაღრაძე

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ნინამდებარე წერილით რაიმეს დამტკიცებას არ ვაპირებ. საკუთარი აზრების უეჭველობით დასწრებული არა ვარ. უბრალოდ, ჩემი ნადილი, რამაც წერილის დაწერა მაფიქრებინა ისაა,

რომ ჩვენი საზოგადოების ყურადღება მივაპყრო ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილის შემუშავებულ რომანს "ჩემი წუთისოფელი" (გამომცემლობა "ქართული სიტყვა").

ნინამდებარე წერილი იმითაცაა უჩვეულო, რომ რომანის ბექდვა ჯერ არ გასრულებულა (გვულისხმობ რომანის მეორე ნაწილს) და მე კი პირველი

შთაბეჭდილებების გადმოცემა განვიზრახე. მაგრამ ის, რაც უკვე გამოქვეყნდა, საკმარისი აღმოჩნდა, სიხარულს ეჯობა მოთმინებით დალოდებისთვის. ჩემი "მოუთმენლობა", ალბათ, იმანაც ასაზრდოვია, რომ გამოცდილი რეცენზენტი არ გახლავართ, თუმცა, ბატონ ვახუშტისებურად რომ ვთქვათ, ახლა გადამეტებული თავმდაბლობის-

თვისა და რევერანსებისთვის არ მცალია, მკითხველს შემოსხენებული ნაწარმოების შესახებ ჩემი დამოკიდებულება მინდა გავუზიარო.

"ჩემი წუთისოფლის" კითხვისას ისეთი შეგრძნება დამეფულა, თითქოს ჩვენს მეშჩანურ ყოფაში ფანჯადის ნაკადი შემოიჭრა. ამ ნივთი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მთელი სივრცით გამოჩნდა ის, რის გამოჩენასაც უკმარისობის განცდით ველოდი.

მაინც რას ვისაკლისებდი ასე მძაფრად, რა ვაკუუმი შეავსო "ჩემმა წუთისოფელმა"?.. - ეს გახლდათ საზოგადოების ავანგარდის - ქართული ელიტის წარმოჩენის მოლოდინი. ამ შესანიშნავი გალერეის პერსონაჟები მათმა შთაბეჭებად, მათივე ხნის კაცმა, ბატონმა ვახუშტმა "ქომავის" ფურცლებზე გამოფინა.

შწერლის ისტატობა იმდენად მაღალია, რომ ფაქტობრივ მასალასა და ავტორის ფანტაზიას შორის ზღვარი ნამდვილია, ან, უფრო სწორად, ეს ზღვარი საერთოდ არ არსებობს. და თუმცა, დოკუმენტური პროზის მთავარ ფასეულობად რეალური ფაქტები მიმაჩნია, ვფიქრობ, არსებობს კიდევ მხატვრული სიმართლე, რომელიც ხელოვანის ტალანტისა და ფაქტურის ზედმიწევნითი ცოდნის თანხვედრით მიიღწევა და ისევე ფასეულია, როგორც დოკუმენტური მასალა.

"ჩემი წუთისოფელი" მკითხველში ვირტუალური რეალობის შეგრძნებას იწვევს.

ქართული ელიტა ჩვენგან სათანადო შეფასებას მოითხოვს და ამ მეტად საშურ საქმეს ემსახურება აღნიშნული მემუარული რომანი.

ჩვენი საზოგადოება ჯერონად ვერასოდეს გაიმართება ნელში, თუ სათანადოდ არ წარმოჩნდა და დაფასდა საზოგადოების ის ნაწილი, ვისზეც ვახუშტი კოტეტიშვილი ჰყვება, ვინც სამომავლო ორიენტირად უნდა დაიხასოს, რომ სწორება მათზე ადღის შთამომავლობაში.

ელიტისგან გაუცხოება იგივეა, რაც ჩვენს ხელთ არსებულ სამუდამო ფასეულობაზე უარის თქმა.

ქართულმა ელიტამ, რომელიც ჩვენაცვლა სამხედრო არისტოკრატისა, შეძლო სამხედრო არისტოკრატისგან მემკვიდრეობად მიეღო ინტელექტი და ზნეობრივი კოდექსი, რაც ღირსებით ატარა.

ღირსება! - აი, მთავარი ნიშანი და თვისება ერის რჩეული ნაწილისა, რომელსაც იგი სიცოცხლის ფასადაც არ თმობს, - ეს მისი ცხოვრების წესია.

ქართული საზოგადოების ისტორიაში ელიტის სათავედ სწორედ სამხედრო არისტოკრატია გვესახება.

ელიტარულობის უწყვეტობის ჯაჭვი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ფეოდალური ხანა - მეფე, რაინდი (თავადაზნაურობა, ანუ სამხედრო არისტოკრატია), გლეხი. ეს არის მინიერი პარმონია-სამკუთხედი, რომლის დაშლის შემდეგ არისტოკრატის ღირსებას, განსწავლულობას, დახვეწილობას, მხნეობას ანუ ცხოვრების წესს ემეკვიდრა

ელიტა, არა მხოლოდ როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფოს საზოგადოების ზედაფენა, არამედ როგორც რჩეული საზოგადოება. ხოლო შემდგომად, როცა საბჭოეთის პილნების ნიაღვარმა რეპრესიებით ნალექა ყოველი მაღალი ღირებულება, ელიტის მემკვიდრეობა მხოლოდ ნაწილობრივ იტვირთა ჩვენმა ინტელიგენციამ, რომელიც თითქოს შეეგუა სოც. რეალიზმს და მაინც ვერ შეეგუა სოც. რეალიზმით გაუღენთილ "ნაც. რეალიზმის" აღზევებას.

აქვე მინდა აღვნიშნო ჭაბუა ამირეჯიბის "გორა მბორგალში" ასახული, შემოსხენებული რეპრესიებით, გულაგებში ჩაკლული ელიტის გადარჩენილი ნაშესვრეები, რომელთაც მწერალმა "ზემელის ცოცხალი სასაფლაო" უწოდა. "ზემელის ცოცხალი სასაფლაო" ხმანართმეულთა მიერ ნათქვამი საგალობელია, როგორც ნიშანი ელიტის მარადიულობისა.

მისთვის მიუღებელია სექტანტიზმი. ელიტარული ნიშნის კაცს თავი მიწაურად შეუძლია იგრძნოს ნებისმიერი სოციალური ფენის გარემოში, ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილებაა. იგი ერთნაირი ქომავია ყველასი და თავისი არსით უპირობად მხოლოდ უნიადავო ამბიციას. იგი მატარებელია იმ წრფელი სინდისისა, რომელიც ფოლკნერის სიტყვით "ღვთისგან მოვლენილი წყევლაა, რათა ოცნების უფლება მოიპოვო".

ელიტარულობა ნებისმიერი ჭირვარამის დროსაც გამოიჩინებს ყოველგვარ მერკანტილურ, მდაბიურ ქვენა ზრახვებს, რადგან ელიტა თავის არსში ატარებს კაცობრიობის მამობრავებელ მუხტს, - სწრაფვას სრულყოფილების ხატისკენ.

ელიტა პატრონია ერის კულტურისა, რადგან კულტურის პატრონობა მასზე ზრუნვად და მის მსახურებად ესახება.

კულტურული მემკვიდრეობის შემქმნელთან მხოლოდ გენეტიკური კავშირი არანაირი თავმოწონებისა და საზოგადო მოღვაწეობის საფუძველს არ იძლევა. მასზე ზრუნვის ნადილი და ზრუნვის უფლება მხოლოდ მაშინ ჩნდება და მიიღწევა, როცა პიროვნება თანაზიარია კულტურისა, რომლისთვისაც თავდადებულია. ასეთ დროს ჩნდება დიდი პასუხისმგებლობა, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ასევე საკუთარი თავის ნინამე და ეს პასუხისმგებლობა გამოარჩევს კაცს, ვისაც ნება აქვს მონაწილეობდეს ქვეყნის კულტურული ცხოვრების, ერის საჭირბოროტო უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტისას.

ელიტას შესწევს ძალა, ხალხში გაფანტული სიბრძნე და მარგალიტი რუდუნებით აგროვოს და მისივე თვისების ნაყოფია ფიქრი მასზე, რომ იქნებ ეს "უბრალო" ხალხია სწორედ ბრალიანი, ანუ მარული ამა სოფლისა.

აქვე მინდა ელიტის კიდევ ერთ ნიშან-თვისებაზე გავამახვილო ყურადღება და ამით კიდევ ერთხელ მივაწინიშნო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისი ჯეროვანი წარმოჩენა. მაგრამ

ამისთვის ჯერ ვაფა-ფშაველას გმირები უნდა შევანუხო.

ვაფას გმირები (ალეუა ქეთელაური, ვაჟოლა, ალაზა...), რომელთაც განსაკუთრებული მისია აქვთ, ვფიქრობ, "ზეკაცურ კოდექსს" მსახურებენ. ისინი ერთი ფრთის დაქვეით მუდამ აღემატებიან არსებულ გარემოს და ამით ბედსმეგუებულ საზოგადოებას დისონანსის საფრთხეს უქმნიან, რაც წარმოშობს კონფლიქტს, რის გამოც თანამედროვეობა ემიჯნება მათ.

საზოგადოებასთან გაუცხოებით ვაფას გმირებს ეხმარებიან და ენათესავენ "მერანის" ავტორი - გმირი ნიკოლოზ ბარათაშვილი და "ალავერდობის" ავტორი - გმირი გურამ რჩეულიშვილი, თუმცა, მათი საზოგადოებასთან კონფლიქტი ნელდება, როცა ისინი საკუთარ მისიას აგნებენ და აცნობიერებენ: "ცუდად ხომ მაინც არა ჩავივლის ეს განწირული სულისკეთება", მეორე შემთხვევაში: "ვინც სიმძაფრე შენებაში და არა აშენებულ ტკობაში".

"ზეკაცურ კოდექსს" და მის მსახურებას მისთვის შეეცემა, რომ ამგვარი აღმავრებისა და თავგამებების მნიშვნელობას ყველაზე უკეთ სწორედ ელიტა აფასებს. მიუხედავად პირადი უბრალოებისა, ელიტას შეუძლია გმირების ნინამე თავი დამნაშავედ იგრძნოს. უფრო მეტად, მას შეუძლია სხვასაც აგრძნობინოს ეს პასუხისმგებლობა მათი თავგანწირვისა და ფასდაუდებელი ღვაწლის მიმართ. სწორედ ეს თვისებაა, რაც მას ერის საუკეთესო ნაწილად აქცევს.

ქართულ ლიტერატურაში საზოგადოების გამოხეზილობად ხშირად კრიტიკული აქცენტი აღებულია მასზე, თუ "რანი ვართ დღეს". აქვე, რაღა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ თანამედროვე ყოფაზე გულისხმევდა საზოგადოების სულიერების მაღალი საფეხურიდან დაბლა დამეგობიანა გამოწვეული. მაგრამ მხოლოდ ასეთი მინიშნება არ კმარა მთელი სისასტი წარმოიდგინო, "რანი ვიყავით" სულიერების იმ მაღალ საფეხურზე, საიდანაც დავეშვი, ანუ რა დავიკარგა, რა უნდა ვეძიოთ, სად უნდა ვეძიოთ.

ამდენად, "რანი ვართ" თუ საზოგადოებისთვის განვდილი მამხილებელი სარკეა, გამოსაფხიზლებლად შემოკრული სილაა, "რანი ვიყავით" გამოსავალია, გზის ჩვენებაა, რადგან მაღალი ზნეობა ყველა დროის სამუდამო ღირებულებაა.


გზის მაჩვენებელია ვახუშტი კოტეტიშვილის მემუარული რომანი.

"ჩემი წუთისოფელი" კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მეორე ათასწლეულის ბოლოს, ქართული სახელმწიფო, ქართული საზოგადოება ვეროპასთან ისტორიულმა შემთხვევითობამ კი არ მიიყვანა, არამედ იგი ბუნებრივ გარემოს უბრუნდება.

P.S. ჰყვება ბატონი ვახუშტი თავის წუთისოფელს. დგას კოტეტიანი ძველ კერაზე, თავის სახლნასახლარის აივანზე და უხმობს ჩვენ საზოგადოებას: - ბატონებო, აი, რანი ვიყავით ჩვენ!



ვახტანგ კოტეტიშვილი მეუღლესთან და შვილებთან ერთად



გიორგი დილესკი



ნუსია დილესკია

**გახუნებული აზრით**

# პირველი ქართული პროფესიული თეატრის ორგანიზაცია

**მარიკა ნულაძე**


ყოველ დროს, ყოველთვის, ძნელი იყო და არის ახალი საქმის წამოწყება და შემდეგ მისი წარმართვა. თუმცა, ეს სიძნელეები სხვადასხვა სახისაა ხოლმე. პირველმა ქართულმა საჯარო პროფესიულმა თეატრმა განაცხადი კი გააკეთა 1950 წლის 2 იანვარს სპექტაკლით "გაყრა" და ეს მოხდა ძალიან დიდი წარმატებითაც, მაგრამ სიძნელეები მისი ჩამოყალიბების საქმეში მაინც არსებობდა. წინააღმდეგობები იყო როგორც მატერიალური, ისე საზოგადოების ნაწილის მიერ შექმნილი აზრის სახითაც...

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საზოგადოება, ისევე როგორც ყველა პერიოდში, იყოფოდა ორ ნაწილად: ერთი ცდილობდა საქართველოს მომავლისთვის საჭირო საქმეები ეკეთებინა და უკან არ იხევდა სი-ახლის "სამშრობის" წინაშე; მეორე - ყველაფერ ახალში ხედავდა ტრადიციებისა და წესების შეზღუდვას. ორივე ნაწილი თავი-სებურად მართავდა და არაფერს ეკუთვნის და ხალხისთვის პროგრესის გამოწვევი მაინც ყოველთვის პირველი ნაწილია ხოლმე, თუმცა, ხანდახან აზრთა სხვადასხვაობა-შიც, მათ ჭიდილში იბადება ჭეშმარი-ტება - რალაც რჩება და რალაც კი ქრება უკვალოდ, ან დროებით მაინც. ასეთივე ვითარება იყო შექმნილი ქართული პროფესიული საჯარო თეატრის ორგანიზებასთან დაკავში-რებით: ძალიან საზოგადოების ერთი ნაწილი, მარიამ ბატონიშვილის მეთაურობით, თეატრის დაარსების წინააღმდეგი იყო - თეატრი ხალხს გარყვნიდა "მეძევკურობას შეარ-ვევსო". იგივეს ამბობდა ისეთი გავ-ლენიანი და განათლებული პირიც კი, როგორც იყო პლატონ იოსელიანი. პ. უმიკაშვილის თქმით, პლ. იოსე-ლიანიც ამბობდა, თურმე: "ისიც იცოდეთ, მეძევ-კურობის ასპარეზი გაგინდებთო". ასეთი აზრის გვერ-დით, როგორც ადრე აღვნიშნეთ, არ-სებობდა საზოგადოების მეორე ნა-წილის აზრი, რომელიც თეატრს გა-ნიხილავდა, როგორც საზოგადოე-ბისთვის საჭირო ასპარეზს, სადაც გართობასთან ერთად, ხელოვნებას-თან ზიარებასთან ერთად იგი საკუ-თარ ნაკლოვანებებსაც დაინახავდა. სწორედ ამ აზრმა გაიმარჯვა, თვით ამ აზრის წარმომთქმელთა აქტიური მონაწილეობით 1850 წლის 2/14 იან-ვარს, მაშინ, როცა საკუთარი ძალებით ვაჟთა პირველ გიმნაზიაში აჩვენ-ნეს გიორგი ერისთავის "გაყრა". რო-გორც ადრე ვთქვით, წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: თვით ოპონენტებიდან ერთ-ერთმა, კერძოდ კი, პლატონ იოსელიანმა, თვითონ მიიღო მონაწილეობა პიესის "გაყრა" ერთ-ერთ რიგით წარმოდ-გენაში. ასე რომ, ქართულმა საჯარო თეატრმა არსებობის უფლება მოი-პოვა. ახლა საჭირო იყო მისი ორგა-ნიზება, ანუ მუდმივი მსახიობთა და-

სის შექმნა, თანხების მოძიება, შენო-ბის მოძიება - მოკლედ, თეატრის დამკვიდრება. და ამ რთული საქმის ორგანიზება ითავა გიორგი ერის-თავმა - პირველი სპექტაკლის ავ-ტორმა, თუმცა, სირთულეები უფრო დიდი ჰქონდა, ვიდრე დღეს არსე-ბობს: საზოგადოებას და განსაკუთ-რებით ქალებს, "მეძევკურობის ას-პარეზზე" გამოჩენის წამდვილად ერიდებოდნენ. სცენა კი ამის სამშ-როებას წარმოადგენდა მათთვის. თუმცა, იყვნენ გამონაკლისებიც, მაგრამ ეს გამონაკლისები მუდმივ დასმი მონაწილეობისთვის მზად არ იყვნენ...

ასე რომ, საზოგადოებრივი აზრი, ფინანსები და ყველა სხვა სირთულე გადასალახი იყო. გ. ერისთავი, რა თქმა უნდა, მარტო ვერ შეძლებდა მათ დაძლევას, რომ არა იმდროინ-დელი პროგრესულად მოაზროვნე ფენის და რაც მთავარია იმდროინ-დელი მთავრობის მხარდაჭერა. მთავრობას წარმოადგენდა გუ-ბერნატორი ვორონცოვი... მთავრო-ბა ყოველთვის იმას უჭერს მხარს, რაც მას სჭირდება: ვორონცოვს იმ დროს სჭირდებოდა გ. ერისთავისთ-ვის დახმარება გაენია, ამით საზოგა-დოების ნაწილის კეთილგანწყობაც გამოეწვია; ეს მით უფრო საჭირო იყო 1832 წლის შეთქმულების დას-ჯის შემდეგ. მით უფრო, რომ გ. ერისთავი თვითონ იყო დასჯილი შეთქმულებაში მონაწილეობის გა-მო... რაც უფრო გულმოდგინედ იქნე-ბოდა მთავრობა, მით უფრო მეტად მოიპოვებდა ქართველთა საზოგა-დოებაში კეთილგანწყობას. ყოველ წინააღმდეგობა, ასეთი პოზიცია ჰქონ-და ვორონცოვს და მან ქართულ თე-ატრს გამოუყო "წელიწადში 4000 მა-ნეთი", შემდეგ დამატებით კიდევ გარკვეული თანხა, რათა მსახიობებს ფეხით არ ევლოთ რეპეტიციებზე. თურმე ხანდახან, შემდეგში, როცა დასი ჩამოყალიბდება, თვით რეპე-ტიციებზე მიდიოდა ხოლმე დასასწ-რებად... მაგრამ ეს იქნება შემდეგ. ახლა საჭირო იყო თეატრის მუდმივი დასის შექმნა... ერთ-ერთი მნიშვნე-ლოვანი პრობლემა - ფინანსური სა-კითხი კი ვორონცოვმა გიორგი ერისთავს მოუგვარა.

არისტოკრატია თანახმა იყო მნიშვნელოვან წარმოდგენებში მონაწილეობაზე, მაგრამ მუდმივი და-სის წევრად გახდომა მას არ უნდო-და. ალბათ, თავისდაუნებურად, "მე-ძევკურობის" სინდრომი მაინც მოქმედებდა. ასე რომ, გიორგი ერისთავი აღმოჩნდა განსაკუთრე-ბული სირთულის წინაშე - სად მოე-ძებნა მსახიობები მუდმივი დასისთ-ვის?! დრამატურგის პირველი ბიოგ-რაფი იონა მუხარგია წერდა: "სადა და როგორ ეშოვნა მომავალი თეატ-რის დირექტორს ქართული სცენის-თვის საჭირო აქტიორები და წამეტ-ნავად აქტრისები. მაშინ, ჯერ კიდევ დაკეტილებში იხსნდნენ ჩვენი ქალები და ვინ იქნებოდა ისეთი გულდი,



რომელიც თავისი ქალის მიცემას გაბედავდა თეატრში და მამა-პაპი-სეულ ლენაქს აქტრისის სახელწო-დებაზე გაცხდობდა. ქალაქში აქტი-ორობა და უნაღმუსობა სინონიმები იყო და მოციქულობრივი თავგანწი-რულობა ძნელად იყო მოსალოდ-ნელი. გიორგიმ ამის გამო სოფლის შეუბლაღავ ბუნებას მოსთხოვა შემ-ნეობა. აქ მაინც არ იყო ცნობილი თეატრი და აქტრისობის წინააღმ-დეგ არავინ იბრძოდა. ის წავიდა სო-ფელში 1850 წლის ზაფხულზე და იქ მიჰყო ხელი ტრუპის შედგენას..."

"სოფელში იმდენი იმეცადინა გიორ-გიმ, რომ ორ-სამ თვეზე ჩინებული ტიუბა შეადგინა". მსახიობები, თითქმის ყველანი, გორიდან და გორის მახრიდან იყე-ნენ: ქალები - სააკაძისა, ტატიშვი-ლისა, ანტონოვისა, ბაფროვისა. კა-ცები - გიორგი დვანაძე, ტატიშვილი, რჩელიშვილი, იოსებ ელიოზიშვილი და კიკნაძე. შემდეგ, მუშაობის პრო-ცესში, 1855 წლამდე, თანდათანო-ბით დაემატნენ: ნათიშვილი, აბრამი-

ძე, ნინო უზნაძე, გიორგი ჯაფარიძე, კორძია, ზურაბ ანტონოვი, ალ. მეი-ფარიანი, ზეინკლიშვილი, ბიბილუ-რი, ალიმუროვი, ივ. კერესელიძე და სხვანი. მსახიობად დასში, ძირითა-დად, აზნაურთა წრიდან და დემოკ-რატული, წერილი მოხელეთა წრი-დან გამოსული ხალხი ჩაირიცხა. ეს იყვნენ ისინი, ვისაც უნდოდათ და არ ეშინოდათ, პირველები ყოფილიყე-ნენ ქართული პროფესიული საჯარო თეატრის სცენაზე, გამოსულიყვნენ მაცურებელთა წინაშე. მათ არ თრგუნავდა "მეძევკურობის" სინდ-რომი - ეს იყო მთავარი, მაგრამ ამის გარდა მნიშვნელოვანი გახლდათ, თუ რამდენად შეძლებდნენ ისინი სცენაზე შემოთავაზებულ ვითარე-ბებში ორგანულად, დამაჯერებლად თამაშს?! და გიორგი ერისთავს მსა-ხიობები მიჰყავს თავის სოფელ ხი-დისთავში და იწყებს მათთვის სცე-ნის ხელოვნების სწავლებას. შეიძ-ლება ითქვას, რომ პირველი თეატ-რალური პედაგოგი საქართველოში სწორად გიორგი ერისთავი იყო. ის

ახალგაზრდა მსახიობებს აცნობდა სასცენო ხელოვნების მნიშვნელო-ბას, სცენის ტექნიკას, თეატრის ის-ტორიას. პარალელურად გადიოდა რეპეტიციები. ასეთი მუშაობა გაგრ-ძელდა თითქმის შემოდგომის დასას-რულამდე, 5-6 თვის განმავლობაში. შემდეგ გიორგი ერისთავმა დასი თბილისში ჩამოიყვანა, დააბინავა და განავრცო მუშაობა. დაუღალავი და გატაცებული შრომის შედეგად დას-მა მოამზადა რამდენიმე პიესა და 1851 წლიდან შესაძლებელი გახდა პირველი სეზონის გახსნა.

და მართლაც, 1 იანვარს, სეზონი გაიხსნა მანუჩის თეატრში, ანუ იმ ადგილას, სადაც ახლა მთავრობის სასახლეა. თითქოს შორს არ იყო ეს თეატრი ვაჟთა პირველი გიმნაზიის დარბაზისგან, სადაც პირველად წარმოადგინეს სპექტაკლი "გაყრა", მაგრამ ხალხის რაოდენობა - მაყუ-რებელი, აქ უფრო მეტი ეტყოდა, 300 კაცამდე; გიმნაზიაში კი დარბაზი მხოლოდ 150-160 მაყურებელზე იყო გათვალისწინებული. ასე რომ, შენო-ბის საკითხიც ნაწილობრივ გადაწყ-ვეტილი გახლდათ - ესეც მთავრობის მხარდაჭერით... ქართულ თეატრს ჰქონდა წარმოდგენის ჩვენების ად-გილი, თუმცა დროებითი, მაგრამ მა-ინც თავისი სცენა.

პირველ სპექტაკლად ისევ "გაყ-რა" აჩვენეს. ისევ უამრავი მაყურებელი დაესწრო წარმოდგენას, მათ შო-რის, რა თქმა უნდა, იყვნენ ვორონ-ცოვი და თავისი ამაღლა. მაყურებელი ნასიამოვნები დარჩა. როგორც პრე-სიდან ჩანს, სპექტაკლმა კარგად ჩაი-არა, თუმცა გამაოჯგულ მსახიობები ჯერ ისე თავისუფლად ვერ გრძნობ-დნენ თავს სცენაზე, როგორც ეს სა-ჭირო იყო, მაგრამ ყველა ავტორი აღ-წინააღმდეგო თვითონ ფაქტს - რომ გი-ორგი ერისთავმა და დამწყებმა მსა-ხიობებმა შეძლეს გადაეცაზათ ყვე-ლა სირთულე და განსაკუთრებით სა-ზოგადოების ნაწილის ერთგვარი კომპლექსი სცენის მიმართ: ერთ-ერთი გაზეთის ავტორი წერდა: "როგორ უცნაურად მოეჩვენებოდათ იმ კომე-დიის ავტორის კეთილშობილ წინაპ-რებს, რომ დაენახათ მათი შამომავ-ვალნი, რომელთაც დაგინწყებიათ ძველი არისტოკრატული შეხედუ-ლებები, დაუტოვებიათ თავისი ფეო-დალური ციხე-სასახლეები და შესდ-გომიან მუხის სამსახურს". მეორე გაზეთში პირდაპირ არის მითითებუ-ლი გიორგი ერისთავის ღვაწლის შე-სახებ: "რამდენი ტაქტი, მოხერხება, დამარწმუნებლობის უნარი, მოთმე-ნის ნებისყოფა იყო საჭირო, რომ პროვინციელი ქართველი ქალი, რო-მელიც ყველა მამაკაცის შეხვედრის დროს სახეს იფარავდა, აქვთულება ნებაყოფლობითი სწავლისთვის, შე-ესწავლებია როლი და შემდეგ მრავ-ალრიცხოვანი საზოგადოების წინა-შე გამოსვლაზე დაეთანხმებია. რამ-დენი შრომა დასჭირდებოდა ამისათ-ვის თავ. ერისთავს, ერთადერთი კო-მედიების ერთადერთ ავტორს. მაგ-

რამ თავისი საყვარელი აზრის გან-ხორციელებისთვის მან ყველა დაბრ-კოლება გადალახა და ახლა თამამად შეუძლია დაირქვას ქართული სცენის დამაარსებლის სახელი". გარდა ამი-სა, აღნიშნული იყო რამდენიმე მსა-ხიობის წარმატებაც: მათ შორის რჩე-ულიშვილის, რომელიც სომეხ ვა-ჭარს ასახიერებდა და ჯაფარიძის, რომელიც პავლეს როლს თამაშობდა. მათზე ნათქვამი იყო, რომ "თამამად" თამაშობდნენ. როგორც ჩანს, ყვე-ლაზე უფრო დამაჯერებელი სწო-რედ ესენი იყვნენ. თუმცა, რა გასაკ-ვირია, რომ სხვა კომპლიმენტები ვერ დაიმსახურეს მსახიობებმა ჯერჯე-რობით. დღეს რუსთაველის სახელო-ბის სახელმწიფო თეატრის და კინოს უნივერსიტეტში მსახიობების პრო-ფესიისთვის 4 წლის განმავლობაში ემზადებიან და ეს არავის უკვირს. გასაკვირი სწორედ ის იყო, რომ 5-6 თვის რეპეტიციების შემდეგ გ. ერის-თავის მსახიობებმა შეძლეს მაყურე-ბელთან შეხვედრა. ეს უკვე გამარჯ-ვება იყო, მით უფრო, რომ ერთი წლის შემდეგ, 1851-52 წლების სეზო-ნის სპექტაკლების ნახვის შემდეგ, მწერალმა სოლოგუბმა გაზეთში "კავკაზი" დაწერა "სამწუხაროდ, მე არ შემიძლია რამე ვთქვა იმაზე, რა-საც ისინი (მსახიობები - მ.წ.) ლაპა-რაკობენ. მე შემიძლია ვილაპარაკო მხოლოდ იმის შესახებ, რასაც ისინი აკეთებენ სცენაზე. მაგრამ, ამ მხრივ, გასულ წელთან შედარებით წარმა-ტება უკვე ემჩნევათ. სხულის მოძ-რაობა უფრო ემარჯვება, ლაპარა-კობენ უფრო თავისუფლად. უკვე იწყებენ იმის ვაგებას, თუ რა არის ხელოვნება".

ასე რომ, გიორგი ერისთავმა გაი-მარჯვა: მან ორგანიზაციულად მოა-ხერხა მთავრობის მხარდაჭერით ჩა-მოყვალბებინა ქართული პროფესი-ული საჯარო თეატრის დასი; შეძლო ხელი შეეწყო ამ დასის შემოქმედებ-ით ზრდისთვის; შეძლო, ისევ მთავ-რობის მხარდაჭერით, მოუპოვებინა დაფინანსება თეატრისთვის; შეძლო, ისევ მთავრობის მხარდაჭერით, ეშოვა "ბინა" - ანუ სცენა, თავისი თეატრისთვის, დროებითი, მაგრამ მაინც და აფიქრებინა მთავრობას, რომ თეატრისთვის აუშენებინა საკუ-თარ "ბინა" - ქარვასლის თეატრი.

ამგვარად, ახალი საქმე წარმატე-ბით დაგვირგვინდა და ეს იყო, უპირ-ველეს ყოვლისა, ქართული საზოგა-დოების ნაწილის, გიორგი ერისთა-ვის ბრძოლისუნარიანობის და შე-მოქმედებითუნარიანობის, მთავრო-ბის მხარდაჭერის დასახებურბა... როგორც ჩანს, ეს ყოველ დროს, ყო-ველთვის ასე იყო და არის. იცვლები-ან მხოლოდ "მოქმენი გმირნი" და ვითარებები, არ იცვლება საქმის წარმატებით დასრულების "გასაღე-ბი" და საქართველოსთვის საჭირო საქმის დასაწერგად თავგადადებულ მოღვაწეთა არსებობა, რომლებიც, საბედნიეროდ, საქართველოს ყველა დროს ჰყავდა.

## აპოკალიფსი



ლადო ასათიანის (ყოფილი ენგელისი) ქეჩა. ქალაქის არქიტექტურის სამსახურმა ასე შეითანხმა ბეთლემის "ფთხანის" ხედის პრივიტიზაცია.





... იგი ამგვარად:

- აი, ყველაზე მკვეთრად რა უნდა ჩავუნერგოთ პატარას: ლობიონი რომ წვაპი, თუ წუთით მაინც შეგვიწყნოვს ფიქრი, - საღვაც ვიღაცას სცივა, საღვაც ვიღაცას ენატრება ლობიონი, საღვაც ავადმყოფი ფრინველი კანკალავს გუჩის ძირას, ანდა ცხოველი წაშუშუნით ილოკავს ჭრილობას, - უკვე ნამდვილი ადამიანი ხარ. რევაზ ინანიშვილი

www.24hours.ge

24

საბავშვო

D

„მარტი თუ წინ გიდევს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო“  
(ხალხური ანდაზა)

თუ ქალაქს გასცდებით, მხოლოდ მაშინ მიხვდებით, როგორ შეეცყო ბუნებას გაზაფხულის მოსვლა. მარტის თვე იწურება და თბილისში ჯერ არაფერი იგრძნობა: ისევ ცივა, ქრის ქარი, დროდადრო წვიმს და არც ის უნდა გაგვიკვირდეს, უცებ რომ მოთოვოს.

მარტისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

აი, როდესაც ძველი სტილითაც ჩათავდება ეს ჭინჭყლი და არეული თვე, მაშინ ქალაქშიც ვიგრძნობთ ნამდვილი გაზაფხულის შემობრძანებას.

მარტის ჭირვეული ხასიათი უსასრულოდ განელილი ზამთრით თავმოებზრებულ გლეხებს უფრო აწუხებთ. ამიტომაცაა ხალხური პოეზია სავსე ახმეტელი სახალხო მთქმელის, ზაქარია ფილაურის ამ ლექსის მსგავსი სტრიქონებით...



მარტს

ზაქარია ფილაური

ყველაფერს გამორჩეულო,  
ეგრე გამდგარხარ განზედა,  
თავქარიანი, ჯიუტი  
დახვალ ეშმაკის კვალზედა.

ზამთარს, კუდამოძუებულს,  
ისევ მიბრუნებ კარზედა?  
ზოგჯერ ალერსით მიმღერი,  
ზოგჯერ - აშარის ხმაზედა.

შენი შარი და ცდუნება  
დაუთვლელია თმაზედა,  
გემდურის ნუში, ენქელა:  
დაგვემტერაო რაზედა?!



# რა დროა ჩემთვის გამოწერილი?

**პირველი ლექსი მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით დაწერა. მაშინ მეორე კლასში იყო. დავალეხებდი მიცემული ლექსი სახლში არ უსწავლია, "რა მექნა, ვერ ვისწავლეო" და, როცა მასწავლებელმა გაიძახა, არც აცია, არც აცხელა და "საკუთარი" წაუკითხა. თემა იგივე იყო, რაც დავალეხებული ლექსისა - მამულზე. რითმაც თავის ადგილზე იყო.**

## დალი კუპრავა

"მთვარეს არ სჭირდება მზით განათება, ის თავისი შვილების, ვარსკვლავების შუქით განათდებაო", - ამბობს ერთ-ერთ ლექსში გუგა კუპრავი.

"მე დედას ყოველთვის ვუყვარებ, რა ვიცი, რა უნდა, იყოს ისეთი, რომ არ დავეთანხმო. თუმცა გაკვეთილების მომზადება არ მიყვარს", - თქვა გუგამ. კომპიუტერული თამაშები ძალიან უყვარს. კიდევ, მეგობრები უყვარს ძალიან და გული ნყდება, როცა რაღაც გაუგებრობის გამო რომელიმეს დაკარგავს, როგორც ამას წინაშე მომხდარა. "ჩემმა მეგობარმა სხვისი ნათქვამი დაიჯერა და ჩემში ეჭვი შეიტანა. მე ვთვლი, რომ მან დამკარგა მაშინ, როცა ჩემში ეჭვი შეიტანა. საერთოდ ასეა, ეჭვი თუ გეპარება, შენი პრობლემა და არა სხვისი", - თქვა გუგამ. მისი რწმენით, უმჯობესია პირდაპირ შეკითხვა და გაუგებრობის, როგორც გუგას ტოლები ამბობენ,

"გაიანება". ეჭვი ბოროტი ძალის ადამიანის სულზე გამარჯვებააო, ფიქრობს გუგა და "ბოროტი სულით ადამიანი/ ვერ გააკეთებს საქმეს კეთილსა, / საქმესა კარგსა".

გუგა ბევრს ფიქრობს სულზე. მისთვის სული "სიცოცხლის ზღვარია", რომელსაც მოფრთხილება უნდა. ბევრს ფიქრობს სულზე და კიდევ მამულზე. სიტყვებს: "მამულს" და "სამშობლოს" თავის ლექსებში ისე უმუალოდ ხმარობს, რომ სიყალბის გრძობა არანაირად არ ჩნდება. ასეთ ბიჭზე იტყვიან, "უყვარს სამშობლო და რა ქნას..." უფრო მეტიც, კარგი პოეტების შერჩევის საკუთარი კრიტერიუმიც ასეთი აქვს: "ის მიყვარს, ვისაც მამულზე გული შესტკივიაო", - ამბობს.

გუგამ გადაწყვიტა, რომ აღარასოდეს ჩასვამს ჩიტს გალიაში. ორი თუთიყუში გაუფრინდა. "ახლა ვიცი, რომ ჩიტი გალიაში არ უნდა გამოამწყვდიო." ლექსში "ჩემს გაფრინულ თუთიყუშს" გუგა წერს: "გალიას ყოფნას კარგი საჭმლით, თავისუფლებას მას ურჩევნია". გალიაში გაზრდილმა თუთიყუშმა იცის თავისუფლების ფასი. მერე რა, რომ გარეთ დაუცველია და მზრუნველი პატრონი არ ჰყავს, მერე რა, რომ შესაძლოა, რომელიმე კატამ სიცოცხლე შეუმოკლოს, - თავისუფლების ფასად სიცოცხლეც არ არის დასანანი: "სიცოცხლე მისთვის ასე მოკლეა, / მაგრამ არც უნდა მას დღეგრძელობა-მწვანე ბუნებას რა შეეძრება!"

თავისუფლების და არჩევანის ფასი გუგამაც კარგად იცის. დედა ოჩამჩირელი ჰყავს. "მართალია, დედამ მე აქ, ჩაჩავამი"



გამაჩინა და თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ, ხომ მაინც ოჩამჩირელია და თავის სამშობლოში ვეღარ ჩაღის. უფროსები ხშირად ლაპარაკობენ ამაზე, - ამბობს გუგა და წერს: "თუ საქართველოს არ ეღიროსება/ დახურულ კარის გაღების ძალა, და თუ ქართველებს არ აღიროსებენ/ მართალი სიტყვის გამოთქმის

ძალას/ მაშინ, ქართველნი აჯანყდებიან?! გულს გაიტყენენ სიმშვიდის, განა?!/ ქართველთა ემჩნევით გულის სიღრმეში/ ძლიერი მტკვარის დინების ძალა".

შენ პოეტი ხარ-მეთქი? - ვკითხე. არაო, მიპასუხა: აბა მე რა პოეტი ვარ, მაგრამ თუ გავხდები, კარგი იქნებაო. "რალაცის თქმა რომ მინდა, ლექსად გამომდის. თუ რამე ძალიან იმოქმედებს, მაშინ მინდება ხოლმე".

ზამთრის პეიზაჟზე კი წერს: "თვალწინ მიდგას ზამთარი / და შიშველ ხეებს ვადარებ თბილისს, / მთელ საქართველოს- რაც მენალვლება".

ხომ გითხარით, მამული უყვარს- მეთქი! თბილისი უყვარს, მაგრამ "შიშველ ხეებს" ადარებს. რატომ-მეთქი, რომ ვკითხე, გარეთ მიმანიშნა, აი, რა ხდებაო.

გუგა ცოტა სევდიანია, მაგრამ სიცოცხლე და მოქმედება ისე უყვარს, რომ "სიცოცხლეს არ დათმობსო", - წერს.

გუგას წელიწადის დროებიდან ზაფხული ყველას ურჩევნია: ყველაფერი მწვანეა, არდადეგებია, აბა, რა უნდა იყოს ამაზე მშვენიერი?!

კითხვა უყვარს, როგორ არა: "იცით, "ჰამლეტი" იმიტომ წავიკითხე, რომ ლექსად იყო დაწერილი".

გუგა კუპრავი 12 წლისაა, თბილისის მე-6 გიმნაზიაში სწავლობს.

მას ძალიან აინტერესებს, მაინც რას უმზადებს ბედისწერა. მისი ლექსიდანაა: "რა დროა ჩემთვის გამოწერილი?"

## ჭრიჭინას კანკული

# საბანბო სიტუაციები ტრანსპორტზე



## ქვეითად მოსიარულეებს უნდა ბახსოვდეთ:

- მეტად საშიშია გზაჯვარედინები, სწრაფი მოძრაობის მონაკვეთები, შეზღუდული ხილვადობის ზონები, ლიპციონები;

- არ უნდა გადაჭრათ ქუჩა ნითელ შუქზე, მაშინაც კი, თუ მანქანები არ ჩანან;

- გზაზე გადასვლისას უნდა გაიხედოთ ჯერ მარცხნივ, მერე - მარჯვნივ;

- ნუ გადაურბენთ წინ დაბრკოლებებს (გზისპირას მდგარ ტრანსპორტს, მალალ ნამქერს), თქვენი უეცარი გამოჩენისას მძღოლები ვერ მოასწრებენ დამუხრუჭებას;

- გაჩერებაზე ავტობუსსა და ტროლეიბუსს აუარეთ გვერდი უკნიდან, ხოლო ტრამვაის - წინიდან;

- იარეთ მხოლოდ ტროტუარზე. თუ ტროტუარი არ არის, მოგიწევთ გზისპირას სიარული. აირჩიეთ ის მხარე, სადაც მანქანები საპირისპიროდ მოძრაობენ;

- არ ექონდეთ მძღოლის ყურადღების იმედი, იქონიეთ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი.

საკალაქო ტრანსპორტის გაჩერებაზე, ჩვეულებრივ (განსაკუთრებით პიკის საათებში), ბევრი ადამიანი იკრიბება; როცა ავტობუსი, ტროლეიბუსი ან ტრამვაი გაჩერებას უახლოვდება, ზოგი ცდილობს ნებისმიერი ხერხით გაუსწროს დანარჩენებს, გარბის გზის სავალ ნაწილზე. ამ დროს ხალხმა მუჯლუგუნით შეიძლება ვიღაც გამოაგდოს წინ და აღმოჩნდეს ავტობუსის, ტროლეიბუსის ან ტრამვაის

ბორბლებქვეშ. მანქანას არ შეუძლია უცბად გაჩერება, ეს უნდა იცოდეთ და გახსოვდეთ.

ავტობუსის, ტროლეიბუსის ან ტრამვაის სალონში მოხვედრისას არ იჩქაროთ დაჯდომა, გარშემო თქვენზე გაცილებით უფროსი ადამიანები არიან. თუ დაჩრება თავისუფალი სკამი, მხოლოდ მაშინ დაჯექით.

**ამრიგად, ავტობუსში, ტროლეიბუსში, ტრამვაიში, მეტროს მატარებელში მოიქეცით შემდეგნაირად:**

- თუ არ არის თავისუფალი ადგილები, ეცადეთ, სალონის შუაში დადგეთ. მოძრაობისას ხელი უნდა მოჰკიდოთ სახელურს, თორემ ბიძგისას შეიძლება დაკარგოთ წონასწორობა, ხოლო მკვეთრი გაჩერებისას, დაეჯახოთ ვინმეს ან რაიმეს;

- ნუ დადგებით გასასვლელთან, რადგან სწორედ აქ შეიძლება გაგძარცვონ; გარდა ამისა, ჭყლეტისას შეიძლება გარეთ გამოგაგდონ, თუ კარი არ იქნება კარგად დაკეტილი.

**როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ჯობინიერები უფრო ხშირად მოქმედებენ გასასვლელთან. იქედან მათ უადვილდებათ ნაქურდლიანად გაქცევა.**

ტროლეიბუსი და ტრამვაი - ტრანსპორტის ყველაზე უსაფრთხო სახეობაა, რადგან ისინი მოძრაობენ ერთ ხაზზე და შედარებით დაბალი სიჩქარით, მაგრამ ელექტრული კვება ქმნის დენით დაზიანების საშიშროებას. ამის აღბათობა იზრდება წვიმიან ამინდში, ამიტომ ტროლეიბუსსა და ტრამვაიში უფრო უსაფრთხოა დასაჯდომი ადგილები. ავტობუსს შეუძლია თავისუფალი გადაადგილება ტრანსპორტის ნაკადში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოულოდნელი ბიძგები. მძღოლი ზოგჯერ მკვეთრად ამუხრუჭებს ან უხვევს, ამიტომ ყურადღებით უნდა იყოთ და ადევნოთ თვალი მდგომარეობას.

თუ ავტობუსი ჩავარდა მდინარეში, შეინარჩუნეთ სიმშვიდე და ნუ ეცდებით, მაშინვე გამოხვიდეთ სალონიდან, რადგან წყლის შემხვედრი ნაკადი არ მოგცემთ ამის საშუალებას. დაიცადეთ რამდენიმე წამს, სანამ სალონი არ აივსება წყლით. თუ კარი დაკეტილია, ისარგებლეთ საავარიო ფეხჯვრით, გახსენით ან ჩამატვირთეთ იგი, შეინარჩუნეთ სიმშვიდე და ამოყვარდეთ.

**თუ ავტობუსში, ტრამვაიში ან ტრო-**

**ლეიბუსში გაჩნდა ხანძარი, თქვენ კი მარტო მგზავრობთ, ასე მოიქეცით:**

- მაშინვე აცნობეთ მძღოლს ხანძრის შესახებ;

- სცადეთ კარის გაღება. თუ კარი არ იღება, სცადეთ საავარიო გასასვლელების გახსნა. უკიდურეს შემთხვევაში, ჩამატვირთეთ ფანჯარა.

დაიცავით კვალიდან ცხვირ-პირი ცხვირსახოცით, თავსაფრით, სახელოთი, კაბის, ქურთუკის კალთით. ჩაიკუხეთ ცეცხლმოკიდებული სალონიდან გამოსვლისას. ნუ შეეხებით ლითონის ნაწილებს ტროლეიბუსსა და ტრამვაიში - ხანძრისას მათზე შეიძლება დენი გადავიდეს.

## მსუბუქი ავტომანქანა

მსუბუქი ავტომანქანა ტრანსპორტის სწრაფი და მარჯვე სახეობაა, მაგრამ ტრანსპორტის დანარჩენი სახეობისგან განსხვავებით, ხშირად ხვდება საავარიო სიტუაციებში, განსაკუთრებით ქალაქში, სადაც მანქანების რაოდენობა დღითი დღე მატულობს.

## ბახსოვდას:

ავარიისას ყველაზე საშიში ადგილი მანქანაში არის მძღოლის გვერდით; 12 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის იქ ჯდომა აკრძალულია!

ავარიები, რა თქმა უნდა, მოულოდნელად ხდება, მაგრამ ზოგჯერ, რამდენიმე წამით ადრე შეიძლება მიხვდეთ, რომ შეჯახება გარდაუვალია. ასეთ შემთხვევაში, თუ უკანა სკამზე ზიხართ, ხელები თავზე დაიფარეთ და გვერდზე დაწექით;

შეჯახება თუ მოხდა, ეცადეთ, რაც შეიძლება სწრაფად გახვიდეთ გარეთ, რადგან მანქანას შეიძლება ცეცხლი გაუჩნდეს.

## მეტრო

მეტროში ერთ-ერთი სახიფათო ადგილი ესკალატორია. უფრო ხშირად, უსიამოვნო სიტუაციები ხდება ესკალატორიდან გადმოსვლისას.

ხელი თუ სახელურზე არ გიკიდიათ, მაშინ, მკვეთრი გაჩერებისას, მოძრაობის ინერციის ძალით, წინ გადავარდებით. ჩანთა ხელით დაიჭირო და არ დადგა საფეხურზე.

თუ ზემოდან გეცემა ადამიანი ან ვინმეს ტვირთი, სწრაფად დაჯექი საფეხურზე და მიბრუნდი იქით, საიდანაც საგანი ვარდება. დანარჩენ შემთხვევაში საფეხურზე

**ჯდომა არ შეიძლება!**

ტანსაცმელი შეიძლება მოყვეს საფეხურებს შორის. რელსებზე მგზავრის დაცემის მიზნით შეიძლება გახდეს რიგი პლატფორმაზე პიკის საათისას, მთვრალი მგზავრი, მოზარდის უნესო ქცევა.

**თუ რელსებზე რაიმე გადავივარდათ, ნუ შეეცდებით მის ამოღებას და მოუქმედებლად. სადგურზე არის მორიგე, რომელიც დაგეხმარებათ.**

ავარიის, ან ტექნიკური მოუგვარებლობისას მატარებელი გვირახში თუ გაჩერდა, ნუ შეეფოთდებით და შეასრულეთ მეტროპოლიტენის მუშაკთა ყველა მითითება. ნუ შეგემინდებთ მათი განკარგულებით ვაგონიდან გვირახში გასვლისა. გვირახში უნდა იაროთ მარჯვენა მხარეს და არსად შეუხვიოთ. ამასთან, გახსოვდეთ, რომ მარცხენა მხარეს გადის საკონტაქტო რელსი, რომელიც მაღალი ძაბვის ქვეშაა.

მეტროს ვაგონში თუ ცეცხლი გაჩნდა, აცნობეთ მემანქანეს ვაგონში არსებული დასაკავშირებელი მოწყობილობის საშუალებით და შეასრულეთ მისი მითითებები. ეცადეთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე, ცხვირ-პირზე აიფარეთ სველი ცხვირსახოცი და ასე ისუნთქეთ.



გია ბალაშვილის ნახატი

# მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი



მოლა ნასრედინის სახელის ხსენებაც კი ღიმილს გვრის ადამიანებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. სპარსეთში იჩემებენ, რომ იგი ამ ქვეყნის ქვეშევრდომი იყო, თუმცა ნაკვესები მოლა ნასრედინზე თურქეთშიც გვხვდება და ინდოეთშიც, აზერბაიჯანშიც და ტაჯიკეთშიც. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ მოლა ნასრედინი ცხოვრობდა თურქეთში მე-13 საუკუნის ბოლო წლებში. მისი საფლავი მდებარეობს ქალაქ აქშეხირში (მცირე აზია). ქართულ ენაზე „მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი“ რამდენჯერმე გამოიცა სხვადასხვა რედაქციით.

## მოედანზე ფლავს არიგებენ

ერთხელ მოლა ნასრედინი აივანზე იჯდა და თავს იმტვრევდა, როგორ გამხიარულებულიყო.



– ხალხო, იჩქარეთ, მოედანზე ფლავს არიგებენ. თუ დროზე არ მიუსწარიტ, გათავდება და მშრალზე დარჩებით!




კარგა ხანს იმხიარულა მოლამ, მაგრამ მერე და მერე თვითონაც შეეპარა ეჭვი...



– კაცო, ვაი თუ მართლა არიგებენ ამ ფლავს და მარტო მე არ დავრჩე მშრალზე, – გაიფიქრა მოლამ და ყველაზე დიდი ქვაბი თვითონ გამოიტანა სახლიდან.

# წრუპას ამბავი



თამარ ფხაკაძე

ერთ დაბურულ, უღრან ტყეში ხეები დგას ტყუპა-ტყუპად. იმ ხეების ძირში ცხოვრობს თავუნია-თავი წრუპა.

სასაცილო ვინმე არის, პრანჭია და მატრაკვეცა, სამეგობროდ უღრან ტყეში ხან ვის ეცა, ხან ვის ეცა.

ზღარბს ეკლები დაუნუნა, ირემს - რქები. მელას - ფერი, კურდღელს - გრძელი ყურები და დათუნას - ყველაფერი.

დარჩა ასე, უმეგობროდ. სხვას ვის ნახავს ტყეში ან კი, სპილო ჩვენში არ ცხოვრობს და კენგურუ და ფარშევანგი.

დაცუნცულებს ტყეში მარტო, ეძებს თხილს და ეძებს კაკალს. არავისი ეშინია, ემალება მხოლოდ კატას.

თუ გაიგო კატის „მიაააუ“, შიშისაგან იწყებს კანკალს. მოჰკურცხლავს და არ დაგიდევთ აღარც თხილს და აღარც კაკალს.

\*\*\* შემოდგომამ უღრან ტყეში გააჩალა ფოთოლცვენა. მოემზადნენ ფრინველები თბილ ქვეყნებში გასაფრენად.

დაუბერა ცივმა ქარმა, მზე ღრუბლებში მიიმალა. აღარ ჩანან ყვავილები, შეეცვალა ფერი ბალახს.

ცივი ქარი არ აშინებს, ვინც ბინაში თბილად არის, ზამთრისათვის ემზადება ტყის ყოველი ბინადარი.

არც წრუპაა უსაქმურად მოუნყვია სორო თბილი, არ აკლია სასუსნავი: შაქარ-კაკალ-ხორობალ-თხილი.

მაგრამ, შეხეთ, ჩვენი წრუპა მაინც მოწყენილად არის. ნეტავ რატომ? იმიტომ, რომ არ ჰყავს წრუპას მეგობარი.

ნაღვლობს წრუპა: რისთვის უნდა სასუსნავი გემრიელი, როცა მარტო უზის სუფრას... როცა სტუმარს არ მოელის?..

\*\*\* ზამთრისპირის დილა არის, ფიფქი ცვივა ნება-ნება. სასეირნოდ მიდის წრუპა, სახლში გული არ უდგება.

ეგებ, შეხვდეს ვინმე გზაში, სამეგობროდ შესაფერი? 1.. მიცუნცულებს წრუპა ტყეში, თან სიმღერას მიიმღერის.

მიდის, მიდის, - არვინ ხვდება. სოროში ზის ყველა თბილად. აგერ, დათვის ბუნავი ჩანს ზარმაც დრუნჩას სძინავს ტკბილად.

ეს სორო კი ვილასია? რა ცვეკვა! რა მოლხენა! სტუმრები ჰყავს მელაკუდას, ნამცხვარი ჩანს რამოდენა?!

მიდის წრუპა, მიცუნცულებს, მაგრამ უცებ ცქვიტა ყური. ნეტავი, ვინ მოიჩქარის ხმელ ფოთლების შარი-შური?!

- გამარჯობა, თავუნიავ! ხმა მოესმა წრუპას ზღარბის. აი, თურმე ვინ ყოფილა! მელიასთან სტუმრად გარბის.

- ნეტავ, რისი გამარჯობა, ნეტავ, რისი გაგიმარჯოს! გაინი და გამატარე, ეგ ეკლები არ შემარჭო!

აიბზუკა წრუპამ ცხვირი, აიპრიხა კუდი გრძელი. გზას გაუყვა... მიდის, მიდის. დარჩა ზღარბი გულნატკენი.

\*\*\* მიცუნცულებს წრუპა ტყეში, სიმღერასაც მიიმღერის. თან ოცნებობს, შეხვდეს ვინმე სამეგობროდ შესაფერი.

ტყე შეთხელდა დაბურული და ბილიკიც განზე უხვევს. ქვიდან ქვაზე მხიარული ნაკადული მიჩუხჩუხებს.

შედგა წრუპა. შეისვენა. მაგრამ, ცქვიტა ყური უცებ. ნეტავი ვინ მოიჩქარის? ხმელ ტოტებს ვინ ატკაცუნებს?

- გამარჯობა, თავუნიავ! - ხმა მოესმა წრუპას ირმის. აი, თურმე ვინ ყოფილა! მელიასთან სტუმრად მირბის.

- ნეტავ, რისი გამარჯობა! ნეტავ, რისი გაგიმარჯოს! გაინი, გამატარე და ეგ რქები არ შემარჭო!

აიბზუკა წრუპამ ცხვირი. აიპრიხა კუდი გრძელი. გზას გაუყვა. მიდის, მიდის. დგას ირემი გულნატკენი.

\*\*\* მიცუნცულებს თავუნია, მაგრამ უცებ - ეს რა ხდება? ხიდან ხეზე, ხიდან ხეზე ჯამბაზივით ვილაც ხტება!

- გამარჯობა, თავუნიავ, - ესალმება წრუპას ციყვი. მელიასთან მიიჩქარის და საჩუქრად მიაქვს ნიყვი.

- ნეტავ, რისი გამარჯობა! - ნეტავ, რისი გაგიმარჯოს! რომ დახტიხარ ხიდან ხეზე, სიარული დაბლა არ სჯობს?!

აიპრიხა წრუპამ ცხვირი, აიბზუკა კუდი გრძელი. გზას გაუდგა. მიდის, მიდის. დარჩა ციყვიც გულნატკენი.

\*\*\* ზამთრისპირის დილა არის, ხმელ ფოთლებზე ფიფქი ცვივა, მიცუნცულებს წრუპა ტყეში. დაიღალა. კიდევ სცივა.





ნეტავ, მართლა კატა არის?  
იქნებ, კივის ტყეში ჭოტი?  
იქნებ, ქარი დაზუზუნებს?  
ან ჭრიალებს ხმელი ტოტი?

მაგრამ, აგერ, ბუჩქის უკან  
მწვანედ ელავს ორი თვალი!  
კატა არის! თავგის მტერი!  
ვაი, ახლა, წრუპას ბრალი...

გაიზნიქა კატა ზანტად,  
გადაისვა ენა ტუჩზე,  
აელვარებს მწვანე თვალებს,  
გადმობტება წუთი-წუთზე!

- მიააუ, მიააუ, თავუნიავ!  
შენ დაგეძებ ტყე-ღრეშია...  
მიააუ... უნდა გადაგსანსლო...  
მიააუ... ახლა ძლიერ მშია...

მიმოავლო წრუპამ თვალი  
იქით ტყეს და აქეთ მდელოს,  
არავინ ჩანს სულიერი,  
რომ თავუნას მიემგელოს.

სხვა რაღა გზა დარჩენია,  
ჩირგვებს ეცა ჩვენი წრუპა,  
და კატამაც იმავე წამში,  
ისკუპა და რა ისკუპა!

მირბის, მირბის თავუნია  
სწრაფად, სწრაფად, უფრო სწრაფად,  
მისდევს კატა გაავებით  
და ბრჭყალებით ჩირგვებს ჰკაფავს.

სადაცაა, დაენევა  
და დაითრევს კუდიტ წრუპას,  
ვაი, ახლა, წრუპას ბრალი,  
დაილუპა! დაილუპა!

მაგრამ, უცებ შემოესმა  
სიმღერა და ჟრიაშული.  
მელაკუდას სორო მოჩანს,  
ლხინი არის მხიარული.

მისხდომიან სავსე სუფრას  
ციყვი, ზღარბი, მაჩვი, მელა,  
კურდღელი და სხვაც მრავალი,  
დასძახიან დელა-დელას.

ალარ ჰქონდა სხვა გზა წრუპას,  
მიაშურა მელას ბინას.  
რომ სწვდომოდა უნდა კატა,  
სწორედ იმ წუთს მიირბინა.

ეცა კარებს და თათები  
მთელი ძალით დაუშინა.  
სანყალს, ფერი ალარ ადევს,  
კატამ ისე შეაშინა.

- მომეშველეთ, მეზობლებო!.. -  
ანრიპინდა საცოდავად, -  
- კატა მომდევს დასაჭერად,  
ჩემი საქმე არის ავად...

გაიგონეს ცხოველებმა  
და შეწყვიტეს ლხინი ხელად.  
გამოცვივდა ყველა გარეთ,  
ზღარბიც, მაჩვიც, ციყვიც, მელაც...

აიბურძგლა ზღარბმა ქურქი  
და ეკლებით აფრთხობს კატას.  
ციყვი ხეებიდან უშენს  
ხან გირჩას და ხანაც კაკალს.

ირემს რქები დაუხრია,  
აქეთ-იქით არხევს დინჯად.  
მელაკუდა ბრჭყალებს აჩენს,  
კურდღელიც კი გაიყინა.

დაფრთხა კატა, შეეშინდა,  
დაიკნავლა, მოიკუნტა,  
ოლონდ თავი დაანებონ,  
თავის შეჭმა აღარც უნდა.

მოიკუზა საცოდავად,  
შომისაგან კუდიც ეწვის!  
აქეთ-იქით იცქირება,  
უცახცახებს ტანზე ბენვი.

ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელა-ნელა  
გაიძურნა, გაილალა,  
ხმელ ფოთლების შარი-შურით  
შეეფარა ჩირგვს და ბალახს.

დასცხეს ტაში ცხოველებმა,  
აბა, ვაშა! აბა, ვაშა!  
ხომ გავავადეთ ის მსუნავი,  
ის წუნკი და გრძელუღვაშა!

უხარიათ, ზეიმობენ,  
წრეს უვლიან სკუპა-სკუპა,  
მაგრამ, ნახეთ, მობუზული,  
დარცხენილი მოჩანს წრუპა.

სირცხვილო და რა სირცხვილო,  
თურმე, რაზე წუნუნებდა,  
სამეგობროდ რა კეთილ და  
კარგ მეზობლებს იწუნებდა!

სალამსაც კი არ ამბობდა,  
გვერდს უვლიდა ქედმალურად,  
მათ კი მაინც შეიცოდეს,  
მიემგევენენ მეგობრულად.

- მამატიეთ, მეგობრებო,  
ჩემი ცუდი საქციელი, -  
დაირცხვინა თავუნიათ,  
მოიკეცა კუდი გრძელი.

- სამეგობროდ მოვისურვე  
ცხრა მთას იქით ვინაც არის,  
მეგობრები აქ მყოლიხარო,  
ერთგული და უშიშარი.

ლამაზები, კეთილები,  
მხიარული, გამბედავი.  
მეც მიმიღეთ თქვენს ძმობილად,  
გენაცვალოთ ჩემი თავი!



მეც მაქვს სორო პანანინა,  
თხილით, კაკლით, შაქრით სავსე,  
მესტუმრეთ და გამახარეთ,  
შემოგევლოთ მინდა თავზე!

გაიხარეს ცხოველებმა  
და თქვა მერე მელაკუდამ:  
- დღეის იქით, ჩვენი წრუპა,  
მეგობრები ვიყოთ მუდამ.

მიაშურეს მერე ერთად  
მელაკუდას მყუდრო ბინას,  
ჩვენი წრუპა, ჩვენი თავი  
სიხარულით ცაში ფრინავს!

\*\*\*  
ერთ დაბურულ, უღრან ტყეში  
ხეები დგას ტყუპა-ტყუპად...  
იმ ხეების ძირში ცხოვრობს  
თავუნია-თავი წრუპა.

მთვარიანი ღამე არის,  
წრუპას ახლა ტკბილად სძინავს!  
დღეს პანია თავუნიათ  
მეგობრები შეიძინა...



ვერვინ ნახა სამეგობრო,  
ვიღას ნახავს ტყეში, ან კი...  
სპილო ჩვენში არ ცხოვრობს და  
კენგურუ და ფარშევანგი.

მიდის წრუპა, მიცუნცულებს,  
მაგრამ, უცებ... სუ, რა იყო?!  
აკანკალდა თავუნია,  
საზარელი ხმა გაიგო.



### ალექსანდრე მაკედონელი და დიოგენი

ერთხელ ალექსანდრე მაკედონელმა, ბრწყინვალე ამაღლის თანხლებით, გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენი იხანულა. დიოგენი დიდი სახელითა და პატივისცემით სარგებლობდა ხალხში; მას საშინლად სძაგდა სიმდიდრე და ფუფუნება... „თუ ადამიანს სურს ბედნიერი იყოს, იგი მცირედით უნდა დაკმაყოფილდეს“, - ამბობდა ის და ამ მოსაზრებას თვითონვე ატარებდა ცხოვრებაში: ცხოვრობდა დიდ კასრში და ტანს დაძონძილი მოსასხამი უფარავდა. იმ დროს, როდესაც ალექსანდრე მაკედონელი თავისი ამაღლით დიოგენის სამყოფელს მიუახლოვდა, ბერძენი ფილოსოფოსი თავისი კასრის წინ იწვა და მზეზე თბებოდა. მხარეთუბნე უზრუნველად წამოწოლილი დიოგენი დიდხანს ესაუბრა მაკედონელს, ბოლოს მისი ღრმა ფილოსოფიური მსჯელობით მოხიბლულმა მხედართმთავარმა დიოგენს დახმარება შესთავაზა და უთხრა: სახელოვანო ადამიანო, სათხოვარი ხომ არ გაქვს რაიმე, მითხარი, სიამოვნებით შეგისრულებო.

„ერთი სათხოვარი მაქვს, ეს შემისრულე: ჩამომეცალე, მზეს ნუ მიჩრდილავ“, - უპასუხა დიოგენმა.

გაეცინათ ამაღალში. ჩაფიქრებული სარდალი კი მიუბრუნდა მათ და უთხრა: „მე რომ მაკედონელი არ ვიყო, დიოგენად ყოფნას ვისურვებდი“-ო.

### სპილო - კინოხანი

უგანდის ერთ-ერთ პარკში, ღია ცის ქვეშ, კინოფილმებს უჩვენებდნენ. სხვა ფილმებთან ერთად ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი სპილოების ცხოვრებაზე აფრიკის ჯუნგლებში. როცა სინათლე აინთო, გაცხებულმა მაყურებლებმა დაინახეს სპილო, რომელიც მშვიდად იდგა ბოლო რიგების უკან და ეკრანს აკვირდებოდა.

ეს სცენა რამდენიმე დღის შემდეგ ისევ განმეორდა. მაშინაც იმავე დოკუმენტურ ფილმს უჩვენებდნენ. ამის შემდეგ სპილო კიდევ ორჯერ მოვიდა სენანის დაწყების წინ, მაგრამ როცა დარწმუნდა, ფილმში სპილოები აღარ იქნებიანო, ტყეში გაუჩინარდა.

### ჩიტი - დირიჟორი

ეს ფრთოსანი დირიჟორი ტანად ბელურას ხელაა. სახელად ტანგარა ჰქვია. ცხოვრობს ბრაზილიის ტყეებში. დაფრინავს გუნდ-გუნდად.

ტანგარები სიმღერასაც გუნდურად ასრულებენ ერთ-ერთი მათგანის დირიჟორობით, რომელიც, ამავე დროს, სიმღერის წამომწყებიცაა. იგი ჯდება ტოტზე, მის გარშემო იკრიბებიან დანარჩენი „მომღერლები“ და დირიჟორის მოძრაობისა და მის მიერ წამოწყებული სიმღერის მიხედვით იწყებენ გალობას.

დირიჟორის ნიშანზე ჩიტები დუმდებიან, ადგილს ინაცვლებენ და კვლავ გუნდურად განაგრძობენ სიმღერას.

### ჟირაფის გული

როგორც იცით, ჟირაფს ძალზე გრძელი კისერი აქვს. ამიტომ მისი თავი გულიდან თითქმის სამი მეტრით მაღლა მდებარეობს. მეცნიერები დიდი ხანია დაინტერესდნენ, თუ როგორ ააქვს ჟირაფის გულს ასეთ დიდ სიმაღლეზე სისხლი.

გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ჟირაფის გული მძლავრ ტუმბოს ჰგავს და 12 კილოგრამს იწონის. გულის კედლის სისქე 8 სანტიმეტრამდეა, სისხლის წნევა ჟირაფს ორჯერ მეტი აქვს, ვიდრე ადამიანს, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ჟირაფის მძლავრ გულს სისხლი სამი მეტრის სიმაღლეზე ააქვს.



ბაბაა ტყეშალაშვილის და ირაკლი ბილაშვილის კოლაჟი

### დასვ პანი ბატი

აშშ ზოოლოგებმა შეადგინეს ცოცხალ არსებათა (ადამიანის ჩათვლით) სია მათი სიფრთხილის ზომის მიხედვით, რომელსაც ისინი იჩენენ ქუჩაზე გადასვლისას. პირველ ადგილზე გამოვიდა ბატი, რომელიც, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, თითქმის არასოდეს არ კვდება ტრანსპორტის ბორბლებქვეშ. ბატის შემდეგ მოდიან ღორი და კატა. ქათამი და ძაღლი ერთ დონეზე დგანან, ხოლო ადამიანს ბოლო ადგილი უჭირავს.

### უჩვეულო პასიანტი

კოლმეურნეობის ცხენს, რომელსაც ტური ერქვა, საშინლად ასტკივდა მუცელი. ტური გახდა და მუშაობა აღარ შეეძლო. ვეტერინარმა ექთანმა ცხენი სამუშაოდან გაათავისუფლა და მკურნალობა დაუწყო. ცხენი განიკურნა.

გავიდა დიდი ხანი. ერთხელ ექთანი სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა (ცხოვრობდა იმავე შენობაში, სადაც სავეტერინარო დაწესებულება იყო).

- რომელია ც ცხენი სულ ჩვენ სახლთან ტრიალებს. ვაგდებ, - არ მიდის, არც ახლო მიშვებს, წიხლებს ისვრის...

ექთანმა ფანჯარაში გაიხედა. ცხენი მართლაც იდგა და სამკურნალოს კარები საკენ იყურებოდა. ექთანი გარეთ გამოვიდა. ცხენმა ჩუმად დაიხვიხვინა, მიუახლოვდა და თავი მიადო.

- ეს ხომ ტური! - იცნო ექთანმა, - ნეტავ, რა დაემართა? - გასინჯა და გამოარკვია, რომ ცხენს მუცელი სტკიოდა. წამალი დააღებინა. ტური დანყნარდა და საჯინბოსაკენ წავიდა. ამის შემდეგ, როგორც კი ტური ავად გახდებოდა, თვითონვე მიდიოდა ექთანთან.

### ზოოლოგიური გამოკვლევები

... ადამიანი თვენახევარი ძლებს უჭმელი, უწყლოდ 6-7 დღეს, ხოლო უფანგბადოდ მხოლოდ 6-7 წუთს.

... სამოცდაათი წლის სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ძილში ატარებს 23 წელიწადს, საუბარში - 13 წელიწადს და 6 წელიწადს - ჭამაში.

... 120 გრადუსამდე გაყინული ლოკოკინა გათბობისთანავე იწყებს მწვანე სალათის ჭამას.

### სიან-ფუს ქვის ზიზლიოთაქა

ჩინეთის ერთ-ერთ უძველეს ქალაქ სიან-ფუსი არსებობს მსოფლიოში ერთადერთი ქვის წიგნების ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკას მეტად საინტერესო ისტორია აქვს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასზე მეტი წლის წინათ, ერთ ჩინელ იმპერატორს მოეჩვენა, რომ წიგნების კითხვის ნიადაგზე მისი ქვეშევრდომნი გააზიზებულნი, განეზიზებულნი და ბრძოლისუნარმოკლებულნი ხდებიან. მან ბრძანა, დაეწავათ იმპერიაში არსებული ყველა წიგნი, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე და თუ ამის შემდეგ რომელიმე „თავხედს“ აღმოაჩნდებოდა წიგნი, ის სიკვდილით დაისჯებოდა. გონიერმა ჩინელმა ხალხმა ბევრი იფიქრა, თუ როგორ გადაერჩინა თავისი ქვეყნის სიმდიდრე. გადაწყვიტეს, წიგნებიდან ტექსტები ისეთ რამეზე გადაეტანათ, რომელიც არ დაინვებოდა. ასე შექმნეს ორნახევარი მეტრი სიგრძისა და ერთნახევარი მეტრი სიგანის ფილაქვების ბიბლიოთეკა. დასაწვავად განწირული ყველა წიგნიდან ამ ფილაქვებზე ამოკვეთეს ტექსტები და მხოლოდ ამის შემდეგ შეასრულეს თავიანთი იმპერატორის ბრძანება. დანვეს ყველა წიგნი. ფილაქვებზე გადატანილმა ბიბლიოთეკამ ჩვენამდე მოაღწია და საუკუნეთა მანძილზე გაუძლია ომებსა და ხანძრებს.

თამაზები პერსონალურ კომპიუტერზე

### SPLINTER CELL

ეს თამაში ძალზე საინტერესოდ იწყება: ამერიკის შეერთებული შტატების მასშედი ავრცელებს ამერიკელთათვის შოკისმომგვრელ ინფორმაციას, რომლის თანახმად ამერიკის შეერთებულ შტატებს თავს დაესხა საქართველო და გაუნადგურა ძირითადი სტრატეგიული ობიექტები. Splinter cell შექმნა სტუდია Ubisoft-მა Tom Clancy-ის დახმარებით. ჩვენთვის ცნობილია ეს დეტალი თამაშით Ghost Recon, რომელსაც საქართველოში "პანკისის ხეობა"-ს უწოდებენ და იქაც, ძირითადად, მოვლენები საქართველოში ვითარდებოდა, მაგრამ ქართველების როლი გაცილებით მოკრძალებული იყო. ამჯერად კი მათი ფანტაზია გაცილებით შორს წავიდა და საქართველო თავისი ახალი პრეზიდენტის, კონბენ ნიკოლაძის (მას რუსულ თარგმანში, რატომღაც, კომბან ნიკოლაძეს უწოდებენ) მეთაურობით, არც მეტი და არც ნაკლები, ამერიკის შეერთებული შტატების დამარცხებას აპირებს ომში. თამაშში საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება ქართულ ენოვანი პლაკატები ნიკოლაძის გამოსახულებით. ცოტა უცნაურია ქართული წარწერები პოლიციის შენობაზე: "ქართველი პოლიცია" და წარწერა ამერიკელი შპიონის მანქანაზე: "წინილა". მრავალი დავიდარაბისა და დანაკარგების პასუხად ამერიკა მხოლოდ იმას ახერხებს, რომ აგზავნის დივერსანტს თბილისში საიდუმლო მასალების მოსაპოვებლად და ტერორისტული აქტების მოსაწყობად. ამ დივერსანტის როლი კი თქვენ უნდა იკისროთ და თანაც, მაქსიმალურად ფრთხილად უნდა შეასრულოთ. ზოგიერთ მისიაში ქუჩაში გავლის უფლება კი არა გაქვთ და თბილისში მაიმუნივით, აივნიდან აივანზე ძრომილით უნდა გადაადგილდეთ. თვით თამაში ძალიან მაღალ დონეზეა შესრულებული და ინტერნეტში მას უმაღლესი შეფასებები მისცეს.

ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო მალაზია "კომპიუტერს" (მელიქიშვილის ქ.№13) ამ თამაშის განსახილველად მოწოდებისათვის.

ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს 9.6 ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).



### SILENT HILL 2

ეს თამაში კი კომპარების მოყვარულებს გაახარებს. რადგანაც ამ ფანტასმაგორული ისტორიის ხლართებში გარკვევისას თქვენს სხეულში დიდი რაოდენობით ადრენალინი გამოიყოფა, ამიტომ არაა რეკომენდირებული ღამით, აბსოლუტურ სიჩუმეში თამაში, თორემ კომპიუტერთან დილაზე ჯდომა გარანტირებული გაქვთ. ეს თამაში პერსონალურ კომპიუტერზე სათამაშო კონსოლების სამყაროდან მოხვდა და ამიტომაც მას ცოტათი განხვავებული მიდგომა სჭირდება. თამაშში, როგორც ზემოთ ვახსენე, მოგიწევთ თავსატეხებისათვის თავის გართმევა და მონსტრებთან ბრძოლა. განსაკუთრებულად მინდა ავლიწონო გახმოვანება, რომელიც მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს და ყოველთვის ხიფათთან შესახვედრად მზადყოფნაში გვამყოფებს.

ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს 9.0 ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).



### სმონი

### TOMB RAIDER THE ANGEL OF DARKNESS

მომავალ თვეში ღირსეული თამაშების აშკარა დეფიციტი იქნება, ამიტომაც, ამ რუბრიკაში, ისევ ძველი ჰიტის გაგრძელების მოკლე აღწერა და თქვენთვის შემოთავაზება ვარჩივ.

აღბათ, თვით Tomb raider-ის შემქმნელებმაც იგრძნეს, რომ ხალხს მოზეზრდა უანრისადმი ერთი და იგივენაირი მიდგომა და გადაწყვიტეს, სერიალი ძირეულად შეეცვალათ. თამაშის დასაწყისში ლარას ბიუროკრატიული გაუგებრობების გარკვევა დასჭირდება, რათა ქვემარტება დაადგინოს. თამაში სამ ნაწილადაა დაყოფილი. სამივე განყოფილებას განსხვავებული სტილი აქვს და თავისებური მიდგომა სჭირდება.

სამწუხაროდ, გამომცემლებმა ძირითადი სიუჟეტის წინასწარ გამჟღავნება არ ისურვეს და მომავალ თამაშზე და მის ხარისხზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით.

ინტერნეტში ეს თამაში შეაფასეს 9.0 ქულით (მაქსიმუმია 10 ქულა).




გვერდი მოამზადა ზურაბ ბოკერიამ

# სსტვრჩვბა ვერტვალთა

კველი წელთაღრიცხვის I საუკუნის 60-იან წლებში, მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში კომკაუის ლაშქრობის ვედეგად, ქართლი, სომხეთი და ალბანეთი რომაელთა „მოკავშირედ და მეგობრად“ გამოცხადდა. ხოლო ეონტოს სამეფო და კოლხეთი რომის ხელისუფლებას დაეპყრებოდა. ფაქტობრივად, რომის სახელმწიფო მთელს მცირე აზიას და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებს დაეუფლა და პართიის მეზობელი გახდა.



კველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში აზიისი ერთმანეთს დაუპირისპირდა პართიისა და რომის სახელმწიფოების ინტერესები. თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ცვალებადი წარმატებით ებრძოდნენ ისინი ერთმანეთს. კველი წელთაღრიცხვის 40-30 წლებში პართიამ რომთან ბრძოლაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია, რადგან რომი ამ პერიოდისათვის სამომავლო ომის ალში იყო განვებული. ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში რომსა და პართიას შორის დაპირისპირება განსაკუთრებით გამწვავდა სომხეთის სამეფოს გამო. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ ვის მხარეს დაიჭირდა პართიის მეფე.




ამ დროს პართიის სამეფო ტახტი უკავია მითრიდატე I-ს. მას ორი ვაჟი ჰყავდა - მითრიდატე და ფარსმანი. რომის იმპერიასა და პართიის სამეფოს დაპირისპირებამ საშუალება მისცა პართიის მეფეებს, ამიერკავკასიაში პირველად მოეკავებინათ. პართიის სამეფოს სიძლიერე კარგად შეაფასა რომმა. იმპერატორმა ტიბერიუსმა პართიული ელჩები გამოაგზავნა და, პართიისთან ბრძოლაში მოკავშირეობის სანაცვლოდ, პართიის მეფეს სომხეთის სამეფოს ტახტზე პართიელი უფლისწულის აყვანა შესთავაზა.

პართიის მეფემ მითრიდატემ უფროს შვილს, ფარსმანს, პართიის ლაშქრის სარდლობა მიაწოდა, ხოლო უმცროსს - მითრიდატეს, რომელსაც სომხეთის ტახტი უნდა დაეკავებინა, პართიის მოგზავნა სომხეთი დიდებულების მოსყიდვა დააპირა.



პართიის ჯარი სომხეთში შეიჭრა და პართიელები განდევნა. მითრიდატეს მიერ მოსყიდულმა პირებმა პართიელი უფლისწული არსაკი მოკლეს. გადაწყვეტ ბრძოლაში პართიელთა და იბერიის ჯარი ერთმანეთს გააფთრებულნი ეპყვითნან.



ბრძოლის ქარცეცხლში ერთმანეთს შეხვდნენ ჯარის სარდლები: იბერიელი ფარსმანი და პართიელი ოროდი. ფარსმანი დიდი სისწრაფით მიიჭრა ოროდთან, ჩაჩქანი შუაზე გაუყო და მიიმედა დაჭრა. ფარსმანმა დარტყმა ვეღარ გაიძეოდა, რადგან ცხენმა პართიელი უფლისწული გაიტაცა, ამასობაში მცველებმა იგი ბრძოლის ველოდან გაიყვანეს. შებრახ სარდლის სიკვდილის შესახებ გაგვცემულა ხვამ, ტატიტუსის ნიჭყვით, პართიელები შეაშინა და ისინი დამარცხდნენ. ამ ბრძოლის შემდეგ სომხეთის ტახტი იბერიელ უფლისწულს მითრიდატეს დარჩა. იგი დიდი პატივით ააურთხეს მეფედ.



მაღე სომხეთის მეფეს მითრიდატეს ურთიერთობა გაურთულდა რომის ახალ იმპერატორთან გაიუს კალიგულასთან. იმპერატორმა მითრიდატე რომში გამოიძახა და დაატყვევა. იმპერატორად კლავდიუსის ტახტზე ასვლის შემდეგ ვითარება შეიცვალა. მითრიდატე ტყვეობიდან გაათავისუფლეს.



იმპერატორი იმედოვნებდა, რომ სომხეთის დაპყრობაში მითრიდატეს დახმარებოდა თავისი ძმა, უკვე იბერიის მეფე, ფარსმანი. დაახლოებით 43 წლის ახლო ხანებში რომაელთა და პართიელთა ბაერთიანებულმა ლაშქარმა სომხეთი დაიკავა და მითრიდატე იბერიელი ისევ გამოფლა.





ფარსმანი უშუალოდ ერიოდა სომხეთის სამეფოს საქმეებში. ტახტზე მოქალირების შემდეგ მითრიდატე ველარ ებუბარმა კმის ასეთი პრაქტიკიკოს და წინააღმდეგობას უწევდა. საბოლოოდ ისე გაანვინავდა კმებს შორის ურთიერთობა, რომ ფარსმანი საომარ სამზადისს შეუდგა. ფარსმანს ვახვდა ვაჟი რადამისტრი. იგი პატივმოყვარეობა და განდიდების სურვილია შეიძლო. მას სამეფო ტახტის დაკავება უნდოდა, მაგრამ მოსუცევაული მამა გზას უღობავდა. ხანძირვესულოვით შეფიქრინებულმა ფარსმანმა კალაუფლები ხელში ჩაგდება მოსურნე თავუკს სხვა იგადი შთაბოძდა.



მან შვილს სომხეთის ტახტის დაკავების სურვილი გაუღვივა და შეახსენა, რომ გიპამისი მითრიდატე ფარსმანის წყალობით იჯდა სომხეთის ტახტზე და თან დაარიბა, ესტუმრა გიპამეს და იმ, წინასწარ, მომხრეები გაიჩინა. რადამისტმა გიპამს სომხეთში ჩაკითხა და თავშესაფარი სთხოვა. ქართლიდან გამოსვლის მიზნად მამასთან და დედინაცვალთან უთანხმოება დასახლდა. მითრიდატე სინარულით შეხვდა კმისწულს და უხვად დაასარუქრა. რადამისტმა მამის დარიგების განხორციელებას შეუდგა. სომეხ ნაჩრევებულებსა და მითრიდატეს პირად მსახურებს, ზოგს ფული მიცა, ზოგს დაჰპირდა, წყალობით აბავსებთო და მომხრეები გაიჩინა.



სომხეთში მომხრეების გაცენის შემდეგ რადამისტმა ქართლში დაბრუნდა და მამას მოახსენა: რაც გზაკვრობით შეიძლებოდა გააკეთებულყო, გააკეთებულა. დანარჩენი იარაღით უნდა ასრულდესო. ფარსმანს ომის საბაგი უკვე მოგონილი ჰქონდა.



ქართულმა ჯარმა ციხე-სიმაგრე ალყაში მოაქცია, ხოლო რადამისტმა დიდკალი ფულით რუბაელთა ბარნიზონის მეთაური და გეციხეზევეები მოიხიდა.



მოსყიდულმა გეციხეზევეებმა გეფეს ციხის დაცვაზე უარი უთხრეს. მითრიდატე იძულებული გახდა, ზავზე დათანხმებულიყო. რადამისტმა გიპამს შეჰფიცა, არც ხელით და არც სანადგავით ზინას არ მოგახყვებო. ამ პირობით მითრიდატე დათანხმდა, დანებებულიყო თავისი კმევილს. საზავო რიბულის შესრულებისას მითრიდატეს რადამისტის გეციხეები მიცევივდნენ და შეპირდნენ. მითრიდატე და მისი გეფულე მინაზე დაანვიდნენ, ზედ უამრავი ქვეშეგები დააყარეს და გაგდეს. შეუბრალეებლად რადამისტმა გიპამვილებიც დახვდა.



ქართლის ჯარი რადამისტის სარდლობით სომხეთში შეიჭრა. ომისათვის მოუზარებელმა მითრიდატემ თავი ბარნის ციხე-სიმაგრეს შეაფარა.



რადამისტს დიდხანს არ მოუწინა სომხეთის ტახტზე ყოფნა.



მისმა აუბანელმა ტაროგმა ხალხი ააჯანყა. სომეხმა დიდებულებმა შეთქმულება მოუწყვეს მას და მისი მომხრეებიც ამოხოცეს. რადამისტმა მხოლოდ ოჯახისა და რამდენიმე მომხრის თანხლებით მოახერხა სამომლოში გაქცევა.



იკარბიტი ჩამოსულმა რადამისტმა კვლავ განაგრძო ფარული დარიგისპირება თავის მამასთან. ახლა უკვე ფარსმანს ეცილებოდა ქართლის ტახტს. ფარსმან ი-მა ვერ აიტანა შვილის ასეთი საქციელი და მსახურებს ჯერ შეაპყრობინა, შემდეგ კი მოაკვლევინა კიდეც.



ტყუარ სტრინი  
და კომედიტორი ვახ სიხლი  
შარტყი ფრანკო-მონღოლი იფანი ქრედიერი  
ზოგა ტყედილითა ვაჟი ვედილი  
კმედილი  
დიხანი მრედილი

გაგრძელება იქნება

# მამა ლომი და მისი ბედნიერი შვილები

სკანდინავიის მწერალი

იყო და არა იყო რა, იყო მამა ლომი, რომელსაც შვიდი შვილი ჰყავდა. მისი ცოლი ფულს მოულობდა. ბავშვები კი ისეთი პატარები იყვნენ, რომ მინას ძლივს აჩნდნენ.

მამა ყოველ დღით ექვს საათზე დგებოდა. საუზმეს ამზადებდა და ბავშვებს ბანდა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი ვაჟი, - პილერი - მამის ქვეშ იმალებოდა, რადგან დაბანა არ უყვარდა.

მის ცოლს ოფისში ბევრი სამუშაო ჰქონდა და, ამიტომ, დიდხანს ეძინა. რვის ნახევარზე მამა მას კოცნით ალვიებდა. საუზმის შემდეგ დედა ველოსიპედით სამსახურში მიდიოდა. იგი ოფისში ნომერ პირველი შევიდა.

„დამირეკე, ირმიკო“, - ფანჯრიდან გასძახა მამა ლომმა, - „მინდა ვიცოდე, რომ გიყვარვარ“.

- „დრო არა მაქვს“, - შემოსძახა დედა ლომმა, - „გააბედნიერე ბავშვები ისე, თითქოს შენ თვითონ იყო დედა, გესმის, ვალტერ? მთავარია, გახარებული და მხიარულნი რომ იყვნენ“. „აბა რა“, - თქვა მამა ლომმა, - „მამაც ხომ დედასავით კარგია“. ეს კი ნამდვილად მართალია.

როდესაც თეფშები გარეცხა, სამზარეულო დაალაგა, იატაკი მორეცხა და ნაგავი მუშობლის ეზოში ჩამარხა, უმცროს ქალიშვილს, - ტრილს ჰკითხა: „დღეს რის გაკეთება გინდა, ჩემო პატარა ტრილიკო?“

„მინდა გემის კაპიტანი ვიყო, ოკეანე ჰონკონგიდან

შანჰაიმდე და ერევნიდან ლუმბარგომდე გადავცურო. მაგრამ დავუდგე ქარს, ტალღები და ქარიშხალი დავამარცხო. მინდა, დედასავით მამაცი ვიყო, მამა“.

მამა ლომმა პატარა გემი ააშენა, აბანაში ოკეანე მოაწყო, ტრილიკოს კაპიტნის ქუდი დაახურა და გემი პარაგვაის მიმართულებით გააცურა. „ეჰეი, მეგობარო, ფრთხილად იყავი, ანა არ გატყდეს და იალქანი არ დაგეფლითოს, ჩემო გულის კოკორო!“

შემდეგ ბავშვს მარიკუნა ერქვა, სტეპების მეგლივით უშიშარი და ოცი წლის წინანდელი დედასავით მამაცი იყო.

მამა შეეკითხა: „ჩემო საყვარელო, დღეს რის გაკეთება გსურს?“ მარიკუნამ უპასუხა: „მინდა პროფესიით ასტრონავტი ვიყო. რაკეტით მსოფლიო შემოვიფრინო, შემდეგ რძის ქუჩაზე ჩამოვფრინდე. მამიკუნა, იცი, სად არის რძის ქუჩა?“

„არა“, - თქვა მამა ლომმა, - „არ ვიცი, სად არის ეგ ქუჩა, ვიცი მხოლოდ დიდი და პატარა დათვი. ორივე თანავარსკვლავედია. ზევით, ცაში, ვარსკვლავი თუ მოწყდება, დაიჭირე და ჩამოიტანე. მაგით დედის ღამის ღამფას ან სანთებელას გაუკეთებ“.

მამა ლომმა ჯოხს რაკეტა შემოახვია და სახლის უკან რაკეტის ასაფრენი მოედანი გამართა. მერე მაგიდაზე სკამი შედგა, რომ მარიკუნა ცოცხალი ვარსკვლავებს მიახლოებოდა.

შემდეგ უკულმა თვლა დაიწყო: „7, 6, 5, 3, 2, 1, 0“. ლომს რიცხვი ოთხი დაავიწყდა. არა უშავს. მნიშვნელოვანია ნული, რადგან ნულზე რაკეტა უნდა აფრინდეს. „შვილის ოც ნუთზე დაბრუნდი, გესმის!? გელოდები“.

ასეთი რაკეტა წარმოუდგენლად ჩქარა მიფრინავს, თითქოს გალაქტიკური ჩიტი იყოს და დროსა და სივრცეში ფრინავდეს. სახლები, ხეები ისე პატარავდება, როგორც ფოთლის ტილი, ნალღელი და დარდი ქრება და ფიქრობ: „როგორი ილია ცხოვრება!“ მარიკუნას კოსმოსში „კარამბოლაჟით“ მფრინავი კურდღელი ჰყავდა. მფრინავი კურდღელი ტრაექტორიიდან მოწყდა, შავ სვრელში ჩავარდა და გაქრა. თუმცა სხვა სამყაროში ისევ გამოვარდა, მაგრამ, - უხილავი! რადგან, რაც შავ სვრელში ქრება, სადღაც ისევ ჩნდება ხოლმე. კურდღლისთვის

ეს დიდი ბედნიერებაა, ვინაიდან იქ თოფს არავინ ესვრის. ასეა ხოლმე, რაც ერთგან უბედურებად გვეჩვენება, სადღაც, სხვაგან, სხვა განზომილებაში, ბედნიერებაა.

დაიხსომეთ, ხალხო! მესამე ბავშვს ერქვა პაული. პაულს სურდა მთელი დღე ტრამვაით უბილეთოდ ემგზავრა. იქით-აქეთ, წინ და უკან, ყველა გაჩერების მოსანახულებლად.

„უბილეთოდ მგზავრობა დიდებულად მიღებულია ცხვირში, რადგან აკრძალულია“, - თქვა პაულმა.

უბილეთოდ მგზავრებს დიდ ჯარიმას ახდევინებენ, რაც მამა ლომს არ სურდა. ჯარიმა რომ არ გადაეხადა და პაულიც ცხვირში არ მოხვედრილიყო, მძღოლისგან ჩუმად მთელი დღის ბილეთები იყიდა, თვალი ჩაუკრა და მძღოლმაც ყველაფერი გაიგო.

ხანგრძლივი მგზავრობის დროს მძღოლი ხანდახან ბოროტი მზერით გახედავდა პაულს, რომელიც ფიქრობდა: „უუუუუუუიიიიიიი, როგორ მაელექტროვებს! დღეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე კარგი დღეა“.

მაღე ყველა გაჩერება ზეპირად იცოდა და ყოველ გაჩერებაზე ტრამვიდან მოსაფისად ჩარბოდა.

ქალიშვილ ფრიდიკუნას მაკარონი სურდა. ყოველ წელს, დაბადების დღეზე, ბევრ მაკარონს ნატრობდა და ნატვრა უსრულდებოდა კიდევ, მაგრამ მაინც მთელი წელი ისევ მაკარონს გაიძახოდა.

„მაკარონი-სპაგეტი, ვერმიშელი და კვერცხიანი მაკარონი, გაუთავებლად, ყურებამდე, მამა!“ მთელი ოთახი სავსე იყო მაკარონით.

მეხუთე ბავშვი ალფრედი მამამ ვერ იპოვა, ბაზარში ხილის მოსაპარად გაპარულიყო.

მეექვსე ბავშვი ლიზელი იყო. „რას ისურვებ, ჩემო საყვარელო ლიზელიკო?“ - პეპელას კოცნასავით ნაზად ჰკითხა მამამ.

„თავი რომ დამანებო, შე გაბურძგულო ბებერო! მე შენი საყვარელი ლიზელიკო არ ვარ. არაფერი მკითხო, არაფერი მითხრა. მომწყდი თავიდან. ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, გასაგებია? რევილუცია! გათავდა, მორჩა გოგოებზე ბებრების უფროსობა“.

ეს თქვა, ჩექმები ჩაიცვა და დიდ მაგიდაზე აძვრა.

ამან ძალზე ატკინა მამა ლომს გული, მაგრამ გაასხენდა, რომ ახალგაზრდობაში ისიც ასე ლაპარაკობდა და სულ რევილუცია ჰქონდა თავში.

რამდენიმე ცრემლი ზაფხულის წვიმასავით ჩამოუვარდა დრუნჩზე. ლიზელი ხომ მისი უსაყვარლესი შვილი იყო. ბავშვს რომ თავი ბედნიერად ეგრძნო, თავი დაანება.

როდესაც მამა ლომმა სამუშაო დაასრულა, ოთახში, ტახტზე, ცოტა ხნით დასასვენებლად წამოწვა. მამას თვლა აერია, მეშვიდე ბავშვი პილერი დაავიწყდა. ის ჭაღზე ქანაობდა და იძახდა:

„მე ფანჯრიდან მინდა გადავხედე. ეს ძალიან მამბედნიერებს, მამა“.

მამამ ფანჯარასთან მიიყვანა პილერი, გაალო და თქვა: „ოღონდაც ფრთხილად იყავი, ფარდა არ დაასველო, თორემ მყრალი სუნი დადგება და სტუმრებთან შევრცხვებით“.

პილერმა დიდი წნევით გადაუშვა ფანჯრიდან. რადგან გუშინდლიდან იმარაგებდა, საკმაოდ შორს ასხამდა და ახლა ხუთ ნუთზე მეტხანს შეიძლებოდა ეწვიმა.

ქვევით გორგოლაჭებიან ფეხსაცმელებზე ლურჯი მეფე იდგა და შუქნიშანზე მწვანე შუქის ანთებას ელოდებოდა. როდესაც მან იგრძნო, რომ ეს წვიმა არ იყო, ზევით აიხედა და, კი არ გაუბრაზდა პატარა ლომს, გაუღიმა: „არა უშავს, ჩემო ბიჭო, გაშრება. მე და ჩემი ცოლიც ყოველთვის ფანჯრიდან ვასხამთ, ჰა, ჰა“.

მან გვირგვინიდან სისველე ჩამოიფერთხა და მწვანე შუქზე სწრაფად გადაჭრა ქუჩა. მის ძალს დაბადების დღე ჰქონდა, თერთმეტ საათზე სახლში უნდა ყოფილიყო.

ამასობაში დედა ლომი კარგი მამასავით ზრუნავდა ოფისში თავის ხალხზე. ის ეუბნებოდა ბატონ ვერტიმულერს: თქვენ ფერმკრთალი ხართ, ჩემო საყვარელო, ამდენი არ უნდა იმუშაოთ. უკანალის ქვეშ ბალიში დაიდეთ, რბილად რომ იჯდეთ“.

თანამშრომლებს ზედმეტ შვევლუებას, დეკემბერში საშობაო ბატს და აღდგომისთვის ჭრულ კვერცხებს შეჰპირდა.

ამასობაში, სახლში მამა ლომი, ძველ ლუმელზე, ყველას, სათითაოდ, საყვარელ კერძს უკეთებდა. ქვაბები საშინლად თუხთუხებდნენ, ხოლო ლუმელი ორთქმავალივით ბოლავდა. ასეთი ბოლი ყარს და ჯანმრთელობისთვის მავნეა. ხვალ, მამა ლომი, ბოლოს და ბოლოს, შეაკეთებს მილს - ასეთი პირობა აქვს დადებული.

ზუსტად შვიდის ოც ნუთზე მამა ლომი სახლის უკან გავიდა და დედის წინსაფრით თავისი ქალიშვილი მარიკუნა დაიჭირა.

„ყველაფერი ვნახე“, - შესძახა მარიკუნამ, - „უამრავი საოცარი სანთელი. მთვარეს შემოუფრინე. მართლა მაგარი იყო. მაგრამ მოწყვეტილი ვარსკვლავი ვერ ვიპოვე. არა უშავს!“

მაღე დანარჩენი ექვსი ბავშვი და დედაც მოვიდნენ. „ყველა ბავშვი გააბედნიერე ვალტერ, თუ რომელიმეს რაიმე აქვს სათქმელი?“

„ჩვენ ყველანი ბედნიერები ვართ“, - შესძახეს მათ. ახლა კი შეეძლო მამას წყნარად წამოწოლა. დედამ შემოიტანა საჭმელი, მაგიდაზე დაალაგა, მაგრამ მამას უკვე მაგიდის ქვეშ ეძინა. დედამ თეფშის იქვე დაუდო და როდესაც ყველამ მიირთვა, თვითონაც დანვა დასაძინებლად. ყველა იქ ნეებოდა, სადაც მოეპრინებოდა. ხვალ ახალი დღე გათენდება, დედა ოფისში წავა, მამა კი ყველას გააბედნიერებს. ზუსტად ასეთი უნდა იყოს ცხოვრება, საყვარელო მშობლებო, დაიხსომეთ!

ასეთი უნდა იყოს ბავშვის ცხოვრება!

გერმანულიდან თარგმნა ქეთი იაშვილი



ბიუ ბალაშვილის ნახატი

# ცხრა თვე ტყვეობაში

ა. კასილი

შესაძლოა, სამყაროს კიდევ დიდხანს არაფერი სცოდნოდა ვენესუელის ჯუნგლებში ჩაკარგულ იეკვანთა პატარა ტომზე, ჯინ ლიდლოფი და ანდრე ლალოზა რომ არა.

ნიუ-იორკის სამხატვრო სემინარიის კურსდამთავრებულ ჯინს აზრადაც არ მოსვლია, რომ ვენესუელის ჯუნგლებში ამოყოფდა თავს. ერთხელ იგი შეხვდა მეგობარს, რომელიც ძვირფასი ქვების საძებნელად გამგზავრებაზე ოცნებობდა. ანდრეს იდეა ქალიშვილს ჭკუაში დაუჯდა. მოგზაურები ამბობდნენ, ვენესუელა ოქროს, პლატინისა და ალმასების სალაროაო. ისტორიის სახელმძღვანელოებში კი ეწერა, გასულ საუკუნეში უპატის ახლოს ოქროს დიდი საბადო იპოვესო. 1880 წელს მდინარე იურუარიზე დაიწყეს მსოფლიოში უმდიდრესი ოქროს მალაროს დამუშავება. მოგზაურებში ლეგენდად ქცეულიყო ვენესუელის ალმასების ამბავი და, აი, ახლა ანდრემ საიდანაც გაიგო, რომ უხვეყლიანი ორიონოს შენაკადის, მდინარე კანაკუს მიდამოებში ალმასები მოიპოვებოდა. ჯინმა საკმაოდ კარგად იცოდა ესპანური ენა და ანდრეს კარგ სამსახურს გაუწევდა.

ისინი დიდხანს ემზადებოდნენ წასასვლელად. იმედოვნებდნენ, ნაპოვნ ძვირფას ქვებს გავყიდით და ხარჯებს იმით დაფარავთო. ჯინმა და ანდრემ თან წაიღეს გამხმარი ბანანები, სპაგეტი, რძის ფხვნილი, ჩაი, მედიკამენტები.

ულრანი ტყე პირქუშად შეხვდა მოგზაურებს. ძნელ ლაშქრობაში ცოტა დრო როდი გავიდა, მდინარე კანაკუმდე კი ჯერ კიდევ დიდი მანძილი იყო. ერთხელ ტევრში თვალს მოჰკერეს შავგვრემან კაცს, რომელსაც გრუზა შავი თმა ჰქონდა, ერთი ქუთუთო მთლად უფარავდა თვალს. დედისობილა იყო, მხოლოდ თეძოებზე შემოხვია ნაჭერი. კისერზე მძივები ჩამოეკონიალებინა.

როგორც იქნა, ანრუ (ასე ერქვა ინდიელს) დათანხმდა მათი გამოყოფა ეკისრა. თურმე, ყველა ჭეშმარიტი ინდოელი ერთი ემზაკმა ანრუმ მაძიებლები იმ რაიონში წაიყვანა, სადაც ძვირფასი ქვების სხელებაც არ იყო.

რამდენიმე ინდიელის თანხლებით ანდრე და ჯინი მიცურავდნენ მერევიარიზე, რომელშიც უამრავი ნიანგი და მტაცებელი თევზი ბინადრობდა. მდინარეს ორივე მხრიდან მჭიდროდ ერტყა ჯუნგლები. ზოგან გიგანტური ხეების სიმაღლე ას მეტრს აღწევდა. მაიმუნთა გამყინავი გნიასი სად არ ისმოდა! მდინარეზე შურდულივით ჩაიფრენდნენ ხოლმე თუთიყუშთა გუნდები.

ბოლოს და ბოლოს, პატარა მდინარე კანაკუმდე მიადნეს. ანრუს აქ ალმასები უნდა ეჩვენებინა, მაგრამ ჯინმა და ანდრემ მდინარის ფსკერზე მხოლოდ ქვები იპოვეს, რომლებსაც კრისტალური ძარღვები უბრწყინავდა. მათ სასონარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა: იწყებოდა დიდი ტროპიკული წვიმები და იძულებული გახდნენ, ძიება შეენწყობათ. მელე ანრუმ რაღაც საქმეები მო-

იმიზეზა და სოფელში წავიდა. ჯინთან და ანდრესთან ოთხი ინდიელი დარჩა. ჯინს ფეხები დასერილი ჰქონდა და მისი ერთადერთი სურვილი იყო, შინ მალე დაბრუნებულიყო. მაგრამ მშვენივრად იცოდა - „მწვანე ტყეებიდან“ დამოუკიდებლად ვერ დაიხსნიდნენ თავს.

ანრუ არსად ჩანდა. ჯინმა და ანდრემ სოფელში წასვლა გადაწყვიტეს. სოფელს რომ მიადნენ, შენიშნეს, რომ ინდიელებს „მწვანე ტყეებიდან“ დამოუკიდებლად ვერ დაიხსნიდნენ თავს. ანრუ არსად ჩანდა. ჯინმა და ანდრემ სოფელში წასვლა გადაწყვიტეს. სოფელს რომ მიადნენ, შენიშნეს, რომ ინდიელებს „მწვანე ტყეებიდან“ დამოუკიდებლად ვერ დაიხსნიდნენ თავს.

ჯერ კიდევ ლაშქრობისას ჯინს არა ერთხელ აღმოუჩინია სამედიცინო დახმარება თავისი გამოყოფისათვის. ანრუმ, რომელიც მედიკამენტებს პირველად ალმაცერად უყურებდა, ირწმუნა მათი მაცოცხლებელი ძალა. მალე სხვა ინდიელებმაც იწყეს მოსვლა დახმარების სათხოვნელად.

ჯინი სთხოვდა მათ, გამოეყოთ და გამიშვიეთო. ალმასის დარდი ვილას ჰქონდა. ამ ძვირფასმა ქვამ მათთვის ბრწყინვალეობა დაკარგა. მაგრამ ინდიელები დღემდნენ და ტყვეებმა იმედი დაკარგეს. ტომი ახლაც ისე პრიმიტიულად ცხოვრობს, როგორც მრავალი საუკუნის წინათ. იეკვანას ტომს მოჰყავს მანიოკა, შუბით ნადირობს. მძიმედ დაავადებული ინდიელი იშვიათად თუ გადაარჩება. ტომი გაუვალი ჯუნგლებითაა გარშემორტყმული.

ნელა მიიზღაზნებოდა დრო. ჯინი და ანდრე იმასვე მიირთმევდნენ, რასაც მათი მასპინძლები - შემწვარ თუთიყუშებსა და მანიოკას ფესვებისგან დამზადებულ „კასაუსს“. ხანდახან ნიანგის ხორცსაც შეექცეოდნენ.

ტყე გველებით, მორიელებითა და მტაცებელი ცხოველებით იყო სავსე. ერთხელ ჩაფიქრებულმა ჯინმა შეამჩნია თორმეტმეტრიანი გველი, რომელიც მისკენ მიცოცავდა. კიდევ კარგი, ერთი ინდიელი დროზე შეესწრო ამ ამბავს და გველს თავი წააგლიჯა.

...უცებ სოფლის მახლობლად კვილი გაისმა. ჯინი ქოხიდან გამოვარდა. ინდიელებს ხელში აყვანილი მოჰყავდათ კაცი. ჯინი მათკენ გაექანა. ინდიელებმა მინაზე დაანვიანეს კაცი, რომელიც ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა და გამწარებული ღრიალებდა. ფეხი სულერთიანად დასისხლიანებოდა, ხოლო ტერფი ცელოფანის ნაჭრით ჰქონდა შეხვეული (ცელოფანი ჯინმა სოფლის ბევრ მცხოვრებს დაურთო). ჯინი ჭრილობის განმენდას შეუდგა. ჭრილობა ძვლამდე იყო დასული. გასიებული ფეხიდან ჩირქი სდიოდა.

- რა დაემართა? - ჰკითხა ჯინმა ბელადს.

თურმე ინდიელი ღრმად შევიდა ჯუნგლებში. პალმაზე აძვრა და ახალი ქოხისთვის ტოტების მოჭრა დაიწყო. მაჩრტე ხელიდან

გაუსხლტა და ფეხი გაუჭრა. ინდიელი გაჭირვებით ჩამოცოცდა ხიდან. მის საშველად მაშინვე ამხანაგები მოცვივნენ. ერთერთ მათგანს შემთხვევით აღმოაჩნდა ცელოფანის ნაჭერი. ინდიელებს ეგონათ, რახან ეს ნაჭერი „სხვა სამყაროდან“ მოიტანეს, ყველაფერს არგებდა. ჰოდა, ჭრილობას ცელოფანი შემოახვიეს და უკან დაბრუნდნენ. ასე გავიდა მთელი სამი დღე...

„განგრენა!“ - გაუელვა ჯინს სამინელმა აზრმა. მას ხელთ არ ჰქონდა უბრალო სკალპელიც კი, გამაყურებელ საშუალებებზე რომ არაფერი ვთქვათ. ადამიანს სიკვდილი ემუქრებოდა.

ჯინმა მაშინვე მისცა ტერამიციანი და პენიცილინი. ინდიელს გამოკეთება დაეტყო. ალბათ რკინისებური ორგანიზმი თავად მოერია სენს!

ამ შემთხვევამ ანრუს განუმტკიცა გადარჩევის იდეა - არ გაემევა თეთრკანიანი ტყვეები. ანდრემ ჯინს ჰკითხა, ხომ არ აჯობებს „სამკურნალო პრაქტიკის“ შეწყვეტა? მაგრამ ქალი ამას არადადამიანურ საქციელად თვლიდა. ტყვეებს იარაღის გამოყენება არ სურდათ: კაცმა რომ თქვას, ინდიელებმა ცუდი რა გაუკეთეს. არა, მეტი გზა არა აქვთ, უნდა გაიქცნენ. მაგრამ როგორ? ყოველი მხრიდან ჯუნგლები არტყიან.

სხნა თავისი ფეხით მოვიდა. ორი ინდიელი ლოგინად ჩავარდა. ერთს აპენდიციტის ნიშნები ეტყობოდა, მეორეს კი ფისტულა გაუჩნდა ზურგზე. ჯინი აპენდიციტის ოპერაციას ვერ გააკეთებდა და გადაწყვიტა მდგომარეობა ჯერ ავადმყოფის მამისთვის გაემხილა, მერე კი - ანრუსთვის.

- ავადმყოფები საჩქაროდ უნდა მივიყვანოთ სიუდად-ბოლივარში. არადა დაიხოცებიან, - განაცხადა ქალმა.

ანრუ მიხვდა, „ექიმი“ გაქცევის მიზეზს ეძებდა და თვითონ შეუდგა ავადმყოფთა მკურნალობას: მთელ ტანზე წითელი ხაზები დაიხატა, კისერზე ცისფერი და თეთრი ძვლის მძივები შემოიხვია და ავადმყოფები თავის ქოხში გადმოაყვანინა. მთელი ღამე ისმოდა სარაჩხუნებელის ჩხაკუნის შელოცვით „ავ სულელებს“ დევნიდნენ. როცა ანრუ იძინებდა, მას სხვა შამანები ცვლიდნენ, მაგრამ ავადმყოფებს

უკეთესობა არ დაეტყობო, პირიქით, მდგომარეობა თანდათან გაუარესდა.

ანდრე დაჯინი შიმობდნენ, ინდიელების სიკვდილთან ერთად გაქრებოდა მათი ტყვეობიდან გათავისუფლების უკანასკნელი იმედიც. ანრუს კი ქალაქისა და საავადმყოფოს გაგონებაც არ სურდა. და აი, ერთხელ, მაღალ ხეზე მჯდარმა გუმბამთანასოფელელებს უეცრად აცნობა, ჩვენკენ თვითმფრინავი მოფრინავსო. ამან ბეჭადი ძალიან ააღელვა. ეგონა, თვითმფრინავი ტყვეების საძებრად იყო გამოგზავნილი. ემინოდა, სოფელი არ აღმოეჩინათ. ანრუმ დაუყოვნებლივ ბრძანა, ავადმყოფები კანოეში ჩაენვინათ და ჯინსა და ანდრეს დაემშვიდობა. სიუდად-ბოლივარამდე თორმეტი დღე მდინარით იმგზავრეს. ჯინმა და ანდრემ ავადმყოფი ინდიელები ექიმებს ჩააბარეს.

ასე დამთავრდა მწვანე ტყეობა, რომელიც ზუსტად ცხრა თვე გაგრძელდა. ჯინი და ანდრე მაინც ტკბილად იგონებენ მას. ანრუს ბოროტი განზრახვა არ ჰქონდა, იგი თავისი პანანინა ტომისთვის ზრუნავდა, უნდოდა, ამოწყვეტისაგან გადაერჩინა.

ბელადმა-შამანმა, ბოლოს და ბოლოს, მედიცინა ირწმუნა.



ბია ბალაშვილი ნახატი

# ქართული საბრძოლო ხელოვნება

## ჭიდაობა

**“ქართული ჭიდაობა ისეთივე ეროვნული საუნჯეა, როგორც ფოლკლორი, ქართული სიმღერები, ქართული ხუროთმოძღვრება”**  
*ნიკო კეცხოველი*

ჭიდაობა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჩვენში. ქართველებმა ყველა საერთაშორისო სახეობა გაამდიდრეს თავისი ხელნერიტითა და ჭიდაობის განსხვავებული მანერით. შესაბამისად, არც ერთ სპორტულ სახეობაში იმდენი წარმატება არ მოუპოვებიათ ჩვენს სპორტსმენებს, რამდენიც ჭიდაობაში.

რამი მდგომარეობს ჩვენი მოჭიდავეების ასეთ წარმატებათა საიდუმლო? რამ შეაძლებინა მათ, დაეპყროთ პრაქტიკულად ყველა მწვერვლი მსოფლიო ასპირეზზე? ამ მიღწევათა საფუძველი უძველესი და უნიკალური ფენომენი - ქართული (ქართლ-კახური) ჭიდაობა და მისი ნაირსახეობანი გახლავთ.

ყოველად მიუღებელია ვარაუდი, თითქოს ჭიდაობა საქართველოში “მდაბიოთა სტილი” იყო. თუნდაც ეს ისტორიული ფაქტია საკმარისი მის უარსაყოფად: XVI საუკუნის მიწურულს სტამბულს მისიით მყოფი სამცხის ათაბაგი ყვარყვარე ჯაყელი სულთანმა მურადმა ოსმალთა ვრცელი იმპერიის უპირველეს ფალავანთან დაჭიდებაზე დაიყაბულა. შეტაკებისთანავე ყვარყვარემ შუაკაურით ბეჭებზე დასცა მეტოქე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჭიდაობა ქართული საზოგადოების ყველა ფენაში იყო გავრცელებული და იგი არც ქართველ დიდგვაროვანთათვის გახლდათ უცხო ხილი და სათაკილო ზნე. მით უმეტეს, რომ ეს სახეობა საბრძოლო მომზადების განუყოფელი ნაწილი იყო და ნაკლებად ჰგავდა დღევანდელ გასპორტებულ ნაირსახეობას. XX საუკუნის დამდეგსაც კი იგი საბრძოლო შერკინება იყო, რაზეც ცხადად მეტყველებს ქვემოთმოყვანილი სტრიქონი აკაკის პოემიდან, რომელიც მან ნესტორ ესებუასა და კულა გლდანელის შერკინებას მიუძღვნა და რომელიც სულაც არ ჰგავს სპორტულ პაექრობას:

“მივარდა, გულში ხელი ჰკრა, ბურთივით გააგორაო...”

გასულ საუკუნეში ინტენსიურად წარიმართა ქართული ჭიდაობის “სამბოში” გადაქაჩვის პროცესი. შედეგად კი მივიღეთ, რომ მისგან ნასახროდობმა “სამბომ” დღეს მსოფლიო დაიპყრო და “ნესგარეშე” შერკინებებში აშკარად დაადასტურა თავისი უპირატესობა. საქართველოდან ცოდნის გაზიდვა მიმდინარეობდა მეთოდურად და ისეთი გულმოდგინებით, რომ აშკარად ჩანს: ამის მოქმედმა ჩვენზე უკეთ უწყობდა, თუ რა საგანძურთან ჰქონდა საქმე.

ინტერნეტში, ერთ-ერთ სტატიაში – “რუსული საბრძოლო ხელოვნება” ნათქვამია, რომ “სამბო” ოშჩეპკოვმა იაპონური “ჯიუ-ჯიცუს” ბაზაზე შექმნა, მაგრამ სტალინის დრო იყო და ქართულმა ჭიდაობამ წინა პლანზე იმიტომ წამოიწია, ანუ – ვალიარებო, რომ სხვისგან მივითვისეთ, ოღონდ არა ქართველთაგანო! ამ უხვირო ხრიკის მიზანი ნათელია - “ჯიუ-ჯიცუსა” და “სამბოს” შორის დიდი სხვაობაა და ამ სხვაობის დასაკუთრებას აპირებენ, თორემ ქართულ ჭიდაობას რომ შეადარონ, რამდენიმე ფანდილა შერჩებათ ჩოქბჯენში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი შეზღუდული სახეობა - “ღორული” სწორედ ჩოქბჯენში წარიმართება და დანამდილებით შეიძლება ითქვას, რომ უძველესი სარიტუალო სახეობაა, რადგან, აშკარად, ტახის კულტთან არის დაკავშირებული, მინაში გუნგრაობითა და იქიდან ძალის ამოკრეფით (იაპონური შეძახილიც - “კია!” მინის ღვთაებისგან ძალის წამოსაღები ყოფილა).

სულ სხვა რამეს წერდნენ “სამბოს” მესვეურნი საბჭოეთის გარიჟრაჟზე, ანუ მაშინ, როცა საქართველო სამარადეთმოდ საკუთარ პროვინციად ჰყავდათ დაგულბული და, შესაბამისად, უფრო გულახდლინიც იყვნენ. თვით “სამბოს” “მამას” - ხარლამპიევეს არც უცდია ქართული ჭიდაობის როლის მიჩქმალვა. იგი ხშირად და ხაზგასმით აღნიშნავდა ქართული ჭიდაობის უპირატესობას სხვა შერკინებებთან შედარებით.

1940 წელს გამოცემულ “სამბოს” სახელმძღვანელოში კი ავტორი ვოლკოვი აღნიშნავს:

“ჩოხიანი” ქართული ჭიდაობა საუკეთესოა თავისი ტექნიკითა და უბრალოებით...

... ქართულ ჭიდაობას საბრძოლო ელფერი დაჰკრავს. უნდა ითქვას, რომ მასში ფეხის ფანდების დამუშავება უკეთესია, ვიდრე იაპონურ “ძიუ-დომო”...

... მიუხედავად ფანდების მრავალფეროვნებისა, თავისუფალ ჭიდაობას აქვს უმთავრესი ღერძი, აგებული გდებებზე. წონასწორობიდან გამოყვანა ამ სახეობის

უმთავრესი ელემენტი, მაგრამ რარიგ განვითარებულიც არ უნდა იყოს თავისუფალი ჭიდაობა სპორტული თვალსაზრისით, იგი გდების ტექნიკით მაინც ჩამორჩება ისეთ შესანიშნავ ეროვნულ სახეობას, როგორცაა “ჩოხიანი” ქართული ჭიდაობა.

საბედნიეროდ, XX საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართული ჭიდაობის მესვეურებმა უდიდესი რუღუნებით შექმნეს მისი სპორტული ნაირსახეობა და ამ გზით შთამომავლობას შემოუნახეს იგი. თვით ის ტრავმული ილეთებიც კი, რომელიც ჭიდაობის მიღმა დარჩა, ნაწილობრივ, თუნდაც აკრძალვის სახით, დაფიქსირდა წყაროებში და ახლა ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს. ამასთან, რაკი ჭიდაობის ტრადიცია არ განწყვეტილა, მრავალი აკრძალული ხერხი პარალელურად მოსდევდა მას და ჩვენამდეც მოატანა.

უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული ასეთი ფანდი ერის მონაპოვარია და განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს. თუ მისი აღწერა ზედმიწევნით

ზუსტი არ არის, შესაძლებელია, სამუდამოდ გაგვისხლტეს ხელიდან. მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ ქართული ჭიდაობის მესვეურის ვაჟა ნუცუბიძის ერთი მონათხრობი: “ერთხელ, სამეგრელოში ყოფნისას, როცა ქართული ჭიდაობისთვის ადგილობრივ ფანდებს ვკრებდი, ერთი ხანდაზმული კაცი ნახტომში მომაფრინდა, წყვილი ფეხი გამომკრა მარჯვენა ფეხის გარჯლასა და მარცხენა ფეხის თეძოზე და გულაღმა დამცა, თან მომაძახა – ეს არის ჩვენებური მოგორდიაო. ჩემი ხვენწა-მუდარის მიუხედავად მან ეს ხერხი აღარ გაიმეორა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. რამდენი არ ვეცადე, თითქოს სრულად აღვადგინე კიდევც, მაგრამ კაცის ასე მარჯვედ გაკოტრიალება ვერ შევძელი.”

უძველესი დროიდან საქართველოს ყველა კუთხეში არსებობდა ჭიდაობის ადგილობრივი ნაირსახეობანი, რომლებმაც, ნაწილობრივ, ჩვენამდეც მოაღწია, თუმცა კი, უმეტესობა დაკარგვის ზღვარზეა მიხული. მართალია, ქართლ-კახური ჭიდაობის სკოლამ თავისი სიმდიდრითა და დახვეწილობით დიდი სამსახური გასწია, მაგრამ მოზარდის ფიზიკური განვითარების თვალსაზრისით კუთხური სახეობანი ასევე უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამავდროულად, ეს სახეობანი ამა თუ იმ კუთხის კულტურისა და ტრადიციის ნაწილია და, ამდენად, მათი დაკარგვა დიდი დანაკლისი იქნება ჩვენი ერისათვის.

ძველ თბილისში გამართულ დღესასწაულებზე ფრიად პოპულარული იყო ქართული ჭიდაობა, რომელიც იმართებოდა ღია ცის ქვეშ: აგლაბარში, ჩულურეთში, ელიაზე, კვირაცხოვლის ეკლესიასთან, ახალ კუკიაში, მუშტიადის ბაღის პირდაპირ, ე.წ. “იტალიელების ბაღში”, ვერაზე, ფიქრის გორაზე ამ საქმეს მიკვირებანი ბაბაქუა და წვერიანი ალექსა მოთავიბობდნენ.

მტკვართან, დიდუბის ეკლესიის სიახლოვეს, თავად ციციშვილს თავის მამულში ჰქონდა მონყობილი დახურული საჭიდაო მოედანი.

ხალხმრავალ ადგილას უეცრად გაისმებოდა ზურნაზე დაკრული ჰანგი. დამკვრელთა გარშემო იკრიბებოდა ხალხის წრე, რომელსაც სახრის ფეხებში ცხუნებით აფართოებდა მსაჯი. ამის შემდეგ ზურნა “საჭიდაოს” შეუბერავდა, წრეში ჩოხიანი მოჭიდავენი შემოდიოდნენ და მისალმების შემდეგ იწყებდნენ შერკინებას. თითოეულ მათგანს ჰყავდა თავისი ქომაგი, რომელიც სანაძლეოს დებდა თავის ფალავანზე, ყიჟინით ამხნევებდა მას. ჭიდაობის შემდეგ ქალაქის რომელიმე დუქანს მიაშურებდნენ მოსალხენად.

შემორჩენილია ერთი ცნობა, რომელიც საინტერესოდ წარმოაჩენს ცნობილ ფალავანს, კულა გლდანელს: მას თურმე საგანგებო ჭიდაობა გაუმართავს, რათა ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველასთვის საზღვარგარეთ სასწავლებლად წასასვლელი ფული მოეგროვებინა.

როგორც ისტორიული მასალის შესწავლა გვიჩვენებს, ჭიდაობა გაბატონებულ სახეობას წარმოადგენს სოფლის ტიპის დასახლებებში მაშინ, როცა ქალაქის მოსახლეობა უფრო კრივს ანიჭებს უპირატესობას. ეს არჩევანი შემდეგი მოსაზრებით უნდა იყოს განპირობებული: ვისაც თანამედროვე, ე.წ. “ნესგარეშე” ორთაბრძოლა უნახავს, აუცილებლად მიაცქევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ორთა შერკინებაში, ძირითადად, ჭიდაობის მცოდნე აღწევს წარმატებას და კრივის ილეთთა მოხმარება ეპიზოდურად თუ ხდება, მაგრამ ქალაქად მეტია ერთზე ორის თავდასხმის ალბათობა (რაც სოფლად იშვიათი შემთხვევაა), ასეთ შემთხვევაში კი კრივი უფრო გამოსადეგია.

სადღესოდ, მკვლევართა ჯგუფების მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში



მონყობილ ექსპედიციებსა და წყაროებში მოპოვებული მასალის შეჯამებით, გამოიკვეთა ჭიდაობის მრავალი, როგორც ზოგადქართული, ასევე კუთხური ნაირსახეობა. მათ შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც აქამდე არ იყო აღწერილი, ხოლო ზოგზე კი მხოლოდ ზედაპირული ცნობები მოგვეპოვებოდა.

ესენია: - "ქართლ-კახური", "მაჯურა", "ცალხელა", "მკერდაობა", "მთიულური ძილილორა", გურული "ჭედობა" ("ტეკობა"), მეგრული "რკინება", იმერული "საბეჭურიდან ჭიდაობა", ხევსურული "მოშ და მოშ" და "მუქასრისა", რაჭული "ლოჯური" (ნელის არეში ჩავლებით), და "ხაცური" (ხელჩაკიდებით), სვანური "ლიბურძგვალ", "ლიჯირთიელ" და "ლიბრგიელ", ინგილოური, მესხური, "ლორული" (პარტერში ჭიდაობა), "მკლავმოზმით", "ხრინკული" (ფეხნამოდებით) და სხვანი.

ეს შერკინებანი იმდენად დახვეწილია და სანახაობრივი, რომ დამოუკიდებელ სახეობად არსებობის სრული უფლება აქვთ.



ზემოთჩამოთვლილ კუთხურ სახეობათა შესახებ ჩვენს ხელთ დღეს არსებული ინფორმაცია მხოლოდ მათი ზოგადი აღწერის საშუალებას იძლევა.

ამჯერად შესაძლებელია, მეტნაკლებად დასრულებული სახით წარმოვადგინოთ კახეთში, მთიულეთსა და იმერეთში მოძიებული ჭიდაობები, რომელთა გავრცელების არეალიც იმდენად ფართოა, რომ შეგვიძლია ისინი ზოგადქართულად ჩავთვალოთ. ესენია მეზღუდული ჭიდაობის ნაირსახეობანი: "მაჯურა", "ცალხელა", "მკერდაობა" ანუ მუცლით ჭიდაობა და "ლორული" (პარტერში ჭიდაობა).

**"მაჯურა"**

ვანის ნაქალაქარის გათხრებისას აღმოჩენილია მცირე ზომის ქანდაკებები, რომლებიც, როგორც ჩანს, რალაც რიტუალს ან ცეკვის სხვადასხვა პოზიციებს გამოსახავენ. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს ორფიგურიან კომპოზიციას, რომელიც "მაჯურა" ჭიდაობის საწყის დგომს უნდა გამოხატავდეს. სავარაუდოა, რომ მას იმ ხანად გარკვეული სარიტუალო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. "მაჯურა" ჭიდაობა მიმდინარეობს ცალი ხელით, ჯერ მარჯვენებით, შემდგომ მარცხენებით. მონინაალმდეგები დგებიან ერთმანეთის წინააღმდეგ და ხელს ართმევენ. ამ დროს მეორე ხელი უკან, ნელზე უნდა იყოს მიდებული და მისი ხმარება აკრძალულია. ხელის წინ გადმოტანა მხოლოდ დაცემის მომენტშია დასაშვები (დაშავების თავიდან ასაცილებლად). მოჭიდავეს უფლება აქვს, ხელის გაუშვებლად, ილეთის უკეთ გაკეთების მიზნით, ჩავლების პოზიცია შეცვალოს. სხვა არავითარი აკრძალვა ამ ჭიდაობაში არ არსებობს. დასაშვებია ნებისმიერი ილეთი ფეხსა თუ ხელზე (მაჯიდან ხელგაუშვებლად).

მოძიებულ ილეთთაგან ზოგიერთი არცერთ სხვა ორთაბრძოლაში არ გვხვდება. "მაჯურაში" გამოიყენება: "ცერულეები", "ნამგალეები", "მოცეღეები", "ფეხდაბიჯებები", "შუაფეხი", "ჩახვეულეები", "სარმები". ჩვეულებრივ, ხელის გაუშვებლად კეთდებოდა "კისრულეები", "მხარჩადგმულეები": "წინდაქაჩვით", "მაჯის გატეხვით", "მკლავჩატეხვით". დამშვებულია ცერით მონინაალმდეგის ცერის



ჩატეხვა - "ცერჩატეხილი". უმეტესობა ილეთებისა სრულდება მაჯის ან მკლავის ჩატეხვით. სრულდება აგერეთვე "გადავლებული", "გრეხილები", ძლიერ ტრავმატულია ეგრეთწოდებული "გატეხილები", რომლის დროსაც მიმდინარეობს ზედა კიდურის სახსრების ტეხვა სხეულის სხვადასხვა ნაწილზე მიბჯენით. ამის მიხედვით არსებობს: "მხარზე გატეხილი", "შუბლზე გატეხილი", "მკერდზე გატეხილი" და "ქედზე გატეხილი".

ყველა ილეთისა და თავისებურების აღწერა შორს წავიყვანს, რადგან "მაჯურა" ჭიდაობა ძალიან მდიდარია ილეთებით და, შესაბამისად, მეზობლის მომზადების საუკეთესო სისტემას წარმოადგენს. ეს ჭიდაობა, სხვა ყველაფერთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ავითარებს მაჯის სიძლიერეს, რომელიც მარტო შიშველი ხელით ბრძოლისას როდია აუცილებელი. სწორედ მაჯის სიძლიერეზე იყო დამოკიდებული ხმლის, ან სხვა ცივი იარაღის ოსტატური ხმარება.

**"ცალხელა"**

ჭიდაობა, როგორც დასახელებიდან ჩანს, ცალი ხელით წარმოებს. მასში, ისევე როგორც "მაჯურაში", მეორე ხელის გამოყენება აკრძალულია და მოჭიდავეს, დაცემის მომენტის გარდა, მისი წინ გამოტანის უფლება არ აქვს. "ცალხელა" ჭიდაობაში გამოიყენება ყველა ილეთი, რომლებიც ჩვეულებრივ ჭიდაობაშია მიღებული, მაგრამ რაკილა ცალი ხელით სრულდება, მათ თავისებური ელფერი შეიძინეს.

შემორჩენილია "ცალხელას" ერთ-ერთი ილეთის - ცალი ხელით "ჩახტომილი კისრულის" საუკუნის წინანდელი ფოტო. ამ ჭიდაობაში, ჩვეულებრივ, მიღებული იყო "მოგვერდები", "ცერულეები", "კისრულეები", "ჩახვევები" და სხვანი. გარდა ამისა, გამოიყენებოდა "ფეხდაბიჯებები", "მოყინვები", "წინამხრით მიბჯენები" და "ჩატეხვები".

**"მკერდაობა"**

"მკერდაობა", ილეთებითა და ბრძოლის წარმოების წესებით, პრინციპულად განსხვავდება ზემოთაღწერილ სახეობათაგან და, საერთოდ, ყველა ქართული ორთაბრძოლისაგან. ამ ჭიდაობაში ორივე ხელს უკან იწყობენ და, აქედან გამომდინარე, წინიდან ყოველგვარი ჩავლება გამორიცხულია, მაგრამ მოჭიდავეს, თუკი ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნება, შეუძლია ზურგსუკან დაწყობილი ხელების ჩავლება და შესაბამისი ილეთის გაკეთება. ასევე დაშვებულია, ილეთის შესამზადებლად, თავით ან მხრით დაჯახება მონინაალმდეგის მკერდზე ან მუცელზე.

ამ ჭიდაობის თავისებურება კიდევ ისაა, რომ თითქმის ყველა ილეთი ფეხებით სრულდება. როგორც ცნობილია, ქართული ჭიდაობა მდიდარია ასეთი ილეთებით, მაგრამ მკერდაობაში გვხვდება ბევრი ისეთიც, რომლებიც სხვა ქართულ ჭიდაობებში არ გამოიყენება: "მუხლჩადგმულეები", "ბარძაყზე დაბჯენები", "ჩერანჩატეხილები".

როგორც ვხედავთ, ეს სამივე სახეობა მდიდარია ილეთებით და, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა გარკვეული მოძრაობების დასახვეწად და კუნთების შესაბამისი ჯგუფის განსავითარებლად, ასევე მეზობლთა მოსამზადებლად საგანგებო შემთხვევაში (დაჭრის ან ტყვედ ჩავარდნის) სამოქმედოდ. უხელოდ ან ცალი ხელით ჭიდაობა მორკინეს აიძულებს, მეტი ყურადღება გაამახვილოს ფეხებისა და ტანის გამოყენებით ილეთის ჩატარებაზე. ეს კი ხვეწს მის მდგრადობას და ბრძოლისუნარიანობას. ამდენად, ამ ორთაბრძოლებს დღესაც დიდი გამოყენებითი ღირებულება აქვს და სასურველი იქნებოდა, ძალოვან სამსახურთა მომზადების პროგრამაშიც რომ შეეტანათ.

გვერდი მოამზადეს: კობა ჭუმბურიძემ, ლევან კიკალიშვილმა და კახაბერ ზარნაძემ



# ტილოსტიკინა

## მისილ ენდა

იყო ერთი ტილოსტიკინა. იგი მთლიანად ტილოს ფერადი ნაკუნებისგან იყო შეკერილი და ერთ ბიჭუნას ეკუთვნოდა, რომელთანაც თავს ძალიან კარგად გრძნობდა.

პანია ტილოსტიკინა მუდამ მხიარულ განწყობაზე იყო. ერთადერთი რამ ცხოვრებაში, რასაც ის მთელი სერიოზულობით ეკიდებოდა - მისი ხელობა იყო.

მაინც, რა იყო მისი ხელობა? გამხიარულება! მერე და ვისი? ბიჭუნასი!



\*\*\*

ერთ დღესაც ბიჭუნამ ლამაზად მორთულ ვიტრინაში უამრავი ნაირ-ნაირი ტიკინა შენიშნა. ზოგი მათგანი მოსამართი იყო და ნამდვილ საყვირზეც შეეძლო დაკვრა. იყვნენ აქეთ-იქით მბრუნავი რობოტებიც და კიდევ მშვენიერი, მოლაპარაკე თოჯინები, რომელთაც ნამდვილი თმები ჰქონდათ. ასევე, მანქანები და თვითმფრინავები.

ჰოდა, ბიჭუნამ გადაიყვარა პანია ტილოსტიკინა. მან ჩათვალა, რომ სხვა სათამაშოები ბევრად მშვენიერი იყვნენ და



ყველაფერიც უკეთესად გამოსდიოდა.

მაინც რა გამოსდიოდათ სხვა სათამაშოებს უკეთესად? გამხიარულება! მერე და ვისი? ბიჭუნასი!

\*\*\*

პანია ტილოსტიკინა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცდილობდა ბიჭუნას გამხიარულებას, მაგრამ ბიჭუნა მისკენ არც კი იხედებოდა და მუდამ უკმაყოფილო და ნანწყენი ჩანდა. ერთ დღეს კი დასწვდა პანია ტილოსტიკინას და უბრალოდ, ფანჯრიდან გადაუძახა.



ეს კი საბრალო ტილოსტიკინასათვის, რა თქმა უნდა, დასასრულს ნიშნავდა.

- მაინც რის დასასრულს?  
- გამხიარულების!  
- მერე და ვისი?  
- ბიჭუნასი.

\*\*\*

როგორც კი პანია ტილოსტიკინამ ქვაფენილზე მოაღინა ზღართან, მასთან ერთი ძალი გაჩნდა. მან დაყნოსა პანია



ტილოსტიკინა და პირი წაავლო მას. ამ ძალს სახლში შვიდი პატარა ლეკვი ჰყავდა და მათ მიუბრუნებინა სათამაშოდ.

პანია ტილოსტიკინა, აბა, რა წინააღმდეგობას გაუწევდა! მაგრამ მას სულაც არ უნდოდა ლეკვებთან.

- აბა, რა უნდოდა?  
- გამხიარულება!  
- მერე და ვისი?  
- ბიჭუნასი!

\*\*\*

ლეკვები შემოეხვივნენ პანია ტილოსტიკინას და ისე ეთამაშებოდნენ, როგორც, საერთოდ, ლეკვებს სჩვევიათ: ბასრ კბილებს ასობდნენ, აჯანჯლარებდნენ, ყუ-



რებზე კებდნენ და უღრენდნენ. თან დაუსრულებლად აქეთ-იქით დაათრევდნენ. პანია ტილოსტიკინა იმდენად დაფრთხა და შეშინდა, რომ სრულიად გადაავიწყდა, რისთვისაც იყო ამ ქვეყნად გაჩენილი.

- მაინც რისთვის იყო გაჩენილი ამ ქვეყნად?  
- გამხიარულებისთვის.  
- მერე და ვისი?  
- ბიჭუნასი.

\*\*\*

როდესაც ძაღლების პატრონმა შენიშნა პანია ტილოსტიკინა, წამოიძახა: „ფუი, რა საზიზღარი ძონძია! მომამორეთ აქედან!“ დასწვდა თავისი კაპარჩხანა თითებით და სანაგვე ყუთში მოისროლა ნაცართან და კონსერვის ქილებთან ერთად.



ეგდო იქ პანია ტილოსტიკინა ისეთი ჭუჭყიანი და საბრალო, რომ უკვე ვეღარავინ იფიქრებდა, თუ რა კარგი იყო იგი ოდესღაც.

- მაინც რისთვის იყო კარგი?  
- გამხიარულებისთვის!  
- მერე და ვისი?  
- ბიჭუნასი.

\*\*\*

მეორე დღეს ჩამოიარა ერთმა მეძველმანემ, რომელიც სანაგვე ყუთში ძონძებსა და ქაღალდებს ეძებდა. როდესაც მან პანია ტილოსტიკინას მოჰპოვა თვალი, დასწვდა და თავის ურიკაზე შემოიღო. მას ცუდი რამ არც უფიქრია. იგი ერთი ღარიბი კაცი იყო და ლუკმა პურს იმით შოულობდა, რომ ძველმანებს აგროვებდა გასაყიდად. მას ძონძები და ქაღალდები ქაღალდის გადასამუშავებელ საამქროში მიჰქონდა, სადაც მათ აქუცმაცებდნენ და შემდეგ მშვენიერ, თეთრ ქაღალდს ამზადებდნენ.

მეძველმანეს პანია ტილოსტიკინასათვის რომ ეკითხა, სურდა თუ არა მას მშვენიერ თეთრ ქაღალდად ქცევა, იგი



სრულიად გარკვევით უპასუხებდა: „არა, მე სულ სხვა რამ მსურს“.

- მაინც რა სურდა მას?  
- გამხიარულება!  
- მერე და ვისი?  
- ბიჭუნასი.

\*\*\*

ამასობაში კი ბიჭუნა იჯდა სახლში ძალიან უბედური და ტიროდა; იმიტომ, რომ მას ძალიან ენატრებოდა თავისი პანია ტილოსტიკინა.

მას აღარ ართობდნენ ის დიდი და მშვენიერი ტიკინები, საყვირზე რომ უკ-



რავდნენ, არც მბრუნავი რობოტები და აღარც მოლაპარაკე თოჯინები, ნამდვილი თმები რომ ამშვენებდათ. არც ერთ მათგანს არ შეეძლო ის, რასაც ასე კარგად აკეთებდა პანია ტილოსტიკინა.

- მაინც რა არ შეეძლო მათ?  
- გამხიარულება.  
- მერე და ვისი?  
- ბიჭუნასი!

\*\*\*

გზად, ქაღალდის დამქუცმაცებელი საამქროსკენ, მეძველმანეს იმ სახლთან უნდა გაეველო, რომელიც ბიჭუნას დიდებულ ცხოვრობდა. „გაქვთ ჩემთვის ძველმანები? - იკითხა მან. „დიახ“ - მიუგო დიდებულმა, „მთელი ტომარა, მაგრამ მე სანაცვლოდ ეს პანია ტილოსტიკინა მინდა“. დიდებულს მისი შემჩნევა არ გაძნელებია, რადგან იგი ურიკაზე სულ ზემოთ იდო.

მეძველმანისთვის ეს ხელსაყრელი გარიგება იყო და მან პანია ტილოსტიკინა დიდებულს გადასცა.

- ახლა კი, - თქვა დიდებულმა, - მე შენ თავიდან მოგკაზმავ!

მაინც, რისთვის უნდა მოეკაზმა დიდებულს?

- გამხიარულებისთვის.  
- მერე და ვისი?  
- ბიჭუნასი.



\*\*\*

დიდდამ გარეცხა პანია ტილოსტიკინა და ისე გაანკრიალა, რომ მისმა ფერადმა ნაკუნებმა კვლავ მხიარულად გამოაჩყიტეს. რაც გარღვეული ჰქონდა, დაუკემსა და საბოლოოდ კიდევ უფრო გაამშვენებია, ვიდრე ადრე იყო.

„ესეც ასე!“ - თქვა დიდდამ კმაყოფილებით. „მე ახლა შენ გაგაგზავნი, შენ აუცილებლად საჭირო ხარ“.

- მაინც რისთვის იყო იგი აუცილებლად საჭირო?

- გამხიარულებისთვის!
- მერე და ვისი?
- ბიჭუნასი!



\*\*\*

და ერთ დღესაც ფოსტალიონმა მოიტანა ერთი უშველებელი ყუთი, რომელზეც ეწერა: ვისთვის - ბიჭუნასათვის; ვისგან - დიდდასაგან.

ბიჭუნა ძლიერ აღელდა, რადგან ვე-



რაფრით მიხვდა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ამ უშველებელ ყუთში. ჩუ! ჩვენც არაფერი ვთქვათ.

- მაინც რა იდო ამ ყუთში?
- ისეთი რამ, რაც გაამხიარულებდა!
- მერე და ვის?
- ბიჭუნას.

\*\*\*

და როდესაც გახსნა ბიჭუნამ დიდი ყუთი, იქ მეორე ყუთი შენიშნა, გახსნა ის მეორეც და მესამე დახვდა, მესამე ყუთიდან ამოიღო მეოთხე, მეოთხედან - მეხუთე; მეხუთეში მეექვსე ყუთი იდო. და როდესაც ბიჭუნამ მეექვსე ყუთიდან ყველაზე პატარა, ბოლო, მეშვიდე ყუთი ამოიღო, მთელი ოთახი ცარიელი ყუთებით გაივსო.

რა იდო ამ ყველაზე პატარა, მეშვიდე ყუთში? პანია ტილოსტიკინა! ის სრულიად ახა-

ლივით გამოიყურებოდა და ზედვე ეტყობოდა, რაც შეეძლო.

- მაინც რა შეეძლო?
- გამხიარულება!
- მერე და ვისი?
- ბიჭუნასი!

\*\*\*

მერე რა ქნა ბიჭუნამ? გაიცინა!

გერმანულიდან თარგმნა ელენე კოშორიძე



ჩვენი მასწავლებლები

სპილო და ჭიანჭველები

იაკობ გოგებაშვილი

მინდორში ამალღებული იყო ბეგობი. ამ ბეგობში ჭიანჭველებს ბუდე ჰქონდათ. იმავე მინდორში სპილო სძოვდა. სპილო მიუახლოვდა ჭიანჭველების ბუდეს, უნდა ფეხი დაედგა და დაენგრია. ჭიანჭველები მოეგებნენ წინ სპილოსა და შეეხვეწნენ: „დიდო ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებს, გზა აგვიციე, ბუდეს ნუ დაგვინგრევ, ჩვენსა და ჩვენის შვილების ცოდოში ნუ ჩასდგებიო“.

სპილომ გულქვაობა გამოიჩინა, ყური არ ათხოვა ჭიანჭველების ვედრებასა და სთქვა: „რად უნდა შევისმინო ამათი თხოვნა, ერთი წინკნანი არიან, სამაგიეროს გადახდა არ შეუძლიანთ, ისევ ისა სჯობია, ჩემი ძალი მათზედ გამოვიჩინოვო“. დაადგა თავისი ტლანქი ფეხები ჭიანჭველების ბუდეს და ჩაუნგრია.

ჭიანჭველები საშინლად გაბრაზდნენ სპილოზედ და სამაგიეროს გადახდას შეუდგნენ. მიეხვივნენ, აუცოცდნენ ტანზედ ფეხებიდან, ზოგი ყურში შეუძვრა, ზოგი ცხვირში, ზოგი პირში და დაუნყეს უწყალოდ კბენა.

სპილო ბევრს ეცადა, როგორმე მოეშორებინა თავიდან თავისი მწვალებლები, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხა. ჭიანჭველები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ჰკბენდნენ და ჰკბენდნენ სპილოსა ნაზს ადგილებში, არც დღისით და არც ღამით მოსვენებას არ აძლევდნენ. სპილომ ახლა კი ცხადად დაინახა, რომ პატარა სულიერებსაც შესძლებიათ სამაგიეროს გადახდა, ბევრი ინანა, რად ვუმტრე ჭიანჭველებსაო, მაგრამ გვიანლა იყო.

ჭიანჭველები თავისას არ იშლიდნენ და შეუსვენებლივ საშინლად სტანჯავდნენ სპილოსა: დაუსრულებელმა სიმწარემ, რამდენისამე დღის მოუსვენრობამ მთლად გადარია სპილო, აღარ იცოდა, რა ექმნა, გიჟივით დარბოდა უგზო-უკვლოდ და კლდეზედ გადავარდნა ელოდა.

მაშინ სპილომ იკადრა თავის მომდაბლება, დაუჩოქა ჭიანჭველებსა და შეევედრა მათ დიდითა ვედრებითა:

„ოღონდ ეხლა კი მაპატიეთ და გეფიცებით, რომ ჩემს სიცოცხლეში იოტის ოდენას აღარას განყენინებთო“.

ჭიანჭველებმა უპასუხეს: „კარგი, სასჯელად მაგ ტანჯვას გაკმარებთ, შენსავით გულქვაობას არ გამოვიჩენთ, შეგიბრალებთ და გაპატივებთ, მხოლოდ ამ პირობით: დღეის შემდეგ შენ აღარ უნდა გაბედო არამც თუ ჩვენი წყენა, არამედ არაფერი არ უნდა დაუშაო სხვასაც, მეტადრე პატარასა და სუსტსაო“.


სპილომ ხელმეორედ შეჰფიცა და თავებდად მისცა მაღლა ცა და ძირს დედა-მინა.

მაშინ გამარჯვებული ჭიანჭველები და-

ეხსნენ სპილოსა, ჩამოვიდნენ ძირსა და მხიარულად წავიდნენ ახალის ბუდის ასაშენებლად.

ჭიანჭველებს ისე თავისი ძალის გამოჩენა უზარმაზარს სპილოზედ არ უხაროდათ, როგორც ისა, რომ სულგრძელობით და გულკეთილობით აჯობეს მას.

იმ დღის შემდეგ სპილო შექმნა მეტად მომთმენი, სულგრძელი, მშვიდი და უწყინარი ცხოველი.



### იპოვეთ ამ ნახატიში 57 სულიერი და უსულო არსება

უფრო ყოჩაღები ამ არსებებს ამოიცნობენ და მათ სახელებს რედაქციაში გამოგვიგზავნიან. რა თქმა უნდა, მათი გვარები "საბავშვო" დამატებაში გამოქვეყნდება



ვალორუხის სკოლის მოსწავლეს ანა ჯინჯარაძის ნახატი


#### წინა კროსვორდის პასუხები

#### კროსვორდი-გამოსვანებით



**შვეულად:** 1. სოკო; 2. კატა; 3. ოფოფი; 5. თეფი; 6. ირემი; 7. ხახვი; 8. ხავსი; 10. წერილი; 12. ყინული; 16. ქვევრი; 17. მედუზა.

**თარაზულად:** 4. ობობა; 5. თხილი; 9. არწივი; 11. სეტყვა; 13. ისარი; 14. ია; 15. ბუ; 18. ციყვი; 19. მელია; 20. ზვავი; 21. ბურთი.



**თარაზულად:** 3. მოვიდა შავი მოზვერი, წაიქცა მთელი სოფელი; 4. მიდის, მოდის, კვალს არ იჩენს; 7. აიშ მთას გადმონოლია გორგოზ-გორგოზი გველიო, ქალაში ჩამოშხედავდა, იქ არი ჩემი ველიო; 8. ორჯერ შობილი ერ-

თხელ კვდება; 9. ერთი ცხენი მყავს სოსანი, სოსანზე უფრო სოსანი, წავა ისპაჰანს, წყალს დაღვეს, ისევ შინ მოვა ცოცხალი; 14. შევხედე და შავი იყო, მივედი და მკვდარი იყო, ფეხები რომ დაუჭირე, ნაცოხარი ამოი-

ლო; 16. პატარა ვარ, გამიფრთხილდით, თორემ დიდ ცეცხლს გავაჩენო; 17. მამა არ გაჩენილიყო, შვილი ქალაქს მიდიოდა.

**შვეულად:** 1. ასი ხევი ავიარე, ასი ბუდე ავშალე, ქალსა მძივი ავყარე, კალათაში ჩავყარე; 2. უსულო ვნახე ორსული, სულიერისა მშობელი, შვილსა შობს, დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი; 5. ყოველ თვისა და თვის თავზე ვარდი ამოდის კლდის თავზე; 6. აკიბული, ჩაკიბული, ცის და ქვეყნის მოციქული; 10. წყალში ზის, თევზი არ არის, ბალახს სძოვს, ძროხა არ არის, ლულუნებს, მტრედი არ არის; 11. ასლამაზი ქალი ვიყავ, ასი კაბა მეცვა, ნიავმა რომ დამიბერა, ასად დამეკეცა; 12. ის ხან დინჯად მიზოზინობს, ხან კი მირბის გამაღებით, არც საკუთარ საქმის გამო და არც სხვისი დავალებით; 13. აბელი, ბელი, საბელი გრძელი, ბამბის გული უგრეხელი; 15. ერთი რამა სულიერი მინა-მინა მძრომელია; კარგი ვაჟკაცისათვის თავსა წამომდგომელია, სამჯერ გითხარ მის სახელი, გამოიცან რომელია.

**კროსვორდი მოამზადა ალექსანდრე გორგიშელმა**